


ვღვიან ვბოუ ვბოუი

ვლევსლოენბი



ფლეთლენდი
ბრტყელი სამყარო

რომანსი მრავალ განზომილებაზე

ედვინ ებოტ ებოტი

FLATLAND
A ROMANCE OF MANY DIMENSIONS

EDWIN ABBOTT ABBOTT

ინგლისურიდან თარგმნა
ია გიორგობიანმა

თბილისი
2013

UDC (უკ) 159.954+113/119
ე – 131

სარედაქციო ჯგუფი:

ია გიორგობიანი

ნინო ლაზრიშვილი

მხატვარი და

კომპიუტერული უზრუნველყოფა: მარინა ლეჟავა

ISBN 978 – 9941 – 0 – 5927 – 8

შინაარსი

ქართული თარგმანის შესავალი	5
წინასიტყვაობა, დაწერილი 1884 წლის გამოცემის რედაქტორის მიერ	10

ნაწილი I

სამყარო

§1. ფლექტენდის ბუნების შესახებ	15
§2. ფლექტენდის კლიმატი და შენობები	17
§3. ფლექტენდის მაცხოვრებლების შესახებ	19
§4. ქალების შესახებ	23
§5. როგორ ვცნობთ ერთმანეთს	27
§6. როგორ ვცნობთ ერთმანეთს მხედველობის საშუალებით	32
§7. არაწესიერი ფიგურების შესახებ	37
§8. ფერწერის უძველესი პრაქტიკის შესახებ	40
§9. ფერის უნივერსალური კანონი	42
§10. ქრომატული ამბობებების ჩახშობა	46
§11. ქურუმების შესახებ	49
§12. ჩვენი ქურუმების დოქტრინა	52

ნაწილი II

სხვა სამყაროები

§13. როგორ დავინახე წრფის სამყარო	57
§14. როგორ უშედეგოდ ვცდილობდი ამეხსნა ფლექტენდის ბუნების არსი	61
§15. სივრციდან მოსული უცხოელის შესახებ	65
§16. როგორ უშედეგოდ ცდილობდა უცხოელი სიტყვებით აეხსნა ჩემთვის სივრცის საიდუმლოებები	68

§17. როგორ ცდილობდა სფერო საქმით ეჩვენებინა ის, რაც სიტყვებით ვერ ახსნა	76
§18. როგორ ვიყავი სივრცის სამყაროში და რა ვნახე იქ	78
§19. როგორ მაჩვენა სფერომ სივრცის სამყაროს კიდევ სხვა საიდუმლოებები, როგორ მინდოდა მეტის გაგება და რა გამოვიდა ამ საქმიდან	82
§20. როგორ ჩამინერგა სფერომ გამბედაობა	88
§21. როგორ ვცდილობდი სამი განზომილების თეორია მესწავლებინა ჩემი შვილიშვილისათვის და რა წარმატებით.....	91
§22. როგორ ვცდილობდი სამი განზომილების თეორია მომეყოლა სხვა გაგებით და როგორი შედეგი მივიღე	93
ქართული თარგმანის დამატება	
წიგნში გამოყენებული ზოგიერთი მათემატიკური ტერმინი	97

ქართული თარგმანის შესავალი

ამ ნაწარმოებს უნიკალური ადგილი უკავია მეცნიერული ფანტაზიის ჟანრში. „ფლეტლენდი“, ანუ „რომანსი მრავალ განზომილებაზე“, ანონიმურად გამოვიდა 1884 წელს. ნაწარმოების ავტორმა ფსევდონიმად *კვადრატი* აირჩია. Dictionary of National Biography – ს 1937 წლის გამოცემაში პირველად დასახელდა წიგნის ავტორის სახელი – ედვინ ებოტ ებოტი (1838 – 1926). ეს პიროვნება ცნობილი იყო თავისი თანამედროვეებისათვის როგორც განმანათლებელი და თეოლოგი. ის წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა „სითი ოფ ლონდონ სკულს“. იყო ასევე ანგლიკანური ეკლესიის მოძღვარი და ცნობილია, რომ ბიბლიის შესახებ ლიბერალური შეხედულებები ჰქონდა.

„ფლეტლენდის“ შექმნის პერიოდში გამოქვეყნდა რამოდენიმე ნაწარმოები, რომელთაც, როგორც ჩანს გავლენა იქონიეს ებოტის შრომაზე. „ფლეტლენდს“ ყველაზე ხშირად ადარებენ ჯონათან სვიფტის „გულივერის მოგზაურობას“ ან კიდევ, ლუის კეროლის „ალისას საოცრებათა ქვეყანაში“. „ფლეტლენდის“ გამოსვლამდე რამოდენიმე წლით ადრე (1875წ, 1878წ.) გამოქვეყნდა ტაიტის და სტუარტის შრომები, სადაც ლაპარაკია ფუნდამენტურ უწყვეტ კავშირზე ჩვენს ხილულ სამყაროსა და სპირიტუალურ სამყაროს შორის, რომელიც ამ ავტორებისათვის ოთხ განზომილებიან სივრცეს წარმოადგენს. ჰინტონის „რა არის მეოთხე განზომილება?“ პირველად გამოვიდა 1880 წელს დუბლინის უნივერსიტეტის ჟურნალში. აქაც მეოთხე განზომილება მჭიდროდ იყო დაკავშირებული რელიგიურ რწმენასთან. გერმანელი ასტრონომი ზოლნერი 1880 წელს გამოსულ შრომაში ამტკიცებდა, რომ მეოთხე განზომილება ხსნის ქრისტიანულ სასწაულებსაც.

მეოთხე განზომილებისა და ღვთის სასუფევლის გაიგივების იდეა „ფლეტლენდში“ სრულიად უარყოფილია. *კვადრატი* არ კმაყოფილდება მეოთხე განზომილებით და საერთოდ არასწორად მიიჩნევს განზომილების რაიმე რიცხვით შემოსაზღვრის იდეას. აკრიტიკებს იმათ, ვისაც მიაჩნია, რომ ჩვენი სამგანზომილებიანი სამყაროს გარეთ არსებული ყველა სამზე მეტგანზომილებიანი არსება ღმერთს წარმოადგენს. ამას *სფერო* გარკვევით ეუბნება *კვადრატი*: „განა ის, რომ ყველაფერს ხედავ-

ენ, უფრო კეთილს ხდის სივრცის მკვიდრობა?“

ეპოტი თვლიდა, რომ წარმოსახვის უნარი წარმოადგენს ყველანაირი ცოდნის ბაზისს და რელიგიურ რწმენას მატერიალური დამტკიცებები არ ესაჭიროება. ისევე, როგორც ღმერთმა უჩვენა ადამიანებს ჭეშმარიტება მხოლოდ მცირე გაელვებების – მინიშნებების საშუალებით და მისი გამოცხადება არის მხოლოდ არამატერიალური რეალობის „რეფრაქცია“, რომელიც დროთა განმავლობაში უფრო და უფრო გვაახლოებს ჭეშმარიტებასთან.

ამ მხრივ, „ფლეტლენდი“ მართლაც წარმოსახვის უნარის ვარჯიშს წარმოადგენს. რაც, ავტორის აზრით მკითხველს მისცემს ცოდნის შეძენის შესაძლებლობას. რაც შეეხება ნაწარმოების თეოლოგიურ შინაარსს, ეს კამათის საგანია. სხვადასხვა ავტორები მას განსხვავებულ მნიშვნელობას ანიჭებენ.

აღსანიშნავია აგრეთვე იმავე პერიოდში გამოცემული მათემატიკოს ჩარლზ ლუდვიგ დოჯსონის (Charles Dodgson, ლოგიკოსი, ანგლიკანური ეკლესიის დიაკვანი და ფოტოგრაფი) ლიტერატურული ნაწარმოებები „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“ (გამოვიდა 1865წ.) და „სარკის მიღმა“ (გამოვიდა 1871 წ.). რომლებიც მან ლუის კეროლის ფსევდონიმით გამოაქვეყნა და რომელიც კვლავ ამ ფსევდონიმით მოიხსენიება ახლაც. ლაინლენდის და ფონთლენდის მეფეების პომპეზურობა მიგვანიშნებს, რომ ეპოტმა გაიზიარა კეროლის კომიკური სტილი. შევნიშნოთ, რომ „ფლეტლენდში“ ასევე მრავლადაა ციტატები შექსპირის ნაწარმოებებიდან, რადგანაც ეპოტის ძირითადი შრომები სწორედ ამ ავტორის შემოქმედებას ეხება.

იგივე პერიოდს (1859, 1868, 1871წწ.) განეკუთვნება აგრეთვე ჩარლზ დარვინის შრომების სერიაც. ადამიანის წარმოშობას მატერიალისტურად ხსნის დარვინი წიგნში „ადამიანის წარმოშობა და სქესობრივი გადარჩევა“ (1871). რომელშიც გატარებულია იდეა, რომ ორგანიზმთა ახალი ფორმების წარმოქმნა ხდება მემკვიდრული ცვლილებების და ბუნებრივი გადარჩევის გზით, რაც მიზანშეწონილებითაა განპირობებული.

კვადრატი თითქოს ეპასუხება დარვინს, როცა დარვინის თეორიის მსგავსად ყურადღებას უთმობს სელექციას და მიზანმიმართულ ქორწინებებს, რომლებიც ფლეტლენდში *წრეების* მეთვალყურეობით ხორციელდება. როგორც ჩანს ეპოტი არ იზიარებდა დარვინის შეხედულებებს. სატირულად ჟღერს *კვადრატის* სიტყვები, როცა ამბობს, რომ „ბუნების კანონები დაბალი კლასის ფიგურებისათვის არ სრულდება, რომ განვითარება დაბალი და მაღალი კლასის წარმომადგენლებისათვის სხვადასხვანაირად მიმდინარეობს და რომ განვითარებიდან სრულიად გამორიცხულნი არიან ქალები“. ეპოტი დასცინის ვიქტორიანული ინგლისის დროინდელ „მეცნიერულ“ შეხედულებას ქალების შესახებ,

რის გამოც, მაგალითად 1870 წლამდე ბრიტანეთში ქალებს უმაღლესი განათლების მიღების უფლება არ ჰქონდათ.

არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ აგრეთვე „გულივერის მოგზაურობა“. რომელიც მართალია ერთი საუკუნით უფრო ადრე დაიწერა (გამოვიდა 1726წ.), ვიდრე ფლეტლენდი, მაგრამ როგორც ჩანს ძლიერი გავლენა იქონია ებოტზე. „ფლეტლენდის“ ავტორი ჯონათან სვიფტის მსგავსად, საკუთარ სამყაროს ქმნის, რომ შემდგომში პარალელები რეალურ სამყაროში გააკეთოს. წიგნის ბოლოს, გულივერის მსგავსად, *კვადრატის* მისი საზოგადოებიდან გარიყულად ცხოვრობს. მისი თანამემამულეები, რომელთაც მსგავსი გამოცდილება არ გააჩნიათ, ვერ იგებენ მის არგუმენტებს. ამ მხრივ გულივერი და *კვადრატი* ძალიან ახლოს დგანან ერთმანეთთან.

მათემატიკური მხარე

მაღალი განზომილების გეომეტრიის თეორიული აგების მცდელობა ვიქტორიანული ეპოქის მეცნიერების დებატების მთავარ თემას წარმოადგენდა. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში გამოჩნდა გაუსის, ლობაჩევსკის, ბოიასის შრომები არაევკლიდურ გეომეტრიაში. ალტერნატიული მოდელების პოპულარიზაციის შედეგად ჰერმან ჰელმჰოლცმა აჩვენა, რომ ევკლიდური გეომეტრია არაა ერთადერთი თეორია სივრცის ბუნების ასახსნელად. 1870 წელს, „ფლეტლენდის“ გამოსვლამდე რამოდენიმე წლით ადრე, ჰელმჰოლცმა გამოაქვეყნა „გეომეტრიის აქსიომები“, სადაც აღწერს, როგორი იქნებოდა ორ განზომილებიანი არსებების ცხოვრება ფლეტლენდის მსგავს სიბრტყეზე და ასევე, სფეროს ზედაპირზე, სადაც ევკლიდეს აქსიომები სრულდება მხოლოდ ძალიან მცირე, ლოკალურ არეებში.

ფიზიკოსმა ჯეიმს მაქსველმა წარმოიდგინა თავისი სული, როგორც კვანძი (ფელიქს კლეინის ცნობილი ზედაპირის მიხედვით), რომლის გახსნაც, მხოლოდ მეოთხე განზომილებაშია შესაძლებელი.

„ფლეტლენდში“ უპირატესობა ევკლიდურ გეომეტრიას აქვს მინიჭებული. ებოტის შემდგომ შრომებში ნათლადაა გამოხატული იდეა, რომ მათემატიკის იდეები ჩვენ არ გვაძლევს საშუალებას ღმერთს მივუახლოვდეთ და რომ სხვა გეომეტრიების არსებობა ხელს არ უშლის ევკლიდური გეომეტრიის სამართლიანობას.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ „ფლეტლენდი“ არის პირველი შრომა, სადაც შემოდის ფენების ცნება და მყარ სხეულებზე ინფორმაციის მისაღებად ხდება სხეულის ფენებად დაშლა და მისი კვეთების შესწავლა – გამოკვლევა.

მეცხრამეტე საუკუნის შუა ხანებიდან ფიზიკის მეცნიერების განვითარების შედეგად გაჩნდა დაინტერესება სამზე მეტი განზომილების სივრცეების მიმართ. 1850 – იან წლებში გერმანელი მათემატიკოსის ბერნარდ რიმანის შრომაში გაჩნდა იდეა, რომ ევკლიდეს აქსიომები კვლავ იმუშავებს ოთხ და უფრო მაღალი განზომილების მქონე სივრცეებში და რომ ჩვენი სამგანზომილებიანი სივრცის ჩართვით უფრო მაღალი განზომილების სივრცეში შეგვიძლია ავხსნათ გრავიტაცია და ელექტრომაგნიტური ძალები.

ჰ.გ. უელსის ნაწარმოებში „დროის მანქანა“ რომელიც 1895 წელს გამოვიდა, მეოთხე განზომილებად დროა აღებული. მეოთხე განზომილების, როგორც დროის წარმოდგენის მთავარი პრობლემა არის ის, რომ ასეთი წარმოდგენის შემდეგ განზომილებების მომატება აღარ ხდება. ამის მერე შეუძლებელი ხდება ვილაპარაკოთ მეხუთე განზომილებაზე.

არსებობს სივრცე – დროის წმინდა მათემატიკური თეორია, მაგრამ დრო არაა ის განზომილება, რომელსაც ებოტი გულისხმობს თავის ფლეტლენდში. აქ ჩვენ გვთხოვენ განვსაზღვროთ მეოთხე სივრცული განზომილება, რომელიც ყოველ მხრივ პირველი სამის ეკვივალენტურია. როგორც ხდება ხოლმე, იმისათვის, რომ სივრცე – დროის გეომეტრია განსაზღვრონ, თითქმის ყველა ფიზიკოსი აკლებს ერთ განზომილებას და განიხილავს სივრცეს ერთი ან, ორი განზომილებით, რომელსაც მერე უმატებს დროს, როგორც შემდეგ განზომილებას. რის შედეგადაც მთლიანი განზომილება ორზე, ან სამზე დადის, რაც აადვილებს ვიზუალიზაციას. შესაბამისად, ფლეტლენდი გვეხმარება გავიაზროთ ჩვენი საკუთარი სამყაროს ფარდობითობა.

ბოლო დროს კვანტურ ფიზიკაში პოპულარული გახდა ათი განზომილების მქონე სივრცეები. ასეთი დიდი განზომილების მქონე სივრცის ვიზუალიზაციისათვის ძალიან ცოტა შესაძლებლობა არსებობს. ზოგიერთი მნიშვნელოვანი მოდელი განიხილავს 26 განზომილებასაც, რაც ვიზუალიზაციის ჩვენს შესაძლებლობებს ბევრად აღემატება. ფიზიკოსების საბოლოო მიზანს წარმოადგენს ამ მაღალი განზომილების სივრცეებით მოქმედება და საგნის პოპულარული ახსნა ყოველთვის იწყება ორ, სამ და ოთხ განზომილებიანი ანალოგების განხილვით. ყველა ამ კონცეპციების განხილვისას, მათში პირდაპირ მითითებულია ფლეტლენდი, ან ავტორი უთითებს „Sphereland“ (სფეროს სამყაროს), ნაწარმოებს, რომელიც 1965 წელს დაწერა დანიელმა ფიზიკის მასწავლებელმა დიონის ბურგერმა. ამ წიგნში *კვადრატის* შთამომავლები შორეულ მოგზაურობაში მიდიან და აღმოაჩენენ, რომ მათი სამყარო სრულიადაც არაა ბრტყელი, არამედ გამრუდებულია და დიდი სფეროს ზედაპირს წარმოადგენს. იგივე წესით ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ჩვენი

სივრცის მკვლევარები, რომლებიც ისე შორს იმოგზაურებენ, რომ აღ-
მოაჩენენ, რომ ჩვენი თითქოსდა უსასრულო სამგანზომილებიანი სა-
მყარო სინამდვილეში სასრულია, მსგავსად სფეროს ზედაპირისა.

დასასრულს, მკითხველებს გვინდა შევახსენოთ, რომ ებოტის იდეები
ჩვენს თანამედროვეობაში სხვანაირ ელფერს იძენს, რაც შეიძლება ზუს-
ტად ავტორის აზრების ანალოგიური არ იყოს. *სფეროსა* და *კვადრატის*
დიალოგის თვალსაჩინო წარმოდგენისათვის ქართულ თარგმანს ასევე
დართული აქვს ზოგიერთი მათემატიკური ტერმინის განმარტება. და
ბოლოს, დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ ყველას ვინც თავისი
რჩევებით და გულისხმიერი დამოკიდებულებით დაგვეხმარა ამ წიგნის
მომზადებასა და გამოცემაში.

ი. გიორგობიანი

წინასიტყვაობა, დაწერილი 1884 წლის გამოცემის რედაქტორის მიერ ¹

თუკი ჩემს საწყალ ფლეტლენდელ ბრტყელ მეგობარს შერჩა ისეთივე ნათელი გონება, რაც მას გააჩნდა იმ დროს, როცა ამ მოგონებების წერა დაიწყო, მაშინ აღარ დამჭირდება თქვენს წინაშე მისი წარდგინება შესავალ ნაწილში, სადაც მას უნდა პირველ რიგში მადლობა მოგახსენოთ თქვენ, სივრცული სამყაროს მკითხველებს და კრიტიკოსებს, რადგანაც თქვენმა შეფასებებმა განაპირობა მისი ნაშრომის მეორე, შესწორებული გამოცემა. ის აგრეთვე ბოდიშს გიხდით პირველ გამოცემაში არსებული შეცდომებისათვის (რომელთათვისაც ის ცხადია პასუხს არ აგებს); და ბოლოს, საჭიროა აგრეთვე განვმარტოთ პირველი გამოცემის წაკითხვის შედეგად შექმნილი ზოგიერთი მცდარი შეხედულება.

საჭიროა აგრეთვე აღვნიშნოთ, რომ ის აღარაა ის *კვადრატ*², რომელიც ადრე იყო. პატიმრობის წლებმა, უნდობლობის უფრო და უფრო მძიმე გარემომ და განუწყვეტელმა დაცინვებმა, მოხუცებულობის ასაკისათვის დამახასიათებელ გარემოებებთან ერთად ამოშალა მისი გონებიდან ბევრი აზრი, შენიშვნა და აგრეთვე ბევრი ტერმინი, რაც მან სივრცულ სამყაროში მცირე ხნით ყოფნისას შეითვისა. მიუხედავად ამისა, მან მთხოვა მის მაგივრად გამეცა პასუხი ორი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შენიშვნისათვის, რომელთგან ერთი ინტელექტუალურ, მეორე კი მორალურ ხასიათს ატარებს.

პირველი მოსაზრება მდგომარეობს იმაში, რომ როცა ფლეტლენდელი უყურებს წრფეს, ის ხედავს რაღაცას, რაც უნდა იყოს იმდენად სქელი, რასაც მისი თვალი აღიქვამს, და ასევე იმდენად გრძელი, რასაც მისი თვალი დაინახავს (თუკი მას არ ექნებოდა რაიმე სისქე, ის თვალით შეუმჩნეველი იქნებოდა); შესაბამისად ის უნდა აცნობიერებდეს (ეს კამათის საგან-

¹ ასეა მოხსენიებული ამ წინასიტყვაობის ავტორი მეორე გამოცემის ორიგინალში. სინამდვილეში ის ედვინ ებოტ ებოტს ეკუთვნის (მთარგმნელის შენიშვნა).

² შემდგომ ტექსტში მოქმედი პირები დახრილი ასოებით იქნება აღნიშნული, რათა არ აგვერიოს იგივე სახელის მქონე გეომეტრიულ ფიგურებში (მთარგმნელის შენიშვნა).

ნია) რომ, მის თანამემამულეებს აქვთ არა მარტო სიგრძე – სიგანე, არამედ ასევე (ცხადია, ფარატინა) სისქე, ანუ სიმაღლეც. ეს მოსაზრება სანდო მეჩვენება და ასევე სივრცული სამყაროსათვის უეჭველი. უნდა ვაღიარო კი, რომ, როდესაც პირველად გავიგონე ამის შესახებ, არ ვიცოდი რა მეპასუხა.

პასუხი, რომელიც ჩემმა ბრტყელმა მეგობრმა გასცა ამ კითხვას, საკმაოდ სრულად წარმოაჩენს საკითხს.

„მე ვეთანხმები,“ – თქვა მან როდესაც მე ამ თემას შევეხე – „თქვენი კრიტიკოსების შენიშვნებს, მაგრამ უარყოფ მათ დასკვნებს. მართალია, რომ ჩვენ ფლეტლენდში გვაქვს მესამე, შეუცნობადი განზომილება, რომელსაც „სიმაღლე“ ჰქვია. ასევე მართალია, რომ თქვენ, სივრცულ სამყაროში სინამდვილეში გაქვთ შეუცნობადი მეოთხე განზომილებაც, რომელსაც ჯერ – ჯერობით სახელი არ გააჩნია და რომელსაც მე „ზე-სიმაღლეს“ დავუძახებდი. ჩვენ არ შეგვიძლია აღვიქვათ ჩვენი „სიმაღლე“ და ასევე არც თქვენ არ შეგვიძლიათ „ზესიმაღლის“ შეცნობა. მეც კი, რომელიც ნამყოფი ვარ სივრცულ სამყაროში და რომელსაც ოცდაოთხი საათის განმავლობაში მქონდა ბედნიერება გამეგო რას ნიშნავს „სიმაღლე“ მეც კი, ახლა აღარ მესმის მისი მნიშვნელობა. ველარ აღვიქვამ მას ხედვით თუ რაიმე სხვა გრძნობით. მხოლოდ რწმენით შემიძლია მისი შენარჩუნება. ამის მიზეზი ცხადია. განზომილება გვადლევს მიმართულებას, განსაზღვრავს გაზომვის შესაძლებლობას, გვადლევს მეტ – ნაკლებობას. ახლა ყველა ჩვენი წრფეები ერთნაირად სქელი და უსასრულო (ან თუ გნებავთ მაღალი) არიან. შესაბამისად არ არსებობს მათში რაიმე, რაც ჩვენს გონებას უფრო მაღალი განზომილების ცნებისაკენ მიმართავდა. არავითარი „სიფრიფანა მიკრომეტრი“, – როგორც ეს თქვენმა, სივრცული სამყაროს ერთმა კრიტიკოსმა ივარაუდა – არანაირად არ გვეხმარება; რადგანაც ჩვენ არც ის ვიცით რა უნდა გავზომოთ და არც ის, რომელი მიმართულებით.

როდესაც ჩვენ ვხედავთ წრფეს, ვხედავთ რაღაცას, რაც არის გრძელი და განათებული. ნათელი, ისევე როგორც სიგრძე აუცილებელია წრფის არსებობისათვის. თუკი ნათელი გაქრება, წრფეც ჩაქრება. ამგვარად, როდესაც ვესაუბრებოდი ჩემს ფლეტლენდელ მეგობრებს შეუცნობად განზომილებაზე, რაც რაღაცით წარმოაჩენს წრფეს, მეუბნებოდნენ : „აჰ, შენ გულისხმობ ნათელს, არა?!“ და როდესაც მე ვპასუხობდი, „არა, მე ვგულისხმობ ნამდვილ განზომილებას“, მათ ერთხმად შემომძახეს – „მაშინ გაზომე ის, ან გვითხარი რომელი მიმართულებით ვრცელდება ის“; და მე მაშინვე დავდუმდი, რადგანაც არც ერთის გაკეთება არ შემეძლო.

გუშინ სახელმწიფო ციხეში ინსპექციაზე იყო *მთავარი წრე* (სხვანაირად რომ ვთქვა – ჩვენი უპირველესი ქურუმი), ის მოვიდა თავის ყოველწლიურ ვიზიტზე ჩემთან მეშვიდეჯერ და მეშვიდეჯერ შემეკითხა

„უკეთესად ხარ?“ მე შევეცადე ამეხსნა მისთვის, რომ ის არის „მაღალი“, ისევე როგორც გრძელი და განიერი, მხოლოდ მან არ იცის ეს. *წრემ* კი მიპასუხა: „შენ მეუბნები რომ ვარ „მაღალი“, მაშინ გაზომე ჩემი სიმაღლე და მეც დაგიჯერებ“. რა უნდა მექნა? როგორ უნდა მიმელო მისი გამოწვევა? მე განადგურებული ვიყავი. მან კი ტრიუმფალურად დატოვა ოთახი.

ეს შენ უცნაური გეჩვენება? მაშინ წარმოიდგინე შენი თავი მსგავს მდგომარეობაში. ვთქვათ ოთხგანზომილებიანი სამყაროს არსება მოვიდეს შენთან ვიზიტად და გითხრას: „როდესაც გაახელ თვალებს დაინახავ სიბრტყეს (რასაც ორი განზომილება აქვს) და შენ მისგან გამოიყვან სხეულს (რომელსაც აქვს სამი განზომილება); მაგრამ სინამდვილეში შენ ასევე ხედავ (მაგრამ ვერ აცნობიერებ) მეოთხე განზომილებასაც. რაც არაა ფერი, არც სიკაშკაშე და არც არაფერი ასეთი რამ, არამედ ნამდვილი განზომილება. მე ვერ გიჩვენებ მის მიმართულებას; და ვერც გასწავლი როგორ გაზომო.“ რას ეტყობი ასეთ სტუმარს? არ გამოამწყვდევი სადმე?

ეს ჩემი ბედისწერაა და ასეთია ფლექტენდელების ბუნება – უნდა ჩაკეტონ *კვადრატი* სამი განზომილების ქადაგებისათვის. ასევე იზამდით თქვენ, სამგანზომილებიანი სამყაროს მკვიდრნიც – დაიჭერდით და დაამწყვდევდით *კუბს* ოთხი განზომილების ქადაგებისათვის. ყველა განზომილებაში ერთნაირია ჰუმანისტის ხვედრი – ბრმა ანგარიშსწორება. *წერტილები, წრფეები, კვადრატები, კუბები, ზეკუბები* – ჩვენ ყველანი პასუხს ვაგებთ ერთი და იგივე შეცდომებისათვის, ჩვენ ყველანი მონები ვართ ჩვენ – ჩვენი განზომილებების ცრურწმენებისა. როგორც ერთმა თქვენმა, სივრცული ქვეყნის პოეტმა თქვა – „ბუნების ერთი შეხება ყველა სამყაროს ერთნაირს ხდის.“³

კვადრატის არგუმენტები ამ საკითხზე საკმაოდ მყარი მეჩვენება. ვისურვებდი, რომ მისი პასუხი მეორე (მორალურ) საკითხზეც ასეთივე ცხადი და დამაჯერებელი ყოფილიყო.

იყო მოსაზრებები, რომ ის ქალთმომულეა. ვისურვებდი, რომ მომეხსნა ეს საკითხი, თუკი ეს შესაძლებელი იქნებოდა. მაგრამ, რამდენადაც *კვადრატისათვის* უცხოა ჩვენი სამყაროს მორალი, მე არასწორად მოვიქცეოდი, თუკი ამ ბრალდების წინააღმდეგ მის მიერ თავის დასაცავად მოყვანილ არგუმენტებს რაიმენაირად შევცვლიდი.

ამგვარად, ვმოქმედებდი რა, როგორც ინტერპრეტატორი და მისი აზრების გადმომცემი, უნდა აღვნიშნო, რომ მისი შვიდწლიანი პატიმრობის მანძილზე მან თვითონ მოახდინა თავისი აზრების მოდიფიცირება

³ ავტორმა დამავალა მეთქვა, რომ, რადგანაც მის ნაწერში ზოგიერთი ადგილი კრიტიკოსების მიერ მცდარად იქნა გაგებული, ამიტომ მან ქვემოთ, ტექსტში დაურთო დიალოგი სფეროსთან, რომელიც ნათელს ხდის ამ საკითხებს (პირველ გამოცემაში მან არ ჩათვალა საჭირო ამ დიალოგის ჩართვა, რადგან მოსაწყენი და ზედმეტი ეგონა).

როგორც *ქალების*, ისე *ტოლოფერდა სამკუთხედების* და დაბალი კლასის მიმართაც. თვითონ, ამჟამად, იზიარებს *სფეროს* აზრს იმის თაობაზე, რომ *წრეები* უფრო მნიშვნელოვანნი არიან, ვიდრე *წრეწირები*. მაგრამ რადგან ის ისტორიას წერს, ამიტომ თავის აზრს აიგივებს (შესაძლებელია რომ ძალიან მჭიდროდ არა) იმ ზოგად შეხედულებებთან, რაც მიღებულია ფლექტენდში და (როგორც მას უთხრეს) სივრცული სამყაროსთვისაც არაა უცხო. საზოგადოდ ამ (ისტორიკოსების) შრომებში (თუკი არ ჩავთვლით თანამედროვეობას) ქალების და ადამიანების მასების ბედი თითქმის არაა ნახსენები და საერთოდ არ წარმოადგენს განხილვის საგანს.

უფრო და უფრო ბუნდოვან ნაწერში ის ცდილობს თავიდან მოიცილოს *წრიული*, ანუ არისტოკრატიული ტენდენცია რასაც კრიტიკოსები მას მიაწერენ. ის აკრიტიკებს ინტელექტუალურ ძალაუფლებას, რომლის მეშვეობითაც მცირერიცხოვანი *წრეები* მრავალი თაობის მანძილზე სარგებლობდნენ უპირატესობით უამრავ თავიანთ თანამემამულეებთან შედარებით. მას სჯერა, რომ ფლექტენდში მომხდარი ამბები თვითონ ლაპარაკობენ თავიანთ მნიშვნელობაზე და არ საჭიროებენ კომენტარს მისი მხრიდან. ამბობს, რომ რევოლუციებს ახშობენ არა მხოლოდ ჯალათები; და რომ ბუნებამ, *წრეების* შემთხვევაში – უნაყოფობამ, მათ გარდაუვალი დამარცხება მიუსაჯა. მე ვხედავ ყველა სამყაროსათვის უპირველესი კანონის მოქმედებას, რომ მაშინ, როცა ადამიანების გონება ერთი მიმართულებით მუშაობს, ბუნების სიბრძნე სხვა რამეს აკეთებს – სრულიად განსხვავებულს და ბევრად უფრო კარგს.

და ბოლოს, მკითხველებს შევახსენებთ, რომ არაა აუცილებელი ფლექტენდელების ყოველდღიური ცხოვრების ყველა მომენტი პირდაპირ ემთხვეოდეს რაიმე დეტალს სივრცული სამყაროდან. მას იმედი აქვს, რომ, წინამდებარე ნაშრომი, მთლიანობაში აღებული, იქნება როგორც წამახალისებელი, ისე სასიამოვნო საკითხავიც, სივრცული სამყაროს იმ მოკრძალებულ მკითხველთათვის, ვისთვისაც ეს საკითხები არის უაღრესად მნიშვნელოვანი, მაგრამ არა აქვთ ამ თემაზე საუბრის გამოცდილება – იტყვიან: „ეს შეუძლებელია“ და მერე ამბობენ: „ეს უნდა იყოს ზუსტად ასე და ჩვენ ყველაფერი ვიცით ამის შესახებ“.




ნაწილი I

სამყარო

„მშვიდად იყავი, სამყარო
განიერია და გრძელი“

§1. ფლექტენდის ბუნების შესახებ

მე ჩვენს სამყაროს ფლექტენდს ვეძახი – ბრტყელ სამყაროს, იმიტომ კი არა, რომ ჩვენ მას ასე ვუწოდებთ, არამედ იმიტომ, რომ ჩემი ბედნიერი მკითხველებისათვის ნათელი გახდეს მისი ბუნება. მკითხველებისათვის, ანუ თქვენთვის, ვისაც გაქვთ პრივილეგია იცხოვროთ სივრცეში.



ფიგურა 1.



ფიგურა 2.



ფიგურა 3.

წარმოიდგინეთ დიდი ფურცელი სწორი ხაზებით, სამკუთხედებით, კვადრატებით, პენტაგონებით, და სხვა ფიგურებით, რომლებიც იმის მაგივრად, რომ ერთ ადგილას იყვნენ დაფიქსირებული, თავისუფლად მოძრაობენ ზედაპირზე. მხოლოდ არ შეუძლიათ ამ ზედაპირიდან რაიმენაირად გამოვიდნენ ზემოთ, ან ქვემოთ. ეს რაღაცით იმ ჩრდილებს ჰგავს, რომელსაც თქვენი მზე აჩენს მიწაზე, მხოლოდ ჩვენს ფიგურებს მყარი და განათებული გვერდები აქვთ. წარმოიდგინეთ ეს, და თქვენ მიიღებთ კარგ წარმოდგენას ჩემი ქვეყნის და ჩემი თანამემამულეების შესახებ. ვაი, რომ რამოდენიმე წლის წინ მე შემეძლო მეთქვა „ჩემი სამყარო“, მაგრამ ახლა ჩემი გონება გახსნილია საგნების არსის უფრო

ღრმა წვდომისათვის.

ასეთ ქვეყანაში მაშინვე მიხვდებით, რომ მნიშვნელოვანია არსებობდეს რამე, რასაც დავუმახებდით „მყარს“. მე უნდა დავამატო, რომ ჩვენ განსხვავდებით ერთმანეთისაგან იმით, რომ ზოგი *სამკუთხედი*, ზოგი *კვადრატი*, ან სხვა *ფიგურა*. მოძრაობით კი ვმოძრაობთ ისე, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი. სამაგიეროდ არაფერი ამის დანახვა ჩვენ არ შეგვიძლია. თვალთ ვერც ერთ ფიგურას ვერ ვანსხვავებთ მეორე ფიგურისაგან. ერთადერთი, რასაც ვხედავთ, არის სწორი ხაზი.

ამის დემონსტრირება არაა ძნელი. მოათავსეთ პატარა მონეტა თქვენი ნაცნობი სივრცის მაგიდაზე. დახედეთ მას ზემოდან – დაინახავთ წრეს. ახლა, მიდით მაგიდის კიდესთან, დაიხარეთ ისე, რომ თქვენი თვალი მაგიდის ზედაპირს გაუსწოროთ (რაც უფრო და უფრო მიგაახლოვებთ ფლექტენდის *ფიგურებთან*) და რაც უფრო ქვემოთ დაიხრებით, წრე მით უფრო დაემსგავსება ოვალს; და ბოლოს, როცა თვალი ზუსტად მაგიდის ზედაპირის დონეზე იქნება (ამ დროს ფაქტიურად ფლექტენდში ხართ) შეამჩნევთ, რომ მონეტა ოვალურად კი არა სწორი ხაზის სახით მოჩანს. იგივეს დაინახავთ, თუ ასევე გააკეთებთ თხელი ფირფიტიდან გამოჭრილი სამკუთხედის, ოთხკუთხედის, ან, რაიმე სხვა ფიგურის შემთხვევაშიც. როგორც კი თვალი ასცილდება მაგიდის ზედაპირის დონეს, სწორი ხაზის მაგივრად გამოჩნდება ფიგურა. მაგალითისათვის აიღეთ *ტოლგვერდა სამკუთხედი*, რომელიც ჩვენთვის რესპექტაბელური კლასის, ვაჭართა კლასის წარმომადგენელია. ფიგურა 1 გიჩვენებთ მას ისე, როგორც დაინახავდით თუკი ზემოდან დახედავდით. ფიგ. 2 და ფიგ. 3 კი, გიჩვენებთ როგორ გამოჩნდება *ვაჭარი*, თუკი მას მაგიდის ზედაპირის დონეზე შეხედავთ. თუ თქვენი მზერა ზუსტად მაგიდის ზედაპირის დონეზე გაჩერდება (ეს არის ის, რასაც ვხედავთ ჩვენ, ფლექტენდელები), სწორი ხაზის მეტს ვერაფერს დაინახავთ. როდესაც მე სივრცულ სამყაროში ვიყავი, გავიგე, რომ თქვენს მეზღვაურებს ზღვებზე მოგზაურობის შედეგად გააჩნიათ მსგავსი გამოცდილება, როცა ხედავენ რაიმე შორეულ კუნძულს, ან ნაპირს, რომელიც ჰორიზონტზე მდებარეობს. შორს მდებარე მიწას აქვს ნაპირი, ყურეები, გამოშვერილი ნაწილები, შიგა და გარე კუთხეები, მაგრამ შორიდან არაფერი ასეთი არ ჩანს (თუკი თქვენი მზე მართლა ძალიან არ ანათებს და არ გაძლევთ პროექციებს შუქ – ჩრდილების საშუალებით), გარდა ერთი მთლიანი ხაზისა წყლის ზედაპირის ზემოთ.

ასე ვხედავთ რომელიმე ჩვენ *სამკუთხედს*, ან კიდეც რომელიმე სხვა ნაცნობს, რომელიც წინ შემოგვხვდება ფლექტენდში. ჩვენ არა გვაქვს მზე და არც სხვა რაიმე სინათლის წყარო, რომელიც ჩრდილებს წარმოქმნიდა. ამიტომ არაფერი არ გვეხმარება მზერისას, ისე როგორც ეს თქვენ სივრცულ სამყაროში გაქვთ. თუ ჩვენი მეგობარი ძალიან ახ-


ლოს მოვა ჩვენთან, მისი ხაზი დაგრძელდება. თუ დაგვშორდება – დამოკლდება. მაგრამ ყოველთვის გამოიყურება როგორც სწორი ხაზი. არა აქვს მნიშვნელობა რა ხარ, *სამკუთხედი, კვადრატი, პენტაგონი, ჰექსაგონი* თუ *წრე*, ყოველთვის გამოჩნდება როგორც სწორი ხაზი და სხვა არაფერი. თქვენ ალბათ მკითხავთ: „როგორ ვახერხებთ ასეთ პირობებში განვასხვავოთ ჩვენი მეგობრები ერთმანეთისაგან?“ ეს კითხვა ძალიან ბუნებრივია და პასუხი მასზე უფრო გასაგები იქნება, თუ ცოტა მეტს მოგიყვებით ფლექტენდის მაცხოვრებლების შესახებ. მხოლოდ ჯერ უფლება მომეცით ორიოდ სიტყვა გითხრათ ჩვენი ქვეყნის კლიმატსა და სახლებზე.

§ 2. ფლექტენდის კლიმატი და შენობები

როგორც თქვენთან, ისე ჩვენთანაც კომპასს ოთხი მიმართულება აქვს: ჩრდილოეთი, სამხრეთი, აღმოსავლეთი და დასავლეთი. არ გვაქვს მზე და არც რაიმე ციური სხეული. ამავე დროს ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია გავიგოთ საითაა ჩრდილოეთი. ამას ჩვენი საკუთარი მეთოდით ვაკეთებთ – ბუნებრივად გვაქვს მუდმივი მიზიდულობა სამხრეთისაკენ. ზომიერ კლიმატურ პირობებში ეს უმნიშვნელოა – ამიტომ ჯამრთელ ქალებსაც კი შეუძლიათ რამოდენიმე ფურლონგი⁴ გადაინაცვლონ ჩრდილოეთისაკენ რაიმე განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე. სამაგიეროდ, სამხრეთისაკენ მიზიდულობის ეფექტი საშუალებას გვაძლევს ჩვენი ქვეყნის უმეტეს ნაწილში ვისარგებლოთ კომპასით. გარდა ამისა, წვიმა ყოველთვის ჩრდილოეთიდან მოდის დროის თანაბარ ინტერვალებში. ქალაქებში სახლების აშენებისათვის გვაქვს სახელმძღვანელო, ისე, რომ, კედლების დიდი ნაწილი, რა თქმა უნდა, ჩრდილოეთით და სამხრეთითაა მიმართული. მათი სახურავები ჩრდილოეთის წვიმისაგან დაცვისათვის გამოიყენება. იქ, სადაც სახლები არაა, ორიენტირს ხეების ვარჯები წარმოადგენენ. მიმართულების გასაგებად არც ისე დიდი სიძნელებები არა გვაქვს, როგორც შეიძლებოდა გეგარაუდათ.

ჩვენს ზომიერ რეგიონებში სამხრეთის მიზიდულება თითქმის არ იგრძნობა. აქ სიარული ხანდახან საკმაოდ არასასიამოვნოა, თუკი ახლოს არაა არც სახლები და არც ხეები, რომელიც მიმართულებას გვიჩვენებდა. მე ხანდახან საათობით დავრჩენილვარ გაშეშებული უმოძრაოდ – ველოდებოდი წვიმის მოსვლას, რომ მოგზაურობა გამეგრძელებინა. ავადმყოფებისათვის და ხანში შესულებისათვის ისევე, როგორც ნაზი

⁴ 1 ფურლონგი არის დაახლოებით 201 მეტრი.



ქალებისათვის, მიზიდულობის ძალა უფრო საგრძნობია, ვიდრე მამაკაცებისათვის. ზრდილობიანი ქცევის წესები მოითხოვს, რომ როცა ქუჩაში ქალს შეხვდებით, ყოველთვის ჩრდილოეთის გზა უნდა დაუთმოთ. ეს, რა თქმა უნდა, ადვილი გასაკეთებელია ისეთ კლიმატურ ზონაში, სადაც ვერც კი იტყვიot საითაა ჩრდილოეთი და თუ თანაც ჯამრთელად ხართ და არაფერი გაწუხებთ.

ფანჯრები არც ერთ ჩვენებურ სახლს არა აქვს. სახლებში დღისით სინათლეა და ღამით სიბნელე. დღე და ღამის ხანგრძლიობა ერთნაირია ყველა ადგილას, რაც ჩვენ ვიცით.

ძველ დროში ერთმა ჩვენებურმა განათლებულმა კაცმა დასვა საინტერესო შეკითხვა, რომელიც ჯერ კიდევ არაა გადაწყვეტილი: „რა არის სინათლის წყარო?“ ამ კითხვას ახლა განუწყვეტლად იმეორებენ ჩვენებური საგიჟეთის მკვიდრნი, რომლებიც თითქოსდა მის ამოხსნას გვთავაზობენ. ასეთი კვლევების შემცირების მიზნით მთავრობამ დააწესა დიდი გადასახადები მათი ჩატარებისათვის. მაგრამ ეს მიდგომა უნაყოფო გამოდგა. ამიტომ შედარებით ახლო წარსულში კვლევები კანონით სრულიად აიკრძალა. ვაი, რომ მე ვარ ერთადერთი ფლექტენდში, ვინც იცის პასუხი ამ საიდუმლოზე. მაგრამ ჩემი ცოდნა უსარგებლოა ჩემი თანამემამულეებისათვის. მე დამცინიან, მე – რომელმაც ერთადერთმა ვიცი სივრცის შესახებ და იმის შესახებ, რომ სინათლე სამ განზომილებიანი სამყაროდან მოდის – თითქოს მე ყველაზე გიჟი ვიყო გიჟებს შორის!

თავი დავანებოთ ამ მტკივნეულ გადახვევებს. მომეციოთ ნება დავუბრუნდე სახლების აღწერას. ჩვენი სახლების ყველაზე გავრცელებული ფორმაა ხუთ გვერდიანი ან პენტაგონის ფორმის შენობა, ისეთი,

როგორც მოცემულია ნახატზე.

ჩრდილოეთის ორი მხარე **RO** და **OF** სახურავს წარმოადგენს. აღმოსავლეთის მხარეზე არის მცირე ზომის **WD** ჭრილი ქალებისათვის, დასავლეთის მხარეზე კი საკმაოდ განიერი **MN** ლიობი კაცებისათვის. სახლის სამხრეთი მხარე როგორც წესი კარების გარეშეა. კვადრატული და სამკუთხედის ფორმის სახლების მშენებლობა აკრძალულია; და ეს იმიტომ არის გაკეთებული, რომ კვადრატის კუთხეები (ასევე ტოლგვერდა და სამკუთხედის კუთხეებიც), უფრო გამომწვევრილია, ვიდრე პენტაგონის კუთხეები. ასევე, რადგანაც უმოძრაო ობიექტების (როგორცაა სახლები) ხაზები უფრო ბუნდოვანია, ვიდრე *ქალის*, ან *კაცის* ხაზი, არსებობს დიდი საშიშროება იმისა, რომ სამკუთხა ან, კვადრატის ფორმის სახლის წვეროებმა თუკი მათ დაეჯახებიან, საშიში დაზიანება მიაყენოს გაუფრთხილებელ ან, უყურადღებო მოგზაურებს. ამგვარად, ჩვენი ერის მეთერთმეტე საუკუნეში კანონით აკრძალული იქნა სამკუთხა სახლები. ერთადერთი გამონაკლისი აქ ფორტიფიკაციული ნაგებობებია, ასევე დენტის საწყობები, ყაზარმები და სხვა სახელმწიფო შენობები, სადაც არაა მოსალოდნელი, რომ მას რომელიმე დაუდევარი არსება მიუახლოვდება.

ამ დროისათვის კვლავ იყო ნებადართული კვადრატული სახლები, მხოლოდ მათზე სპეციალური გადასახადი იყო დაწესებული. სამი საუკუნის შემდგომ კანონით განისაზღვრა, რომ ყველა ქალაქში, რომლის მოსახლეობაც ათი ათასს აჭარბებს, პენტაგონის კუთხე ყველაზე პატარა დასაშვები კუთხეა სახლებისათვის. რაც მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მიზნებისათვის გაკეთდა. მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ლეგისლაცივა ისე გაიგო, რომ კვადრატული სახლები ყველგან პენტაგონებმა შეცვალეს. ახლა, ჩვენს დროში, ძველ, კვადრატული ფორმის შენობებს, ხანდახან აღმოაჩენენ ხოლმე მხოლოდ ძალიან ღრმა, ჩამორჩენილ სოფლებში.

§ 3. ფლეტლენდის მაცხოვრებლების შესახებ

ზრდასრული ფლეტლენდელის ყველაზე დიდი სიგრძე საშუალოდ 11 თქვენბური ინჩია⁵. 12 ინჩი მაქსიმუმად ითვლება.

ჩვენი *ქალები* სწორი ხაზებია.

ჩვენი ქარისკაცები და მშრომელი ხალხის ყველაზე დაბალი ფენების

⁵ 1 ინჩი = დაახლოებით 24 მმ. 12 ინჩი ანუ, 1 ფუტი დაახლოებით 30,5 სანტიმეტრია.

მამაკაცი წარმომადგენლები *სამკუთხედები* არიან ორი ტოლი გვერდით, სიგრძით დაახლოებით 11 ინჩი. მათი მესამე გვერდი – ფუძე ისეთი მოკლეა (ხანხადან ინჩის ნახევარზე მეტიც არაა), რომ თავიანთ წვეროსთან ძალიან მახვილ და საშინელ კუთხეს ქმნიან. ზოგიერთის ფუძე ისეთი დეგრადირებულია (მაგ. ინჩის მერვედი სიგრძის ზომისაა), რომ *ქალების* სწორი ხაზებისაგან მათი გარჩევა ჭირს – ისე ძალიან გამოშვერილია მათი კუთხეები. ჩვენთვის, ისევე როგორც თქვენთვის, ეს *სამკუთხედები* გამოირჩევიან დანარჩენებისაგან თავიანთი სახელით „*ტოლფერდა*“. მეც ასეთი სახელით მოვიხსენიებ მათ შემდგომ თხრობაში.

ჩვენი საშუალო კლასი *ტოლგვერდა სამკუთხედებისაგან* შედგება.

ჩვენი პროფესორები და ჯენტლმენები *კვადრატები* არიან (ამ კლასს მივეკუთვნები მეც), ან ხუთ გვერდიანი ფიგურები, ანუ *პენტაგონები*.

შემდეგ მოდის თავად – აზნაურობა, რომელთათვისაც რამოდენიმე საფეხური არსებობს, დაწყებული ექვსი გვერდით, ანუ *ჰექსაგონებით* და შემდეგ გვერდების რაოდენობის მატებით, სანამ არ მიაღწევენ ტიტულს „*პოლიგონი*“; ანუ მრავალკუთხედი.

როდესაც ფიგურის გვერდების რაოდენობა უსასრულო ხდება, გვერდის სიგრძე ისეთი მცირეა, რომ ფიგურა თითქმის არ განსხვავდება წრისაგან, მაშინ ეს ფიგურა ჩაირიცხება *წრიულ ქურუმთა ორდენში*. ეს წარმომადგენს უმაღლეს კლასს ჩვენთან.

ბუნების კანონია, რომ ვაჟიშვილს ერთით უფრო მეტი გვერდი აქვს, ვიდრე მამას. ასე, რომ ყოველი თაობა (როგორც წესი), ერთით უფრო მაღალ საზოგადოებრივ საფეხურზე ადის. ამგვარად *კვადრატის* შვილი გამოდის *პენტაგონი*. *პენტაგონის* შვილი *ჰექსაგონი* და ა.შ.

მხოლოდ ესაა, რომ ეს წესი ყოველთვის არ მოქმედებს ვაჭართა კლასის წარმომადგენლებისათვის და უფრო იშვიათად მოქმედებს ჯარისკაცებისათვის და მუშებისათვის, ვისაც ძნელია ჰუმანური ფიგურები და ვუძახოთ, რამდენადაც მათი ყველა გვერდი ტოლი არაა. ბუნების კანონი მათ მიმართებაში არ სრულდება და *ტოლფერდა სამკუთხედის* ვაჟიშვილი ისევე *ტოლფერდა* რჩება. მიუხედავად ამისა, *ტოლფერდა სამკუთხედებისათვისაც* კი არაა დახშული იმედის კარი. საზოგადოდ შეიმჩნევა, რომ სამხედრო გზაზე დიდი წარმატებების სერიის შედეგად, ან კიდევ მუშაობაში თავის გამოჩენით, ხელოსანთა და ჯარისკაცთა კლასიდან ყველაზე ჭკვიან ფიგურებს მცირედ უგრძელდებათ ყველაზე მოკლე გვერდი, ფუძე, და ასევე მცირედ უმოკლდებათ დანარჩენი ორი ფერდი. ამ დაბალი კლასის განსაკუთრებით ინტელექტუალური

ფიგურების ვაჟებსა და ქალიშვილებს შორის შერეულ ქორწინებაში (რომელსაც ქურუმები უკეთებენ ორგანიზებას) ხანდახან ჩნდება ფიგურა, რომელიც თითქმის *ტოლგვერდა სამკუთხედი*ა.

ძალიან იშვიათად – *ტოლგვერდა* ფიგურების დაბადების სტატისტიკას თუ შევადარებთ – *ტოლგვერდა* მამას დაებადება ნამდვილი *ტოლგვერდა* სამკუთხედი. ასეთი ფიგურის გაჩენისათვის საჭიროა არა მარტო გამიზნული ქორწინებები თაობების განმავლობაში, არამედ ასევე დიდი ხნის დაკვირვება და კონტროლი შესაძლო *ტოლგვერდა სამკუთხედის* მომავალი მშობლებისა. მშვიდი, გამიზნული და სისტემატური მუშაობა *ტოლგვერდა სამკუთხედების* ინტელექტის განვითარებისათვის მრავალი თაობის მანძილზე.

ტოლგვერდა მშობლისაგან *ტოლგვერდა* შვილის დაბადება ჩვენს ქვეყანაში ყოველთვის სიხარულის საგანია ირგვლივ, მრავალი ფურლონგის მანძილზე.

ჩვილს, მას მერე რაც გაივლის მკაცრ სანიტარულ და სოციალურ შემოწმებას, მისცემენ *ჩესიერი ფიგურის* სერტიფიკატს⁶ და ცერემონიულად მიიღებენ *ტოლგვერდა სამკუთხედების* კლასში. ამის შემდეგ დაუყოვნებლივ ჩამოართმევენ მის ამაყ და დამწუხრებულ მშობლებს და მიაშვილებენ რომელიმე უშვილო *ტოლგვერდა* ოჯახს. რომელიც დებს ფიცს, რომ არასოდეს მისცემს უფლებას თავიანთ ახალშეძენილ შვილს შევიდეს მის ყოფილ სახლში, ან რაიმენაირად ურთიერთობა ჰქონდეს მის ყოფილ ნათესავებთან. რადგანაც ახალგაზრდა, ჯერ კიდევ მოუმწიფებელი ორგანიზმი ქვეცნობიერად, მიბაძვის საშუალებით, შეიძლება დაუბრუნდეს მის გენეტიკურ დონეს.

ტოლგვერდას უეცარი გაჩენა მდაბიო მშობლებისაგან მნიშვნელოვანია არა მარტო საცოდავი მდაბიოებისათვის, რომელთათვისაც ესაა სინათლის და იმედის სხივი მათ მონოტონურ და უბადრუკ ცხოვრებაში, არამედ ასევე ფართო არისტოკრატისათვისაც. მაღალი კლასის წარმომადგენლები კარგად აცნობიერებენ ამ ფენომენის მნიშვნელობას, რამდენადაც ისინი არაფერს, ან თითქმის არაფერს არ აკეთებენ თავიანთი პრივილეგიების შემცირებისათვის, იყენებენ რა მას როგორც ბარიერს

⁶ „რა საჭიროა სერტიფიკატი?“ შეიძლება იკითხოს სივრცული სამყაროს კრიტიკოსმა: „განა *კვადრატული* ვაჟიშვილის დაბადება თვითონ სერტიფიკატი არაა, ბუნების მიერ მიცემული, რომელიც მამის *ტოლგვერდობას* გულისხმობს?“ მე გიპასუხებთ, რომ არანაირი პოზიციის მქონე არც ერთი ლეიდი, არ გაყვება ცოლად არასერტიფიცირებულ *სამკუთხედს*. მცირედ არაწესიერ სამკუთხედს ხანდახან შეიძლება *კვადრატული* შვილი ეყოლოს, მაგრამ ყოველ ასეთ შემთხვევაში პირველი თაობის არაწესიერება მესამე თაობაში იჩენს ხოლმე თავს. რაც იმაში გამოიხატება, რომ შემდეგი თაობა ვერ ხდება *პენტაგონი*, ან კიდევ *სამკუთხედის* რანგზე დაქვეითდება.

ქვედა ფენებიდან მომდინარე რევოლუციური განწყობის წინააღმდეგ.

მახვილ კუთხიანები, უკლებლივ ყველა, გამონაკლისის გარეშე, დატოვებული არიან სავალალო მდგომარეობაში. ისინი სრულიად უიმედოდ და ამბიციების გარეშე ცხოვრობენ. *წრეების* სიბრძნე განაპირობებს, რომ აღმატებულ რიცხვებში მოიძებნებიან ხელმძღვანელები, რომლებიც მათ ჯანმრთელ მდგომარეობაში შეინარჩუნებენ. ბუნების სიბრძნე გვეუბნება, რომ რამდენადაც იზრდება მუშათა კლასის ინტილიგენცია, ცოდნა და ფასეულობები, იმდენად უნდა გაიზარდოს მათი მახვილი კუთხეც (რაც მათზე ცუდად მოქმედებს) და ასევე უნდა მიუახლოვდეს ტოლგვერდა სამკუთხედის შედარებით უსაფრთხო კუთხეს.

ყველაზე დაუნდობელ და მრავალრიცხოვან *ჯარისკაცთა* კლასში - არსებებში, რომლებიც გონების უქონლობის გამო თითქმის ქალების დონეზე არიან - აზროვნების ვარჯიში, რაც საჭიროა მათი უზარმაზარი გამგმირავი ძალის გამოყენებისათვის, აქვეითებს მათ *სიმახვილეს*, როგორც ასეთს. როგორი საოცარია ბუნებაში კომპენსაციის კანონი.

მე ყოველთვის აღმაფრთოვანებდა, როგორ კარგად მართავს ფლექტენდს არისტოკრატია ღვთით ბომბებული წესებით. ბუნების კანონების ბრძნული გამოყენებით *პოლიგონებს* და *წრეებს* ყოველთვის შეუძლიათ ჩაახშონ ამბოხება მის საწყისში, ადამიანისათვის დამახასიათებელი უსაზღვრო და მომხიბლავი რწმენით - იმედის საშუალებით.

კანონის და წესრიგის სამსახურშია ასევე მეცნიერებაც. საზოგადოდ შესაძლებელი აღმოჩნდა - სახელმწიფო ექიმების მიერ ხელოვნურად, მცირე შეკუმშვის და დაგრძელების საშუალებით - ყველაზე გონიერი რევოლუციონერების ლიდერების გადაკეთება *წესიერ ფიგურებად* და მაშინვე მათი ჩარიცხვა პრივილეგიურულ კლასში. დიდი რაოდენობა ფიგურებისა, რომელიც ჯერ კიდევ არ აკმაყოფილებს სტანდარტებს, საბოლოო ჯამში კმაყოფილი უნდა იყოს იმით, რომ შეუძლიათ იყვნენ სახელმწიფო საავადმყოფოებში, სადაც მათ შექმნილი აქვთ სიცოცხლისათვის საჭირო ყველა პირობა.

იმულების წესით მხოლოდ ერთი თუ ორი ყველაზე უფრო სულელი, ჯიუტი და უიმედოდ *არაწესიერი ფიგურა* იქნა გაძევებული.

გასაცოდავებული *ტოლფერდა* მეამბოხენი უმეთაუროდ, გეგმის გარეშე არიან დარჩენილები. გაჩერებულები არიან წინააღმდეგობის გაწევის გარეშე მათი ძმების უჭკუობის გამო, რომლებსაც *უზენაესი წრე* ფულს აძლევს ამისათვის. ან, უფრო ხშირად, ძალიან ბრძნულად, ეჭვიანობას და უნდობლობას თესავენ მათ წრეში. ისინიც იწყებენ ურთიერთ შეტაკებებს და იღუპებიან ერთიმეორის კუთხეებით. ასოცი მეამბოხე არის მოხსენიებული ჩვენი ისტორიის მატრიანებში. გარდა ამისა, კიდევ ორას ოცდათხუთმეტი უკმაყოფილო; ყველა მათგანმა საკუთარი მომხრეების კუთხეზე დაასრულა სიცოცხლე.

§4. ქალების შესახებ

თუკი ჩვენი *ჯარისკაცთა კლასის* ძალიან წვეეტოანი *სამკუთხედები* საშიშვლები არიან, ადვილი მისახვედრია, რომ მათზე მეტად საშიშვლები ჩვენი *ქალები* არიან. ჯარისკაცებს თუ სოლებს შევადარებთ, ქალები ნემსები არიან. მარტივად რომ ვთქვათ, მხოლოდ წერტილები, ორ ბოლოზე მაინც. ამას დაუმატეთ ის, რომ შეუძლიათ სრულიად უჩინარი გახდნენ, თუკი მოისურვებენ და მაშინვე მიხვდებით, რომ ფლეტლენდში *ქალოთან* ხუმრობა არ შეიძლება.

აქ, ზოგიერთმა ახალგაზრდა მკითხველმა შეიძლება მკითხოს, როგორ ახერხებს ფლეტლენდელი *ქალი* უჩინარი რომ გახდეს? ეს ცხადია ახსნა – განმარტების გარეშე. მაგრამ მე მაინც ვიტყვი რამოდენიმე სიტყვას ამ საკითხზე.

დადეთ ნემსი მაგიდაზე. შემდეგ, გაუსწორეთ თქვენი მზერა მაგიდის სიბრტყეს, შეხედეთ ნემსს დადებულს სიგანეზე და მას სრულად დაინახავთ. ახლა შეხედეთ ისე, რომ თვალის წინ ნემსის ბოლო იყოს და ასეთ შემთხვევაში მხოლოდ ერთ წერტილს შეამჩნევთ. ის ფაქტიურად უჩინარია. ზუსტად ასეა ჩვენი *ქალების* შემთხვევაშიც. როცა მისი გვერდი ჩვენკენაა მობრუნებული, მაშინ ვხედავთ სწორ ხაზს. როდესაც ვუყურებთ მის თვალს ან პირს (ჩვენთან ეს ორი ორგანო იდენტურია), ვხედავთ მზრწყინავ წერტილს. მაგრამ თუკი ჩვენ თვალწინ მისი მეორე ბოლოა, რომელიც ძალიან მცირედაა განათებული, ისეთი ბნელია, როგორც უმოძრაო ობიექტი, მაშინ მისი დაფარული ბოლო უჩინმარინის ქუდივით მოქმედებს.

საშუალო კლასის რესპექტაბელური *სამკუთხედის* კუთხეც კი არაა მთლად უსაფრთხო. თუკი გაქცეული დაეჯახებით *მშრომელ* კაცს, ეს აუცილებლად დაზიანებას გამოიწვევს. *ჯარისკაცთა* კლასის ოფიცერთან შეჯახება სერიოზული ჭრილობის მიღებას ნიშნავს. *ჯარისკაცის* წვეროს უბრალო შეხებაც კი სიკვდილს იწვევს. და რა მოხდება თუკი *ქალს* გაქცეული *კაცი* დაეჯახება? აბსოლუტური დესტრუქცია. როცა *ქალი* უჩინარია, ან ბუნდოვნად ჩანს მხოლოდ ერთი წერტილი, წარმოიდგინეთ როგორი ძნელია, თვით ყველაზე ყურადღებიანისთვისაც კი, რომ თავიდან აიცილოს შეჯახება!

ჩვენი *ქალებისაგან* მომდინარე საშიშროებები მანიფესტითაა მოცემული:

1. ყოველ სახლს უნდა ჰქონდეს ერთი შესასვლელი აღმოსავლეთის მხრიდან, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ *ქალები* გამოიყენებენ; სადაც *ქალი* უნდა შევიდეს „რესპექტაბელური წესით“ და არ გამოიყენოს დასავლეთის კარები, რომელიც *მამაკაცებისთვისაა*

- განკუთვნილი⁷.
2. სიკვდილით დასჯის მუქარით არც ერთ *ქალს* არა აქვს უფლება შევიდეს საჯარო დაწესებულებაში იმის გარეშე, რომ მუდმივად გამოსცემდეს მშვიდობიანი ბზუილის ხმას.
 3. დაუყოვნებლივ უნდა იქნას განადგურებული ყველა *ქალი*, რომელსაც დაუდგენენ, რომ დაავადებულია წმ. ვიტუს ცეკვით, ქრონიკული სურდოთი, ან რაიმე სხვა დაავადებით, რომელიც გაუთვალისწინებელ მოძრაობებს იწვევს.

ზოგიერთ შტატში არის კიდევ ერთი კანონი, რომლის მიხედვით *ქალებს* ეკრძალებათ სიკვდილით დასჯის მუქარით, საჯარო ადგილას ერთ ადგილზე დგომა ან მოძრაობა იმის გარეშე, რომ განუწყვეტლად აქნიონ უკანალი მარჯვნიდან მარცხნივ, რათა გააფრთხილონ მათ უკან მდგომნი თავიანთი არსებობის შესახებ. სხვა კანონი ავალდებულებს *ქალებს* იმოგზაურონ მხოლოდ თავიანთი ვაჟიშვილების, ან მსახურების, ან მეუღლის თანხლებით. არის კიდევ კანონი, რომელიც *ქალებს* უკრძალავს სახლიდან გამოსვლას გარდა რელიგიური დღესასწაულებისა.

მაგრამ როგორც ჩვენმა ყველაზე ჭკვიანმა *წრებმა* ანუ, სახელმწიფო მოღვაწეებმა დაადგინეს, *ქალებისათვის* აკრძალვების გაძლიერება იწვევს არა მარტო ჩვენი რასის გონებრივ დაქვეითებას და რაოდენობრივ შემცირებას, არამედ ასევე ოჯახური მკვლელობების რიცხვის მნიშვნელოვან გაზრდასაც. ესე იგი, ამით სახელმწიფო უფრო მეტად ზარალდება ვიდრე სარგებლობას იღებს. როცა *ქალები* ასეთი გაღიზიანებული არიან იმით, რომ სახლებში არიან გამოკეტილი, ან სახლის გარეთ მათთვის დაწესებული ქცევის წესებს ეწინააღმდეგებიან, ისინი თავიანთ ბოლმას ქმარზე, ან შვილებზე გადმოანთხევენ. ხანდახან ხდება რომ, ზომიერი სარტყლის სოფლის მთელი მამაკაცი მოსახლეობა ერთ თუ ორ საათში მთლიანად არის ხოლმე დაშლილი *ქალების* მიერ.

ზემოთ მოხსენიებული სამი კანონი საკმარისი აღმოჩნდა სახელმწიფოს მოწესრიგებისათვის და უნდა იყოს აქცეპტირებული როგორც *ქალებისათვის* აუცილებელი.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ნაპოვნია ჩვენთვის პრინციპული დამცავი მექანიზმი. ლეგისლატურა თვითონ *ქალების* ინტერესებს იცავს, რამდენადაც გაუფრთხილებელ მოძრაობას შეუძლია გამოიწვიოს მათი მყისიერი სიკვდილი. თუკი დაუყოვნებლივ არ მოაცილებენ მჩხვლეტავ ბოლოს თავიანთ მსხვერპლს, თვითონ ქალის ნაზი სხეულიც დაზიანდება.

⁷ როდესაც სივრცულ სამყაროში ვიყავი, მე გავიგე, რომ თქვენს ზოგიერთ ქურუმებს იგივენაირად აქვთ ცალკე შესასვლელები სოფლებებისათვის, ფერმერებისათვის და სკოლის მასწავლებლებისათვის (Spectator, Sept. 1884, P. 1255), რათა „შეძლოთ შემოსვლა რესპექტაბელური წესით“.

მოდაც ჩვენს მხარესაა. მე ადრეც აღვნიშნე, რომ ზოგიერთ ნაკლებად ცივილიზირებულ ქვეყანაში არც ერთ *ქალს* არა აქვს უფლება იდგეს საზოგადოებრივ ადგილას იმის გარეშე, რომ მუდმივად აქნიოს უკანა ბოლო მარჯვნიდან მარცხნივ. ეს პრაქტიკა ფიგურების ისტორიის მთელ მანძილზე კარგად მოწყობილ სახელმწიფოში ყოველთვის უნივერსალური იყო აღზრდილი *ქალებისათვის*. საზოგადოდ სამარცხვინოა, როცა რომელიმე სახელმწიფოს ლეგისლატურა აიძულებს მოქალაქეებს გააკეთონ ის, რაც ასე ბუნებრივია და ყოველი რესპექტაბელური ქალის ინსტიქტს წარმოადგენს. ჩვენი *წრიული რანგის ქალების* უკანა ბოლოების რიტმული და მე ვიტყვოდი კარგად მოდულირებული რხევები შურის და მიბაძვის საგანია ჩვეულებრივი *ტოლგვერდებისათვის*, რომელთაც შეუძლიათ მიაღწიონ მხოლოდ უბრალო საათის ქანქარის ქანაობის მსგავს მონოტონურ ქანაობას. *ტოლგვერდების* რეგულარული ქანაობა კი მისაბამი საგანია ასე, თუ ისე, პროგრესული დამწყები *ტოლგვერდებისათვის* – იმ *ქალებისათვის*, სადაც ოჯახში „უკანალის მოძრაობა“ არ იყო მანამდე აუცილებელი.

ამგვარად, ყველა პატივცემულ და დარბაისლურ ოჯახში, „უკანა ბოლოს მოძრაობა“ სავალდებულოა ყველა დროს. ამ ოჯახებში ქმრები და ვაჟიშვილები მშვიდად გრძნობენ თავს, რადგან არ ეშინიათ უჩინარი შემოტევებისა.

ერთი წუთით არ იფიქროთ, რომ ჩვენი ქალები აფექტში მოქმედებენ. მაგრამ, საუბედუროდ, ნაზი სქესის ბუნებაში მომენტის მნიშვნელობა განუზომელია. ეს, რა თქმა უნდა, გამომდინარეობს მათი უბადრუკი კონსტრუქციიდან. რადგანაც მათ კუთხეზე არავითარი პრეტენზია არა აქვთ, ყველაზე უფრო დაბალი განვითარების ტოლგვერდებზე უფრო დაბლა დგანან, სრულიად არა აქვთ ჭკუა – გონება. არა აქვთ რეფლექსები, მსჯელობა, თუ ფიქრი და ასევე არანაირი მეხსიერება. მათ არ ახსოვთ არაფერი სიგიჟის შემოტევისას და ვერ აცნობიერებენ განსხვავებებს. მე ვიცი შემთხვევა, როცა ქალმა მთელი თვისი ოჯახი გაანადგურა, ამ ამბის შემდეგ ნახევარ საათში, როცა ნამსხვრევები მოასუფთავეს, აღარაფერი ახსოვდა და იკითხა რა დაემართაო ჩემს ქმარს და შვილებს?

საზოგადოდ ქალი არ უნდა გააღიზიანო ისეთ დროს, როცა მას შეუძლია თავისუფლად შემობრუნდეს. როდესაც ისინი თავის ოთახში არიან, რომელიც ისეა მოწყობილი, რომ მათი უპირატესობა არ იგრძნობოდეს, შეგიძლიათ თქვათ და გააკეთოთ რაც გაგიხარდებათ. რადგანაც ისინი ამ დროს სრულიად უმწეონი არიან და ერთი წუთის შემდეგ აღარაფერი ემახსოვრებათ. არც ინციდენტი, როდესაც თქვენ სიკვდილი გემუქრებოდათ და არც დაპირებები, რომელიც საჭირო იყო მისი დაწყნარებისათვის.

საზოგადოდ, ჩვენ შინაურ ურთიერთობებში ძალიან გლუვი შეხებები

გვაქვს. გარდა ჯარისკაცების ყველაზე დაბალი ფენის ოჯახებისა. აქ ქმრის მხრიდან ტაქტისა და წინდახედულობის არ გამოჩენა ხანდახან დიდ საშიშროებებს იწვევს. ჯარისკაცები ზედმეტად ენდობიან თავიანთ იარაღს – მახვილ კუთხეს. იმის მაგივრად, რომ გამოიყენონ მგრძობელობა, ეს გაუფრთხილებელი არსებები ძალიან ხშირად არ აქცევენ ყურადღებას ქალთა ოთახების სპეციალურ კონსტრუქციას, ან კიდევ აღიზიანებენ თავიანთ ცოლებს დაუფიქრებელი ლაპარაკით მათი ოთახების გარეთ და დაუყოვნებლივ არ მიაქვთ უკან თავიანთი სიტყვები. უფრო მეტიც, ბლაგვი და ჩლუნგი დამოკიდებულება სიმართლის მიმართ არ აძლევს მათ საშუალებას მისცენ ქალს უხვი დაპირებები, რომლითაც მაგალითად გონიერი *წრე* მაშინვე დააცხრობდა მის მოწინააღმდეგე *ქალს*. საბოლოო ჯამში გვაქვს სასაკლაო. რაც, ერთი მხრივ, სასარგებლოც კია, რადგანაც ამცირებს ყველაზე სასტიკი და უსიამოვნებების მოყვარული ტოლფერდების რაოდენობას. ბევრი ჩვენი *წრე* თვლის, რომ სუსტი სქესის დესტრუქტიული მოღვაწეობა წარმოადგენს ზედმეტი მოსახლეობის რეგულირების საშუალებას და ახშობს რევოლუციებს მის საწყისშივე.

ჩვენს ყველაზე საუკეთესოდ მოწყობილ, თითქმის *წრესთან მიახლოებულ* ოჯახებშიც კი, ვერ ვიტყვი, რომ ოჯახური ცხოვრების იდეა ისე მაღალია, როგორც ეს თქვენ გაქვთ სივრცულ სამყაროში. ასეთ ოჯახებში სიმშვიდეა, თუკი დანაკარგების არქონას ამ სახელს დავარქმევთ. იქ ყოველთვის არის მცირე ჰარმონია გემოვნებაში და საქმიანობაში. *წრეების* ფრთხილი სიბრძნე განაპირობებს უსაფრთხოებას ოჯახურ გარემოშიც.

ყოველ *წრიულ* თუ *პოლიგონალურ* ოჯახში უხსოვარი დროიდან არის ჩვევა და ახლა ის უკვე ინსტიქტის დონეზე აქვთ ჩვენი უმაღლესი კლასის *ქალებს*, რომ დედები და ქალიშვილები თვალს და პირს მუდმივად თავიანთი ქმრის ან, თავის მამაკაცი ამხანაგის მხარეს მიმართავენ ხოლმე. ლეიდის მიერ ქმრისათვის ზურგის შექცევა შეურაცხყოფად ითვლება, რაც დაუყოვნებლივ იწვევს სტატუსის დაკარგვას. მაგრამ, როგორც ამას მალე გიჩვენებთ, ეს ჩვევა, მიუხედავად იმისა, რომ უსაფრთხოებას ემსახურება, არც ისე უნაკლოა, როგორც ერთი შეხედვით მოგეჩვენებათ. მუშა კაცის, ან რესპექტაბელური ვაჭრის სახლში – სადაც ცოლს შეუძლია ზურგი შეუბრუნოს ქმარს, როცა სახლის საქმეებს აკეთებს, არის მშვიდობიანი ინტერვალები, როდესაც ცოლი არც ჩანს და არც მისი ხმა ისმის, გარდა უსასრულო მომღერალი სამშვიდობო ზუზუნის ხმისა. ამის საპირისპიროდ, მაღალი კლასის ოჯახებში სიმშვიდის ნატამალიც არაა. იქ მოლაპარაკე პირი და გაბრწყინებული თვალი ყოველთვის ოჯახის უფროსისკენაა მიპყრობილი. თვითონ სინათლევ ლაპარაკზე ნაკლებ დამდლელი არაა. ტაქტი და ოსტატობა, რომელიც საკმარისია ქალის ნესტარის ასაცილებლად, არაა საკმარისი ქალის პირის გასაჩერებლად,

როცა ქალს არც არაფერი აქვს სათქმელი და არც არავითარი ჭკუა და არც სინდისი არ აჩერებს, რომ არ ილაპარაკოს. რამოდენიმე ცინიკოსმა განაცხადა, რომ ისინი ამჯობინებენ სიკვდილის საშიშროებას, ვიდრე უსაფრთხოდ უსმინონ ქალის გაუთავებელ ხმას. მკითხველებს სივრცული სამყაროდან ჩვენი ქალების მდგომარეობა სავალალო შეიძლება მოეჩვენოს და ეს მართლაც ასეა.

ტოლფერდების უდაბლესი ტიპის *მამაკაცი* ცდილობს გააუმჯობესოს თავისი კუთხე და ამით გაიუმჯობესოს თავისი დეგრადირებული ყოფა. ამის საწინააღმდეგოდ, არც ერთ ქალს ამაზე ოცნებაც კი არ შეუძლია. „ერთხელ ქალი, მუდამ ქალი“ – ეს ბუნების კანონია. როგორც ჩანს მათ ევოლუციაც კი არ წყალობს.

უნდა ვაღიაროთ, რომ ქალების მდგომარეობა ბუნებრივად ბრძნულად არის მოწესრიგებული – რამდენადაც მათ არა აქვთ მდგომარეობის გამოსწორების იმედიც კი, ამიტომაც არ უნდა ჰქონდეთ მეხსიერებაც, რომ ეს არ ახსოვდეთ. იმისათვის, რომ არ ჰქონდეთ ჩარჩენილი რაიმე ანტიპატია, უთანხმოება და ის დამცირებები, რაც აუცილებელია მათი არსებობისათვის და რაც ფლეტლენდის კონსტიტუციის ბაზას წარმოადგენს.

§ 5. როგორ ვცნობთ ერთმანეთს

შენ, ვინც ხარ გაბრწყინებული მანათობელი ჩრდილით, ვინც ხარ დაჯილდოებული ორი თვალით, დაჯილდოებული პერსპექტივის ცოდნით და მრავალი ფერის მომხიბლაობით, შენ, ვისაც შეგიძლია, რომ კუთხე დაინახო და შეგიძლია დატკბე წრის მთელი გარშემოწერილობის ცქერით სამი განზომილების ბედნიერ სამყაროში. როგორ უნდა აგიხსნა ის დიდი სიძნელეები, რომელიც ჩვენ, ფლეტლენდელებმა უნდა გადავლახოთ იმისათვის, რომ ერთმანეთის კონფიგურაცია გამოვიცნოთ?

გაიხსენე რა გითხარი ზემოთ. ფლეტლენდის ყველა *არსება* თუ საგანი, მიუხედავად იმისა, მოძრავია, თუ უძრავი, მიუხედავად თავისი ფორმისა, ჩვენს მზერას ერთნაირად (ან თითქმის ერთნაირად) სწორი ხაზის სახით წარმოუდგება. მაშინ როგორ განვასხვავოთ ერთიმეორისაგან, როდესაც ყველაფერი ერთნაირად მოჩანს? პასუხი შემდეგში მდგომარეობს. გამოცნობისათვის პირველი გრძნობა სმენაა. რომელიც ჩვენ უფრო მეტად გვაქვს განვითარებული, ვიდრე თქვენ და რომელიც საშუალებას გვაძლევს არა მარტო ამოვიცნოთ ჩვენი ამხანაგების ხმა, არამედ ასევე განსხვავებაც სულ ცოტა სამ სხვადასხვა დაბალ კლასს შორის: *ტოლფერდებს*, *კვადრატებს* და *პენტაგონებს* შორის (რამდენადაც *ტოლფერდებს* არაფრად ვთვლი).

რაც უფრო მაღლა ავდივართ სოციალურ კიბეზე, უფრო და უფრო ძნელი ხდება სმენით იპოვო განსხვავება და განსხვავებული იყო სხვებისაგან. ეს ნაწილობრივად იმითაა განპირობებული, რომ ხმები ასიმულირებულია და ნაწილობრივ იმით, რომ ხმით პიროვნების გამოცნობის პრაქტიკა პლებებს შორის არის გავრცელებული და არისტოკრატებს ჩვევაში არა აქვთ.

ხმით ცნობის მეთოდი არ არის სანდო, ყოველთვის არსებობს საშიშროება, რომ ვინმე თვითმარქვიას შეეყარო. დაბალი კლასების წარმომადგენლებს ხმის ორგანოები უფრო მეტად აქვთ განვითარებული ვიდრე სმენის ორგანოები. ამგვარად, *ტოლფერდებს* ადვილად შეუძლიათ მამსგავსონ ხმა *პოლიგონის* ხმას და ცოტა ვარჯიშის მერე თვითონ *წრის* ხმასაც კი. ამიტომ პრაქტიკაში გამოიყენება კიდევ ერთი მეთოდი.

დაბალი კლასის ფიგურებსა და ქალებს შორის უცხო ფიგურის ცნობის პრინციპულ მეთოდს *შეხება* წარმოადგენს და ამ დროს პირველი კითხვა ეხება არა ინდივიდუუმის ვინაობას, არამედ იმას, თუ რომელ კლასს ეკუთვნის ის.

სივრცული სამყაროს მაღალი კლასის „წარდგინება“ ჩვენი „შეხების“ პროცესის ანალოგს წარმოადგენს. ფლელენდური წარდგინების ფორმულა „ნება მომეცით გთხოვოთ *შეხოთ* და თქვენც იყოთ *შეხებული* ჩემი მეგობრის მისტერ ამა და ამის მიერ“, ჩვენი ქვეყნის ძველმოდურ ჯენტლმენებში ჩვეულებრივ კვლავ გავრცელებულია განსაკუთრებით ქალაქებიდან მოცილებულ რეგიონებში. ბიზნესმენებს შორის მიმართვისას ფრაზა „იყავით შეხებული .. – ის მიერ“ გამოტოვებულია და წინადადება შემოკლებულია ფრაზამდე „ნება მომეცით შეხოთ მისტერ ამას და ამას“; სადაც, რა თქმა უნდა, იგულისხმება, რომ „შეხება“ ორმხრივი უნდა იყოს.

ჩვენს ახალგაზრდა და სულ უფრო და უფრო მოდერნულ ჯენტლმენებს შორის, რომლებიც განსაკუთრებულად ეწინააღმდეგებიან ზეწოლას და რომელთათვისაც თავიანთი დედაენის სიწმინდე არაფერს არ წარმოადგენს, ეს ფორმულა კიდევ უფრო დამახინჯებულია ისე, რომ „შეხება“ ტექნიკური აზრით იხმარება, ანუ ნიშნავს „რეკომენდირებულია შეხებისათვის და შეხების შეგრძნებისათვის“; და ასეთ მომენტში თავაზიანობის „სლენგი“ მაღალი კლასის საზოგადოებაში იცვლება ბარბარიზმით „მრ. სმიტ, უფლება მომეცით *შეგრძნოთ* მრ. ჯონსი.“

ჩემმა მკითხველმა არ უნდა წარმოიდგინოს, რომ *შეხება* ჩვენთვის დამლელ პროცესს წარმოადგენს და რომ ის დარჩება ჩვენში, ან იმისათვის, რომ გავიგოთ რომელ კლასს ეკუთვნის ის, აუცილებელია ინდივიდუუმის ყველა მხარეს სათითაოდ *შეხოთ*. პრაქტიკა და ვარჯიში, რომელიც სკოლაში იწყება და ყოველდღიური ცხოვრების გამოცდილებით მდიდრდება, საშუალებას გვაძლევს *ტოლფერდა* სამ-

კუთხედის, კვადრატის და პენტაგონის კუთხეზე ერთი *შეხებით* ვიგრძნობთ განსხვავებას. ასევე მინდა გითხრათ, რომ მახვილ კუთხიანი *ტოლფერდების* უტვინო კუთხეზე შეხება ჩვეულებრივ ყველაზე ჩლუნგი შეგრძნებაა. ამასთან როგორც წესი, არაა აუცილებელი, ინდივიდის სხვა კუთხეებიც გაისინჯოს.

ეს ერთი *შეხება* გვეუბნება იმ პიროვნების კლასს, ვისაც მივმართავთ, თუკი, რა თქმა უნდა, ის წარჩინებულთა უმაღლესი კლასიდან არაა. აქ სიძნელეები უფრო დიდია. ჩვენი უნივერსიტეტის ხელოვნების მეცნიერებათა კანდიდატმა ვენტბრიჯიდან, ერთხელ ძალიან შეირცხვინათავი, როდესაც *თორმეტგვერდა პოლიგონი ათგვერდიანად* გამოაცხადა. არის კიდევ ერთი მეცნიერებათა დოქტორი არ ვიცი რომელ უნივერსიტეტში, რომელსაც აქვს პრეტენზია, რომ შეუძლია მყისიერად და შეცდომების გარეშე დაადგინოს განსხვავება *ოცგვერდიანსა* და *ოცდაოთხგვერდიან* არისტოკრატს შორის.

მკითხველების ის ნაწილი, რომელსაც ახსოვს ზემოთ მოყვანილი ლეგისლატურა, რომელიც *ქალებთანაა* დაკავშირებული, ადვილად მიხვდება, რომ კონტაქტით წარდგინების პროცესი მოითხოვს სიფრთხილეს და თავაზიანობას. სხვანაირად, კუთხემ შეიძლება გამოუსწორებელი დაზიანება მიაყენოს კონტაქტის მონაწილეს. იმისათვის, ვინც *ეხება*, აუცილებელია, რომ ის, ვისაც *ეხებიან* აბსოლუტურად უმოძრაოდ იყოს გაჩერებული. განძრევა, პოზიციის მცირედი ცვლილება, უცაბედი დაცემინებაც კი, ცნობილია რომ ფატალური შედეგით სრულდება და ძირში სპობს მრავალ მოსალოდნელ მეგობრობას. ეს განსაკუთრებით *სამკუთხედების* დაბალ კლასებს ეხება. მათ თვალი ისე შორსა აქვთ მოთავსებული წვეროდან, რომ თითქმის ვერ აცნობიერებენ რა ხდება მათ ჩარჩოზე. გარდა ამისა, მათი ბუნება სასტიკია, უხეში. არაა მოწყობილი ფრთხილი *შეხებისათვის*, რაც ასე დამახასიათებელია *პოლიგონებისათვის* და რა გასაკვირია, რომ გაუფრთხილებელი *შეხება* მის თავთან სახელმწიფოს მოაკლებს ღირსეულ *ფიგურას*.

გამიგონია, რომ ჩემი ძვირფასი ბაბუა – ერთერთი უკანასკნელი *არაწესიერი* ჩემს წინაპრებში, წამოშობით *ტოლფერდების* უბედური კლასიდან, რომელმაც თავის გაქრობამდე რამოდენიმე ხნით ადრე სანიტარული და სოციალური ინსპექციის შემოწმების შედეგად მიიღო ოთხი ხმა შვიდიდან, რომელიც მას უფლებას აძლევდა *ტოლგვერდების* კლასს შეერთებოდა, ხშირად თვალცრემლიანი იგონებდა უბედურ შემთხვევას, რომელიც მის დიდ ბაბუას შეემთხვა, პატივცემულ მშრომელ *კაცს*, რომლის გონების კუთხე 59°30' იყო. ამ მონაყოლის მიხედვით, ჩემი ბედკრული წინაპარი, რომელსაც რევმატიზმი აწუხებდა, უცებ გაინძრა იმ მომენტში, როდესაც მას *პოლიგონი ეხებოდა*, რითაც ეს წარჩინებული ფიგურა დიაგონალზე გადახლიჩა. ამრიგად, ნაწილობრივ დიდი

ხნის პატიმრობის და დეგრადაციის გამო და ნაწილობრივ მორალური შოკის გამო, რომელიც გამოჰყვა მთელს ჩვენს ნათესაობას, ოჯახმა ერთ ნახევარი გრადუსით უკან დაიწია უკეთესი ცხოვრების მიღწევის გზაზე. შედეგად მივიღეთ, რომ ჩვენი ოჯახის გონება მხოლოდ 58° გრადუსზე იქნა რეგისტრირებული. ხუთი თაობა დასჭირდა ამ დანაკარგის გამოსწორებას და სრული 60° – ის მიღწევას და ყველაფერი ერთი პატარა უბედური შემთხვევის გამო!

ამ ადგილას მე თითქოს მესმის ჩემი განათლებული მკითხველების შეძახილი „რა იცით თქვენ, ფლექტენდელებმა კუთხეების შესახებ? გრადუსების და მინუტების შესახებ? ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ კუთხე, რადგანაც, სივრცის რეგიონში შეგვიძლია დავინახოთ როგორ კვეტის ორი წრფე ერთმანეთს. მაგრამ თქვენ ხომ ვერაფერს ხედავთ გარდა სწორი ხაზებისა. როგორ შეგიძლიათ თქვენ, თუნდაც გაზომოთ რაიმე კუთხე და უფრო გასაოცარია როგორ შეგიძლიათ განასხვავოთ სხვადასხვა კუთხეების ზომები?“

მე გიპასუხებთ, რომ მართალია, ჩვენ ვერ ვხედავთ კუთხეებს, მაგრამ შეგვიძლია ვივარაუდოთ მათი ზომა და თანაც დიდი სიზუსტით. ჩვენი *შეხების* გრძნობა, აუცილებლობით სტიმულირებული და განვითარებული დიდი ვარჯიშის შედეგად, საშუალებას გვამღევს უფრო ზუსტად განვსაზღვროთ კუთხეები, ვიდრე თქვენ აკეთებთ ამას მხედველობის მეშვეობით, საზომი ხელსაწყოს გარეშე. არ უნდა გამომჩეს – ჩვენ ბევრი ბუნებრივი დამხმარე საშუალება გვაქვს.

ბუნების კანონმა განაპირობა, რომ *ტოლოფერდების* გონება ნახევარ გრადუსზე იწყება, ანუ 30 მინუტზე და შეიძლება ერთი თაობის განმავლობაში გაიზარდოს ნახევარი გრადუსით (თუკი საერთოდ გაიზრდება), სანამ არ მიაღწევს მიზანს, 60° – სს. აქ მონობის ხანა თავდება და თავისუფალი კაცი შედის *წესიერ* საზოგადოებაში.

ბუნებამ თვითონ მოგვაწოდა კუთხეების ზრდადი შკალის ანბანი დაწყებული ნახევარი გრადუსიდან და დამთავრებული 60 გრადუსით, რომლის დახასიათება მთელი ქვეყნის მასშტაბით ყველა ელემენტარული სკოლის სახელმძღვანელოს აქვს დართული.

შემთხვევითი რეტროგრადული პროცესების წყალობით, გახშირებული მორალური და ინტელექტუალური სტაგნაციის და კრიმინალების და უსახლკაროების კლასის წარმომადგენლების დიდი ნაყოფიერების შედეგად, მუდმივად ჭარბობს მოსახლეობა, რომელთა გრადუსი ნახევარია ან ერთი და ამგვარად გვაქვს 10° – მდე გრადუსის მქონე ინდივიდუუმების სიმრავლე. ისინი აბსოლუტურად მოკლებული არიან სამოქალაქო უფლებებს. მათ უმრავლესობას იმდენი ტვინიც კი არ გააჩნია, რომ ომში იყვნენ გამოსადეგი. ამიტომ, მთავრობის დადგენილებით სასწავლო მასალად არიან გამოყენებულნი. შებორკილი ისეთნაირად, რომ გან-

ძრევაც ვერ მოახერხონ და არ წარმოადგენდენ საშიშროებას, მათ ათავსებენ ჩვენი დაწყებითი სკოლების საკლასო ოთახებში და გამოიყენებიან განათლების მიზნებისათვის – საშუალო კლასის წარმომადგენელთა შვილების ტაქტიკისა და ინტილიგენციის ასამაღლებლად (რასაც ეს უბედური არსებები სრულიად მოკლებულნი არიან).

ზოგიერთ ქვეყანაში ამ *ნიმუშებს* აჭმევენ და რამოდენიმე წლის განმავლობაში ინახავენ. მაგრამ უფრო მეტად განვითარებულ და კარგად მოწყობილ რეგიონებში ახალგაზრდების სამომავლო ინტერესებიდან გამომდინარე, საჭმელზე უარი თქვეს და ეგზემპლარებს თვეში ერთხელ ცვლიან (ეს დრო ამ კრიმინალური კლასის ინდივიდების საჭმლის გარეშე ცხოვრების დროს წარმოადგენს).

უფრო დაბალ გადასახადიან სკოლებში ნიმუშების დიდი ხნით შენახვით სკოლა ორმხრივად ზარალდება. ჯერ ერთი, საჭმლის ფასია გადასახდელი და კიდევ, რამოდენიმე კვირის განმავლობაში მუდმივი „*შეხების*“ გამო კუთხეები ბლაგვდება და აკურატულობას კარგავს. არ უნდა დაგვავიწყდეს კიდევ დავუმატოთ, რომ უფრო მაღალ გადასახადიანი სისტემის უპირატესობას წარმოადგენს ჭარბი *ტოლფერდების* რაოდენობის საგრძნობი შემცირება – რაც ფლექტლენდში ყოველი სახელმწიფო მოღვაწის ინტერესებს შეადგენს.

ბევრ პოპულარულ წამყვან სკოლაში სკოლის საბჭო „იაფი სისტემის“ სასარგებლოდ იხრება. მე თვითონ, ვთვლი, რომ ესაა ის შემთხვევა, როცა სიძვირე ნამდვილ ეკონომიას წარმოადგენს.

სასკოლო საბჭოს გადასაწყვეტი საკითხების განხილვა ჩემი მსჯელობის საგნიდან გადახვევა გამოვა. ამ თემაზე უკვე საკმარისად ვილაპარაკე. მინდოდა მეჩვენებინა, რომ ერთმანეთის ცნობის „*შეხების*“ მეთოდი არც ისე მოსაწყენია, ან შეუძლებელი, როგორც შეიძლება ივარაუდოთ. ბევრ შემთხვევაში უფრო სანდოცაა, ვიდრე სმენის საშუალებით ცნობის მეთოდი. ოღონდ ეგაა, რომ აქ ყოველთვის რჩება გარკვეული საშიშროება. ამ მიზეზის გამო ბევრი *ფიგურა* საშუალო და დაბალი კლასებიდან, ასევე უკლებლივ ყველა *ფიგურა პოლიგონების* და *წრეების* კლასიდან, ამჯობინებს მესამე მეთოდს, რომლიც აღწერასაც შემდეგ თავში შევეცდები.

გნ. როგორ ვცნობთ ერთმანეთს მხედველობის საშუალებით

მოგეჩვენებათ, რომ მე არათანმიმდევრული ვარ. წინა თავში გითხარით, რომ სიბრტყის სამყაროში ყველა ფიგურა ჩანს როგორც სწორი ხაზი. თან დავამატე, რომ ჩვენთან ასევე შეუძლებელია მხედველობის ორგანოთი სხვადასხვა კლასის ინდივიდუუმების განსხვავება. ახლა კი სივრცული სამყაროს მკვიდრ კრიტიკოსებს უნდა ავუხსნა, თუ როგორ ვცნობთ ერთმანეთს მხედველობის მეშვეობით.

თუკი მკითხველი თავს შეიწუხებს და დაუბრუნდება იმ პასაჟს, სადაც *შეხების* საშუალებით ერთიმეორის ცნობაზეა ლაპარაკი და ნათქვამია, რომ ეს არის უნივერსალური მეთოდი, იქვე შეიძლება იპოვოთ ფრაზა „დაბალი კლასის წარმომადგენლებს შორის“. მაღალი კლასის ფიგურები კი ზომიერი კლიმატის პირობებში გამოიყენებენ მზერის დახმარებით ცნობის პრაქტიკას.

ამის საშუალებას ნისლი გვამძლევს, რომელიც გარდა ცხელი ზონებისა, თითქმის მთელი წელიწადი ყველგან არის ჩამოწოლილი. ის, რაც თქვენთვის, სივრცული სამყაროსათვის ჯოჯოხეთს წარმოდგენს, აქრობს ლანდშაფტს, იწვევს დეპრესიებს და ასუსტებს ჯამრთელობას, ჩვენთან აღიქმება, როგორც ღვთის წყალობა, ხელოვნების ძიძა და მეცნიერების მშობელი. ახლა უფლება მომეცით ზედმეტი გადახვევების გარეშე ავიხსნათ ამ კეთილისმყოფელი ელემენტის მნიშვნელობა ფლექტენდელებისათვის.



თუკი ნისლი არ იარსებებდა, მაშინ ყველა ხაზი ტოლად და განურჩევლად ერთნაირად გამოჩნდებოდა. ასეც ხდება იმ უბედურ ქვეყნებში, სადაც ჰავა მშრალია და გამჭვირვალე. მაგრამ იქ, სადაც სქელი ნისლია, თუ ობიექტები საკმარისად დაცილებულები არიან, ვთქვათ სამი ფუტით, ისინი უფრო ბუნდოვნად მოჩანან, ვიდრე ისინი, რომლებიც ორი ფუტით და თერთმეტი ინჩით არიან დაცილებულები. საბოლოოდ, შედარებით ბუნდოვანებაზე და მკაფიოობაზე განუწყვეტელი ექსპერიმენტული დაკვირვებებით ჩვენ შესაძლებლობა მოგვცა დიდი სიზუსტით განვსაზღვროთ დასაკვირვებელი ობიექტის კონფიგურაცია.

ამ აზრის ასახსნელად უფრო მეტის გაკეთებაც შეგვიძლია, ვიდრე ზოგადი საუბარი.

ვთქვათ, მე ვხედავ რომ მიახლოვდება ორი ინდივიდი და მინდა გავიგო მათი რანგი. ვთქვათ ერთი *ვაჭარია* და მეორე *ფიზიკოსი*, ან სხვანაირად რომ ვთქვათ *ტოლგვერდა სამკუთხედი* და *პენტაგონი*. როგორ განვასხვავებ მათ ერთიმეორისგან?

სივრცულ სამყაროში ყველა ბავშვისათვის, რომელსაც გეომეტრიასთან

რაიმე შეხება ჰქონია, ჩვეული ამბავია, რომ თუკი ფიგურას ისე შევხედავთ, რომ თვალი კუთხე A – ს ბისექტრისას გაუსწორდეს, დამკვირვებლის მზერა გაივლის კუთხის გვერდებს CA და AB – ს შორის. ასე, რომ მე




ამ ორს ერთნაირი ზომით დავინახავ. ახლა ცალცალკე ვიმსჯელებ მათზე. (1) შემთხვევაში, როდესაც ვუყურებ *ვაჭარს*, დავინახავ რას? – სწორ ხაზს DAE , სადაც შუა წერტილი A ძალიან განათებული იქნება, რადგანაც ის ყველაზე ახლოსაა ჩემთან. ამავე დროს, ხაზი სწრაფად გაბუნდოვანდება წვეროებისაკენ, იმიტომ, რომ მონაკვეთები AC და AB ბოლოებისაკენ ნისლში ჩაიძირებიან. *ვაჭრის* ექსტრემალური წერტილები D და E ჩემთვის ძალიან ბუნდოვანი იქნება.

მეორეს მხრივ, (2) შემთხვევაში, როდესაც ვუყურებ *ფიზიკოსს*, აქაც დავინახავ ხაზს $D'A'E'$, განათებული ცენტრით A' , მისი ბოლოებიც ბუნდოვანდება, მხოლოდ უფრო ნელა, იმიტომ, რომ მონაკვეთები $A'C'$ და $A'B'$ უფრო ნელა იძირება ნისლში. *ფიზიკოსის* ექსტრემალური წერტილები D' და E' , არც ისე ბუნდოვანი არ იქნება, როგორც *ვაჭრის* ექსტრემალური წერტილები.

ამ ორი მაგალითიდან მკითხველი ალბათ გაიგებს, როგორ შეიძლება გამუდმებული ვარჯიშით და გამოცდილებით მაღალი კლასის კარგად განათლებულმა წამომადგენელმა დიდი სიზუსტით განსაზღვროს საშუალო და დაბალი ფენების ობიექტები მხედველობის მეშვეობით.

თუკი ჩემმა სივრცული სამყაროს მკითხველმა გაიგო და არ უარყო ჩემი მსჯელობა, როგორც არსებითად შეუძლებელი, მაშინ მე მივალწიე მიზანს. დეტალებში უფრო მეტად შესვლას აზრი არა აქვს. რამდენადაც ახალგაზრდა და გამოუცდელმა მკითხველმა შეიძლება არასწორი დასკვნები გააკეთოს იმ ორი მაგალითიდან, რომელიც მე ზემოთ განვიხილე. თითქოს მზერის საშუალებით ფიგურის გამოცნობა ადვილი საქმე იყოს, საჭიროა დავამატო, რომ რეალურ ცხოვრებაში მზერის საშუალებით ცნობის პრობლემა გაცილებით უფრო რთულია და კომპლექსური. მაგალითად, როცა მამაჩემი, *სამკუთხედი* მიახლოვდება ის ხანდახან გვერდს მიჩვენებს და არა წვეროს. ამ შემთხვევაში, თუკი მე არ ვთხოვე რომ მობრუნდეს, ან სანამ მე არ შემოუვლი მას, რაღაც დროის განმავლობაში ვეჭვობ, ხომ არაა ჩემს წინ *სწორი ხაზი*, ან უფრო ზუსტად რომ ვთქვა *ქალი*.



ან კიდევ, როცა მე ერთერთ ჩემს *ჰექსაგონალურ* შვილიშვილთან ერთად მივდივარ, მთლიანად ვხედავ ერთერთ მის გვერდს **AB**. ცხადია, რომ მე მარტო **AB** ხაზს ვხედავ განათებულს (ბოლოებზე სინათლე თითქმის არ იკლებს) და კიდევ ორი მოკლე ხაზი **CA** და **BD** მიდის სიბნელეში **C** და **D** ექსტრემალური წვეროებისაკენ.

ახლა უნდა ვძლიო ცდუნებას და აღარ გავაგრძელო საუბარი ამ თემაზე. სივრცული სამყაროს ყველა მათემატიკოსი ადვილად დამიჯერებს, როდესაც ვამტკიცებ, რომ ცხოვრებისეული პრობლემები, რომლებიც განათლებულ ადამიანებს შეხვდებათ – როდესაც ეს არის მოძრაობა, მობრუნება, წინ წასვლა, ან უკან დახევა და იგივე დროს, მცდელობა მხედველობის საშუალებით გამოიცნოს სხვადასხვა მიმართულებით მოძრავი *პოლიგონების* სახეობა და რანგი – ბუნებრივად უნდა იყოს დიდი *კუთხის* მქონე ინტელექტუალური ამოცანა. ამისათვის საჭიროა

გამოყენებული იქნას სახელგანთქმული ვენტბრიჯის უნივერსიტეტის გეომეტრიის პროფესორების მიღწევები როგორც სტატიკაში, ისე კინეტიკაში, რასაც ქვეყნის ელიტა ჩვეულებრივ სწავლობს მზერით ფიგურის ცნობის ხელოვნების და მეცნიერების შესწავლის დროს.

ჩვენი საუკეთესო ოჯახების შვილების მხოლოდ მცირე ნაწილს შეუძლიათ ფული დახარჯონ და დრო დაუთმონ ამ ძვირფასი ხელოვნების შესწავლას. ჩემთვისაც კი, საშუალო მდგომარეობის მათემატიკოსისათვის, რომელსაც ორი იმედის მომცემი მშვენივრად *წესიერი ჰექსაგონალური* შვილიშვილი მყავს, ჩემთვისაც, საკმაოდ დამაბნეველია მაღალი კლასის მბრუნავი *პოლიგონების* გარემოში ყოფნა და რა გასაკვირია, რომ ასეთი სურათი სრულიად გაუცნობიერებელი დარჩება ჩვეულებრივი *ვაჭრისათვის*, რომ არ ვილაპარაკოთ *მდაბიოზე*.

თქვენც იგივე დაგემართებოდათ, ჩემო მკითხველო, ჩვენს ქვეყანაში რომ მოხვედრილიყავით. *ფიგურების* ასეთ გროვაში ირგვლივ მხოლოდ და მხოლოდ სწორ ხაზებს დაინახავდით, მხოლოდ მცირედი განსხვავებებით და ნათელი და ბნელი ნაწილების მონაცვლეობით. უნივერსიტეტში სამი წელიც რომ გქონდეთ ნასწავლი *კენტაგონალური* და *ჰექსაგონალური* კლასების გამოცნობა და საუკეთესო იყოთ თეორიაში, მაინც დაგჭირდებოდათ მრავალი წლის ცხოვრებისეული გამოცდილება, მანამ, სანამ ხალხმრავალ ადგილას გაივლიდით იმ *ფიგურებთან* ჯიკაობის გარეშე, რომელთაც „*შეხება*“ სულაც არ სიამოვნებთ და ვინაც, თავიანთი ადმატებული კულტურით და ცხოვრებით ყველაფერი იცის თქვენი მოძრაობების შესახებ, მაშინ როდესაც თქვენ თითქმის არაფერი არ იცით მათი. ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, *პოლიგონალურ* საზოგადოებაში კარგად რომ იგრძნოთ თავი, თვითონ უნდა იყოთ *პოლიგონი*. ასეთია ჩემი საკუთარი გამოცდილება.

გასაოცარია, რამდენად არის დამოკიდებული მზერით ცნობის ხელოვნება, ან თუნდაც მას ინსტინქტი დავუმახოთ, პრაქტიკაზე და „*შეხების*“ უარყოფაზე. ისევე როგორც თქვენი ყრუ – მუნჯები, თუკი ერთხელ მიეჩვევიან ჟესტიკულაციას და ხელების ანბანის გამოყენებას, აღარასდროს არ შეეცდებიან შეიძინონ უფრო ღირებული ჩვევა ტუჩების მოძრაობით სიტყვების წაკითხვისა, ან თუნდაც, თვითონ სცადონ სიტყვების გამოთქმა. მსგავსად ჩვენი „დანახვისა“ და „შეხებისა“. ვერც ერთი ფიგურა, რომელიც ადრეული ბავშვობიდან არ მიეჩვევა „დანახვას“, ვეღარასდროს ვერ ისწავლის მას.

ამ მიზეზის გამო მაღალ საზოგადოებაში *შეხება* აბსოლუტურად აკრძალულია. მათი ბავშვები აკვნის შემდეგ საჯარო სკოლებში კი არ მიდიან (სადაც *შეხების* ხელოვნება ისწავლება), არამედ მათ აგზავნიან ექსკლუზიური ხასიათის მქონე სემინარებზე და ასევე ჩვენს სახელგანთქმულ უნივერსიტეტში, სადაც *შეხება* უკადრის ქცევად ით-

ვლება. დამნაშვე, პირველად შემჩნეული ასეთ ქცევაში პირობითად რჩება უნივერსიტეტში, მეორედ ჩადენილი ასეთი დანაშაულისათვის კი საბოლოოდ ტოვებს მას.

დაბალი კლასებისათვის მხედველობით ცნობის ხელოვნება მიუღწეველ ფუფუნებად ითვლება. ჩვეულებრივ ბიზნესმენს არ შეუძლია მის შვილს ცხოვრების მესამედი ნაწილი აბსტრაქტული თეორიების სწავლაში გაატარებინოს. ამიტომ ღარიბი ფიგურების შვილებს ადრეული ასაკიდან უფლება ეძლევათ *შეეხონ* და ამგვარად, უფრო ცოცხალი და მოძრავები არიან, ვიდრე *პოლიგონალური* კლასის აპატიური, ინერტული და განუვითარებელი ნახევრად ნასწავლი ახალგაზრდები. მაგრამ როდესაც ეს უკანასკნელნი საბოლოოდ დაამთავრებენ უნივერსიტეტს და არიან მომზადებულები თეორიის პრაქტიკაში გამოყენებისათვის, ის ცვლილება, რომელიც ამას მოსდევს, შეიძლება დავახასიათოთ, როგორც ხელახალი დაბადება. ნებისმიერ ხელოვნებაში, მეცნიერებაში და სოციალურ საქმეებში ისინი სწრაფად დაჯაბნიან ხოლმე *სამკუთხა* მოწინააღმდეგეებს.

პოლიგონალური კლასის მხოლოდ რამოდენიმე წარმომადგენელი თუ გამოჩნდება, რომელიც ვერ ახერხებს რომ წარმატებით ჩააბაროს უნივერსიტეტის დამამთავრებელი ფინალური ტესტი. წარუმატებელ უმცირესობას სავალალო ბედი ელის. ისინი ამოირიცხებიან უმაღლესი კლასიდან და ამავე დროს უარყოფილი არიან დაბალი საზოგადოების მიერაც. მათ არ გააჩნიათ არც *პოლიგონალური* ბაკალავრების, ან ხელოვნების ოსტატების სისტემატური ცოდნა და უნარ – ჩვევები და არც *მოსამსახურე* კლასის ახალგაზრდების ბუნებრივი ცოცხალი ხასიათი. მათთვის დაკეტილია ყველა პროფესიის კარი, ვერ იმუშავებენ ვერც ერთ საჯარო სამსახურში და უმრავლეს ქვეყნებში ქორწინებაც კი აკრძალული აქვთ. რადგანაც მათ აქვთ დიდი პრობლემები დაამყარონ საჭირო კავშირები. როგორც გამოცდილებამ გვიჩვენა, ასეთი ფიგურების შვილები და ასევე ავადმყოფი მშობლების შვილები უბედურები არიან, თუკი საერთოდ *არაწესიერები* არ გამოდიან.

ძველი დროში მომხდარი მრავალი არეულობის და აჯანყების მეთაურები სწორედ ასეთი, მაღალი საზოგადოებიდან გამორიცხული *ფიგურები* იყვნენ. იმდენად დიდია მათ გამო მომხდარი უბედურებები, რომ ჩვენი ყველაზე უფრო პროგრესული სახელმწიფო მოღვაწეების უფრო და უფრო მეტი ნაწილი იზიარებს აზრს იმის თაობაზე, რომ ყველა, ვინც წარმატებით ვერ ჩააბარებს უნივერსიტეტის დამამთავრებელ ფინალურ ტესტს, უნდა იყოს სამუდამო პატიმრობაში, ან უმტკივნეულოდ უნდა ჩაქრეს.

ეს უკვე *არაწესიერი ფიგურების* თემაა. რაც სპეციალური ინტერესის საგანია და ცალკე თავში იქნება განხილული.

§7. არაწესიერი ფიგურების შესახებ

აქამდე მე ვგულისხმობდი (რაც, შეიძლება დასაწყისშივე უნდა მეთქვა, როგორც განმასხვავებელი და ფუნდამენტური დებულება), რომ ყველა ჰუმანური არსება ფლექტენდში არის *წესიერი ფიგურა*, ანუ აქვს *რეგულარული* კონსტრუქცია. ამის გამო უნდა ითქვას, რომ *ქალები* არიან არა უბრალოდ ხაზები, არამედ *წრფის მონაკვეთები*, რომ *ხელოსანს* და *გარისკაცს* ორი გვერდი მაინც უნდა ჰქონდეს ტოლი, რომ *ადვოკატებს* (მეც ამ კლასის მოკრძალებული წევრი გახლავართ) ოთხი გვერდი უნდა ჰქონდეთ ერთნაირი და საზოგადოდ, *პოლიგონებს* ტოლი უნდა ჰქონდეთ ყველა გვერდი.

გვერდის ზომა, რა თქმა უნდა, ინდივიდუუმის წლოვანებაზეა დამოკიდებული. *გოგონა* დაბადებისას ერთი ინჩის⁸ ზომისაა. მაშინ, როცა ზრდასრული *ქალი* ერთ ფუტამდე⁹ შეიძლება დაგრძელდეს. ნებისმიერი კლასის *მამაკაცებშიც* შეიძლება ითქვას, რომ ზრდასრული ინდივიდუუმის ყველა გვერდის სიგრძე ერთად ორ ფუტზე ცოტა მეტია. მაგრამ ახლა ჩვენი გვერდების სიგრძე კი არაა განხილვის საგანი, არამედ ტოლობა.

ბევრი ახსნა არ ჭირდება იმის დანახვას, რომ ჩვენი ყველა გვერდი ბუნებრივად ტოლი უნდა იყოს – ფლექტენდში მთელი სოციალური ცხოვრება ამ ფაქტზეა დამოკიდებული.

თუკი ჩენი გვერდები არ იქნებოდა ტოლი, მაშინ ჩვენი კუთხეებიც არ იქნებოდა ტოლი. შეხებით, ანდა თვალთ შეფასების მაგივრად, როდესაც ინდივიდუუმის რანგის განსაზღვრისათვის საკმარისია ერთი კუთხის ამოცნობა, *არაწესიერების* შემთხვევაში ყველა კუთხის სათითაოდ *შეხება* იქნებოდა საჭირო. ცხოვრება ძალიან ხანმოკლეა ასეთი დამლელი საქმიანობისათვის. თვალთ ცნობის მთელი ხელოვნება და მეცნიერება ერთბაშად გაქრებოდა. *შეხება*, როგორც ხელოვნება არ იარსებებდა. ურთიერთობები საშიში და შეუძლებელი გახდებოდა. გაქრებოდა ყველანაირი ნდობა, წინდახედულობა. არავინ არ იქნებოდა დაზღვეული უსიამოვნებებისაგან ჩვეულებრივი სოციალური ურთიერთობების დროს. ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, ცივილიზაცია ბარბაროსობად გადაიქცეოდა.

ცოტა ხომ არ ვჭარობ, როცა მკითხველის გონებას ამ მსჯელობებით ვტვირთავ?

ერთი მომენტის ასახვა, ერთი მაგალითი ყოველდღიურობიდან ადვილად დაგარწმუნებთ, რომ ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება *წესიერებაზე* დამყარებული – კუთხეების ტოლობაზე.

⁸ დაახ. 2,5 სმ.

⁹ დაახ. 34 სმ

მაგალითად ქუჩაში შეხვდით ორ, ან სამ კაცს. რომელნიც მაშინვე ამოცანით როგორც *ხელოსანი* იმით, რომ დაინახეთ მათი კუთხე და სწრაფად დაბინდული გვერდები. ვთქვათ სთხოვეთ მათ მოსულიყვნენ თქვენთან სახლში სადილზე. ამას ახლა მშვიდად აკეთებთ, იმიტომ რომ ყველამ იცის, რომ ერთი თუ ორი ინიჩი ფართობი სჭირდება მოზრდილ *სამკუთხედს*. მაგრამ აბა წარმოიდგინეთ, რომ თქვენი *სტუმარი* მისი წესიერი და რესპექტაბელური კუთხის უკან მოათრევდეს პარალელოგრამს, რომლის დიაგონალი თორმეტი თუ ცამეტი ინიჩია. რას უზამდით ასეთ მონსტრს, რომლიც თქვენს კარებში შეეცდებოდა შემოსვლას?

მკითხველის ინტელექტს შევურაცხყოფდი, თუკი დავტვირთავდი მას დეტალებით, რაც ჩვეულებრივია იმ ბედნიერთათვის, ვინც სივრცულ სამყაროში ცხოვრობს. ასეთ პირობებში ჩვეულებრივად ერთი კუთხის გაზომვა აღარ იქნებოდა საკმარისი. მთელი ცხოვრება დაჭირდებოდა ნაცნობის *შეხებებს*, ან პერიმეტრის გამოკვლევებს. მრავალრიცხოვან საზოგადოებაში შეჯახების თავიდან ასაცილებლად საკმარისია კარგად ნასწავლი *კვადრატის* ცოდნაც. მაგრამ თუკი ვერავინ ვერ გამოიცნობდა ცალკეული *ფიგურის* ფორმებს, იქნებოდა ქაოსი და ურთიერთ შეჯახებები. მცირეოდენი პანიკაც კი სერიოზულ დაზიანებებს გამოიწვევდა. განსაკუთრებით, თუკი იქ იქნებოდა *ქალი*, ან *ჯარისკაცი*, ამას აუცილებლად სიკვდილიანობა მოჰყვებოდა.

მიზანდასახულობამ, ბუნებასთან ერთად ბეჭედი დაუსვა ფორმის წესიერებას. კანონსაც არ შეუშლია ხელი ამისათვის. „*ფიგურის არაწესიერება*“ ჩვენთვის იგივეს ნიშნავს, რასაც თქვენთან მორალურ გარყვნილებას და კრიმინალს უწოდებენ და ასეთ ფიგურებს შესაბამისადაც ექცევიან.

ჩვენმა ზოგიერთმა მეცნიერმა გამოაქვეყნა პარადოქსალური მსჯელობები (მიუღებელი ჩვენი საზოგადოებისათვის), სადაც ამტკიცებენ, რომ არაა სავალდებულო გეომეტრიული არაწესიერება მორალურ უწესობასთან იყოს დაკავშირებული. „*არაწესიერება*,“ – ამბობენ ისინი, – „გაჩენისთანავე მშობლებიდან მოდის, საკუთარი და – ძმების დაცინვებიდან, შინაურების უარყოფიდან, საზოგადოებიდან გარიყვიდან, ყოველგვარ თანამდებობიდან და შესაძლებლობებიდან გამოკლებიდან. ის მოდის უნდობლობიდან. მის ყოველ მოძრაობას პოლიცია ეჭვის თვალთ უყურებს მანამ, სანამ არ მიაღწევს გარკვეულ ასაკს და შეძლებენ მის შემოწმებას. მაშინ მას ან დაშლიან, თუკი აღმოჩნდა, რომ გადააჭარბა უწესობის დადგენილ ზღვარს, ან, გააგზავნიან სახელმწიფო ოფისში როგორც მეშვიდე კატეგორიის კლერკს. არა აქვს უფლება რომ იქორწინოს. იძულებულია იმუშაოს მცირე ხელფასის მისაღებად. იძულებულია იცხოვროს ოფისში და თავის სამუშაოსაც კი მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ ასრულებს. როგორი გასოცარია ადამიანის ბუ-

ნება, თვით ყველაზე საუკეთესო და ყველაზე გულწრფელშიც კი არის ზიზღი და გაბოროტება ასეთი მოპყრობის მიმართ!“

ამ ძალიან დამაჯერებელმა მსჯელობამ მაინც ვერ დამარწმუნა იდეის სისწორეში, რადგანაც მას არ იზიარებენ ჩვენი ყველაზე უფრო ჭკვიანი სახელმწიფო მოღვაწეები. ვითომდა ჩვენს წინაპრებს შეეშალათ, როცა შემოიტანეს პოლიციის აქსიომა, რომელიც ამბობს, რომ „*არარეგულარობისადმი* ტოლერანტულობა სახელმწიფო უსაფრთხოებასთან შეუთავსებელია“.

ექვს არ იწვევს, რომ *არაწესიერის* ცხოვრება მძიმეა. მაგრამ უდიდესობის ინტერესები მოითხოვს, რომ ეს ასე იყოს. თუკი *სამკუთხა* სახის და *პოლიგონალური* ზურგის მქონე კაცს არსებობის უფლება ექნებოდა და ამასთან *არარეგულარობას* იქადაგებდა, რა მოუვიდოდა ცხოვრების ხელოვნებას? არიან კი სახლები, კარებები და ტაძრები ფლექტლენდში ისე მოწყობილი რომ ასეთი მონსტრები შიგნით მოთავსდნენ? არიან კი ჩვენი ბილეთების კონტროლიორები ისე მოწყობილი რომ შეეძლოთ თითოეული ფიგურის ყველა გვერდის გასინჯვა, სანამ მას თეტრში, ან კიდევ სალექციო ოთახში შეუშვებენ? უნდა გავათავისუფლოთ *არარეგულარულები* სამხედრო სამსახურისაგან? და თუ არა, მაშინ როგორ უნდა დავიცვათ მისი ამხანაგების რანგები აღრევისაგან? როგორი გადაულახავი ცდუნება იქნებოდა ასეთი ქმნილებისათვის თავის მოჩვენება სხვა ვინმედ. როგორ ადვილად შევიდოდა მალაზიაში მისი *პოლიგონალური* ზურგით წინ და მოითხოვდა ყველანაირ საქონელს მოტყუებული *ვაჭრისაგან*. მივცეთ უფლება ადვოკატებს, რომელთაც მცდარად უმახიან ფილანტროპებს იბრძოლონ *არაწესიერის დასჯის კანონების* გასაუქმებლად?

მე თვითონ, არასოდეს ვყოფილვარ ცნობილი, როგორც *არარეგულარული*, არც ფარისეველი, არც მიზანტროპი და არც არანაირი უწესობის მიმდევარი. მიუხედავად ამისა, მართლაც ვიყავი განწყობილი რეკომენდაცია მიმეცა კანონისათვის „ექსტრემალური ზომების მქონე ჩვილის შვილად აყვანის შესახებ“. რადგანაც ზოგიერ შტატში დაბადებისთანავე ანადგურებენ *ფიგურას*, რომლის კუთხე ნახევარი გრადუსით განსხვავდება *რეგულარულისაგან*. ამასთან, ცნობილია, რომ, ზოგიერთ ჩვენ უმაღლეს და უწარჩინებულეს *კაცს*, ნამდვილ გენიოსს, თავის ახალგაზრდობაში თითქმის 45 მინუტის განსხვავება აწუხებდა. ასეთი *ფიგურების* დაკარგვა სახელმწიფოსათვის გამოუსწორებელი დანაკლისი იქნებოდა.

მკურნალობის ხელოვნებაც ასევე დიდ გამარჯვებებს ზეიმობს დაგრძელებაში, დამოკლებაში, კვანძების გახსნაში, კუთხეების გაზიდვაში და სხვა ქირურგიული ოპერაციების გაკეთებაში, რომლის დროსაც *არარეგულარულობა* მთლიანად, ან თითქმის მთლიანად არის აღმო-

ფხვრილი.

მედიცინის დასაცავად მე სადემარკაციო ხაზი არ გამიტარებია. მაგრამ იმ დროს, როცა ჩარჩო ჩამოყალიბებულია და როდესაც მედიცინა გვეუბნება, რომ ოპერაციით შეუძლებელია ნაკლოვანების გამოსწორება, მიმაჩნია, რომ ასეთი არაწესიერი ახალშობილები უმტკივნეულოდ უნდა განადგურდნენ.

§8. ფერწერის უძველესი პრაქტიკის შესახებ

თუკი ჩემი მკითხველები ყურადღებით მისმენდნენ, მათ არ გაუკვირდებათ იმის გაგონება, რომ ფლელენდში ცხოვრება ცოტა მოსაწყენია. მე, რა თქმა უნდა, არ მითქვამს, რომ იქ არაა ომები, ინტრიგები, არეულობები, ფრაქციები და ყველა ასეთი ფენომენი, რომელიც ისტორიას საინტერესოს ხდის. იმასაც არ უარვყოფ, რომ ცხოვრებისეული პრობლემების და მათემატიკური პრობლემების უცნაური ნარევი მუდმივად წარმოშობს ჰიპოტეზებს და იძლევა საშუალებას მყისიერი დამტკიცებისა. რაც ჩვენს ცხოვრებას ისეთ ელფერს აძლევს, რასაც თქვენ სივრცულ სამყაროში ძნელად თუ წარმოიდგენთ.

როდესაც მე ვთქვი, რომ ცხოვრება მოსაწყენია, ეს ესთეტიური ხელოვნების ნაკლებობის თვალსაზრისით ვიგულისხმე. ან კი, როგორ შეიძლება ესთეტიურად საინტერესო ყოფილიყო, როდესაც ყველა ლანდშაფტი, ყველა ისტორიული შენობა, პორტრეტი, ყვავილი, ცხოვრების მომენტები – სხვა არაფერია, თუ არა ხაზი, განათებით და ბუნდოვანებით განსხვავებული.

ეს ყოველთვის არ იყო ასე. ფერი, თუკი ტრადიცია არ იტყუება, დაწყებული უძველესი დროიდან ბრწყინვალეობას აძლევდა ჩვენი წინაპრების ცხოვრებას. ასე იყო ექვსი საუკუნის წინათაც კი, სანამ ერთმა კერძო პირმა – *პენტაგონმა*, რომლის სახელიც სხვადასხვა წყაროში სხვადასხვანაირად მოიხსენიება, აღმოაჩინა მარტივი ფერების შემადგენლობა და ხატვის ელემენტარული მეთოდი. ამბობენ, რომ მოხატა თავისი სახლი, შემდეგ მისი მოსამსახურეები, მერე მამამისი, შვილები და შვილიშვილები. სიამოვნება, რომელიც ამის შედეგად მიიღო, კომენტარს არ საჭიროებს. რამდენადაც ქრომატულობამ – როგორც ამას ყველაზე სანდო ავტორიტეტები უწოდებენ – ერთბაშად მიიპყრო მისი ჩარჩოსადმი ყურადღება და რესპექტაბელური გახადა ის. არავისთვის არ იყო საჭირო მისი *შეხება*. არავინ არ ურევდა ერთმანეთში მის წინა და უკანა მხარეებს. ყველა მისი მოძრაობა გამოთვლების გარეშე იყო აღქმული მეზობლების მიერ. არავინ არ ეჯახებოდა და არც გზის დათმობა არ უჭირდათ მისთვის. მისი ხმა დაზოგილი იყო იმ ძალაგამომცლელი წამოძახილებისა-

გან, რაც ჩვენთვის, უფრო *კვადრატებისათვის* და *პენტაგონებისათვის* ხშირად საჭიროა ჩვენი პიროვნების წარმოჩინებისათვის, როდესაც ვმოძრაობთ იგნორანტული *ტოლფერდა სამკუთხედების* ბრბოში.

ეს მოდა ელვის უსწრაფესად გავრცელდა. ერთი კვირაც არ იყო გასული, რომ უბანში ყველა *კვადრატმა* და *სამკუთხედმა* მიბაძა მის მაგალითს და გაფერადდა. მხოლოდ რამოდენიმე კონსერვატულმა *პენტაგონმა* შეინარჩუნა ძველი სტილი.

ერთი თუ ორი თვის მერე *დოდეკაგონებიც* კი დაავადებულნი იყვნენ ამ ახალი მოდით. ერთი წელი დასჭირდა იმას, რომ ეს ჩვევა წარჩინებულებსაც გადაეღოთ. არაა სავალდებულო აგიხსნათ, რომ მალე მიმდებარე რეგიონებშიც გავრცელდა და ორი თაობის შემდეგ ფლექტენდში ქალების და ქურუმების გარდა ყველა ფერადი იყო. ამ ორ კლასში ინოვაციის გავრცელების ბარიერი თვითონ ბუნებამ გააკეთა. *მრავალგვერდიანობა* აუცილებელი იყო ფერადოვნებისათვის.

„ბუნების მიერ მოცემული გვერდების სხვადასხვაობა ფერების სხვადასხვაობის საშუალებას იძლევა.“ – ასეთი იყო სოფიზმი, რომელიც იმ დროში პოპულარული იყო და რომელიც მთელ ქალაქებს მოაქცევდა ხოლმე ახალ კულტურაზე.

მაგრამ ჩვენს *ქურუმებზე* და *ქალებზე* ეს არ ვრცელდებოდა. ამ უკანასკნელთ მხოლოდ ერთი გვერდი აქვთ და ამიტომ, ზოგადად რომ ვილაპარაკოთ არა აქვთ „გვერდები“. *ქურუმები* კი, თუკი მათ ფიცს დავუჯერებთ, რომ მართლა წრეები არიან და არა მაღალი კლასის *პოლიგონები* უსასრულოდ ბევრი მცირე გვერდით, არიან გაბრწყინებული პერიმეტრით რითაც ისინი ტრაბახობენ (რასაც ქალები ეთანხმებიან და რის გამოც მწუხარებას გამოთქვამენ) – ანუ, ასევე ერთი ხაზი აქვთ, ან უფრო ზუსტად რომ ვთქვათ გარშემოწერილობა. ასე, რომ ეს ორი კლასი ზემოთ მოყვანილ აქსიომას „გვერდების განსხვავებულობა განაპირობებს ფერების განსხვავებულობას“ ვერაფერს ვერ უზამდა. მაშინ, როცა ყველა სხვა მორთულ – მოკაზმული იყო ფერებით, *ქურუმები* და *ქალები* კვლავ რჩებოდნენ ფერისაგან თავისუფალნი.

ამორალური, გარყვნილი, ანარქიული, არამეცნიერული – რაც გინდათ დაუმახეთ – ესთეტიური თვალსაზრისით, ფერების რევოლუციის დრო ხელოვნების ბრწყინვალე ბავშვობა იყო ფლექტენდში. ბავშვობა, რომელიც სამწუხაროდ ზრდასრულობაში არ გადასულა, ახალგაზრდობის ასაკამდეც კი არ მიულწევია.

ცხოვრება მაშინ თავისთავად მშვენიერი იყო, რადგანაც ცხოვრება დანახვას ნიშნავდა. პატარა წვეულებაზეც კი, ყველა ნასიამოვნები იყო. უამრავი ტონებით მოკაშკაშე საზოგადოება ტაძარში, ან კიდევ თეატრში, ჩვენი უდიდესი მასწავლებლებისა თუ მსახიობების ყურადღების გაფანტვასაც კი ახერხებდა. ჩვენი ჯარის ალღუმები გასაოცარი ფერა-

დოვნებით ხასიათდებოდა. კარგი სანახავი იყო, როდესაც ერთ ხაზში ჩამწვრივებული ოცი ათასი *ტოლფერდა* უცებ თავიანთ შავ ფუძეებს შემოაბრუნებდა და გამოაჩენდა ფორთოხლისფერ და წითელ ფერდებს, შუაში მახვილი კუთხით. *ტოლფერდა სამკუთხედების* მილიცია სამ ფერად იყო შეღებილი: წითელი, თეთრი და ლურჯი. *კვადრატული* არტილერისტების იისფერი, ლაჟვარდისფერი, ღია ყვითელი და თაფლისფერი სწრაფად ბრუნავდა მათი ალისფერი იარაღის გარშემო. ხუთფერა და ექვსფერა *კენტაგონების* და *ჰექსაგონების* ტემპერამენტული ციმციმი, როდესაც ისინი მწყობრად გადადიოდნენ მინდორზე თავიანთი ქირურგიული და გეომეტრიული მოწყობილობებით თანაშემწეებთან ერთად, ყველაფერი ეს საკმარისი იყო იმისათვის, რომ ერთ პატივცემულ და გამოჩენილ *ჩრეს*, აღფრთოვანებულს მისი ჯარის ამ სანახაობით, გვერდზე მოესროლა მარშლის ნიშანი, სამეფო გვირგვინი და წამოეძახა, რომ ამიერიდან ის მხატვრობას მოჰკიდებდა ხელს.

როგორი დიდებული და ბრწყინვალე უნდა ყოფილიყო ეს დღეები, ნაწილობრივად, იმ პერიოდის ენასა და ლექსიკონშია ასახული. ფერების რევოლუციის დროინდელი ჩვეულებრივი მოქალაქის ჩვეულებრივ გამონათქვამებში სიტყვები თუ აზრები თითქოს ფერებით იყო გაჯერებული. იმ ერას უნდა უმადლოდეს ჩვენი დღევანდელი პოეზიაც, რადგანაც რითმები კვლავ ინარჩუნებენ იმ მოდერნისტული დღეების ელფერს.

§9. ფერის უნივერსალური კანონი

სამწუხაროდ, ინტელექტუალური ხელოვნება სწრაფად კნინდებოდა. მზერით ცნობის ხელოვნება საჭირო აღარ იყო, ამიტომ პრაქტიკაშიც არ გამოიყენებოდა. გეომეტრიის, კინეტიკის და სხვა მსგავსი საგნების სწავლა უსარგებლოდ ჩათვალეს. თავად ჩვენს უნივერსიტეტშიც კი უარყოფილი იქნა და არარესპექტაბელური გახდა. *შეხების* ხელოვნებასაც იგივე ბედი ეწია დაწყებით სკოლებში.

მაშინ *ტოლფერდა* კლასებმა გადაწყვიტეს, რომ აღარ იყო საჭირო გამოეყენებინათ და ეტარებინათ სპეციალური ნიშნები და უარი თქვეს გადაეხადათ საშემოსავლო გადასახადი, რომელიც განათლებას ხმარდებოდა. დღითი დღე უფრო მეტად პრიალებდნენ და უფრო მეტად ღირსეულად მიაჩნდათ თავი, უფრო თავხედურად იქცეოდნენ, მიაჩნდათ რა თავი გათავისუფლებული ძველი ტვირთისაგან. ამას ორმაგი ეფექტი ჰქონდა: ერთი, რომ მოდრიკა მათი უხეში ბუნება და მეორე, რომ შეამცირა მათი ჭარბი რაოდენობა.

წლიდან წლამდე *ჯარისკაცები* და *ხელოსნები* უფრო და უფრო და-

ქინებით ამტკიცებდნენ და უნდა ითქვას რომ სამართლიანადაც, რომ არც ისე დიდი განსხვავება იყო მათსა და *პოლიგონების* ყველაზე მაღალ კლასს შორის. ისინი ახლა ამ უკანასკნელთა თანასწორნი იყვნენ, შეეძლოთ დაეძლიათ ყველა სიძნელე და ფერების გამოცნობის მარტივი პროცესის მეშვეობით გადაეჭრათ ყველა ცხოვრებისეული პრობლემა – როგორც სტატიკური, ისე კინეტიკური. მიუხედავად იმისა, რომ მზერით ცნობა დავიწყებული იყო, მათ დაიწყეს ბრძოლა იმისათვის, რომ კანონით აეკრძალათ ყველა „მონოპოლისტური და არისტოკრატიული მეცნიერება“ და როგორც შედეგი გაეუქმებინათ ყველა წყარო, რომლიდანაც ფინანსდებოდა მზერით ცნობის, მათემატიკის და შეხების მეცნიერებები. მალე მათ დაიწყეს მტკიცება, რომ ფერი, როგორც მეორე ბუნება, შლის განსხვავებებს არისტოკრატისა და დაბალ ფენებს შორის. რომ კანონი იგივე გზას უნდა დაადგეს და ამგვარად, ყველა კლასის წარმომადგენლები უნდა ვაღიაროთ სრულიად თანაბრად და თანაბარი უფლებების მქონედ.

სანამ მაღალი კლასის წარმომადგენლები ყოყმანობდნენ, რევოლუციის ლიდერები უფრო და უფრო შორს მიდიოდნენ თავიანთ მოთხოვნებში; და ბოლოს, ყველა კლასი თანაბრად გამოაცხადეს, *ქურუმების* და *ქალების* ჩათვლით. ვისთვისაც უნდა მიეცათ უფლება, რომ გაფერადებულიყვნენ.


როდესაც ნათქვამი იყო, რომ *ქურუმებს* და *ქალებს* გვერდები არა აქვთ, მათ უპასუხეს, რომ ბუნებამ თვითონ განასხვავა ინდივიდუუმის წინა ნაწილი (რომელიც თვალს და პირს მოიცავს), უკანასაგან. ფლეტლენდის ყველა ქვეყნების რიგგარეშე ასამბლეაზე მათ გამოიტანეს კანონი, რომლის მიხედვით ყველა ქალის წინა მხარე, რომელიც თვალს და პირს მოიცავს, უნდა შეღებილიყო წითელ ფერში, მეორე ნახევარი კი მწვანე ფერში. ქურუმებიც ასევე უნდა მოეხატათ, თვალის შემცველი ნახევარწრე წითლად, ხოლო მეორე ნახევარი, მწვანედ.

ამ კანონში ცოტა ეშმაკობაც იყო, რომელიც რა თქმა უნდა *ტოლფერდებიდან* არ მომდინარეობდა. რადგანაც ასეთი დაბალი რანგის ფიგურას არ შეიძლებოდა რომ გონებაში მოსვლოდა და მითუმეტეს, გადაეწყვიტა სახელმწიფო მოწყობის ასეთი მოდელი. ყველაფრის მოთავე ერთი *არაწესიერი წრე* იყო, რომელიც იმის მაგივრად, რომ ბავშვობაში გაენადგურებინათ, სულელური ინდულგენციის წყალობით გადარჩა. გადარჩა, რომ დაენგრია თავისი ქვეყანა და დაელუპა უამრავი მისი თანამოქალაქე.

ერთი მხრივ ეს დებულება მიმართული იყო იმისაკენ, რომ ყველა კლასის *ქალები* ქრომატულ ინოვაციაში ჩაერთოთ. რადგანაც *ქალებს* იგივე ორი ფერი მისცეს, რაც *ქურუმებს*, რევოლუციონერები ვარაუდობდნენ, რომ *ქალები* საზოგადოებაში გამოჩნდებოდნენ ისევე, როგორც

ქურუმები და იგივე პატივისცემით და უფლებებით ისარგებლებდნენ. ამ პერსპექტივამ *ქალთა* მასებში სიმპატია გამოიწვია.

ზოგი ჩემი მკითხველი შეიძლება ვერ მიხვდა, როგორ უნდა გამოჩენილიყვნენ *ქურუმები* და *ქალები* ერთნაირად ახალი ლეგისლაციური პირობებში. ამიტომ მე ორიოდ სიტყვას გეტყვით ამის შესახებ. წარმოიდგინეთ ახალი კანონის შესაბამისად მორთული *ქალი*. წინა ნახევარი (ე.ი. ის ნახევარი, რომელიც თვალს ანუ პირს შეიცავს) წითელი და დანარჩენი ნაწილი მწვანე. შეხედეთ მას ერთი მხრიდან, ჩვეულებრივად დაინახავთ ხაზს, ნახევარს წითელს და ნახევარს მწვანეს.



ახლა წარმოიდგინეთ *ქურუმი*, რომლის პირი არის **M** წერტილში და რომლის წინა ნახევარწრფე **AMB** შესაბამისად შეღებილია წითლად, მაშინ, როცა მისი დანარჩენი ნაწილი არის მწვანე. ასე რომ, დიამეტრი **AB** წითელს და მწვანეს ერთმანეთისაგან ყოფს. თუკი ისე შეხედავთ ამ პატივცემულ ფიგურას, რომ თქვენი თვალი გაუსწორდება იგივე წრფეს, რაზეც მისი **AB** დიამეტრი მდებარეობს, თქვენ დაინახავთ წრფეს **CBD**, რომლის ერთი ნახევარი **CB** იქნება წითელი და მეორე ნახევარი **BD** კი მწვანე. მთელი ხაზი **CD** უფრო მოკლე იქნება, ვიდრე ზრდასრული *ქალის* ხაზი და უფრო სწრაფად დაბნელდება ბოლოებისაკენ. ფერებით იმწამსვე გარკვეული კლასი წარმოგიდგებათ და ვერ დააკვირდებით დეტალებს. მხედველობიდან არ გამოგრჩეთ, რომ ფერების რევოლუციის პერიოდში მხედველობით ცნობის ხელოვნებაც დაკნინდა, დაუმატეთ ამას კიდევ ის, რომ *ქალები* სპეციალურად ცდილობდნენ ისე დაეჩრდილათ თავიანთი ექსტრემალური წერტილები, რომ *წრეებად* გამოჩენილიყვნენ და თქვენთვის ნათელი გახდებოდა, ძვირფასო მკითხველო, რომ *ფერების კანონმა* ჩვენ დიდი საფრთხის წინაშე დაგვაყენა – *ქურუმები* და *ქალები* შეიძლებოდა ერთმანეთში აგვრეოდა.

ადვილი წარმოსადგენია, როგორი მიმზიდველი უნდა ყოფილიყო ეს კანონი სუსტი სქესისათვის. ისინი სიამოვნებას იღებდნენ იმისაგან, რომ ფიგურები შეცდომაში შეჰყავდათ. სახლში შეეძლოთ მოესმინათ

პოლიტიკური და საეკლესიო საიდუმლოებები, რომელიც მათი მეუღლეებისათვის და ძმებისათვის იყო განკუთვნილი. *ქურუმი წრის* მაგივრადაც კი შეეძლოთ გადაწყვეტილების მიღება. სახლის გარეთ წითლის და მწვანის მოციმციმე კომბინაცია, სხვა ფერების დამატების გარეშე, უბრალო ხალხში უეჭველად იწვევდა დაუმთავრებელ შეცდომებს და *ქალებიც* ამით სარგებლობდნენ. იღებდნენ იმას, რასაც *წრეები* კარგავდნენ, ქუჩაში მიმავალი ხალხის პატივისცემას. წარმოიდგინეთ რა სკანდალი მოხდებოდა *წრიულ კლასში* თუკი *ქალები* თავისუფლად და შეუფერებლად მოიქცეოდნენ და როგორი შედეგი ექნებოდა კონსტიტუციის უპატივცემულობას. ქალები ამაზე არ ფიქრობდნენ. *წრიული* კლასის ოჯახებშიც კი ქალები ფერის უნივერსალური კანონის ტყვეობაში იყვნენ.

ამ კანონის მეორე მიზანი იყო, თვითონ *წრეების* მთლიანი დემორალიზაცია. საზოგადო ინტელექტუალური დეგრადაციის პირობებში ისინი კვლავ ინარჩუნებდნენ ნათელ აზრს და აღქმის უნარს. ადრეული ბავშვობიდან ისინი მიჩვეულები იყვნენ თავიანთ სახლებში ფერების უქონლობას. მხოლოდ წარჩინებულებმა შეინარჩუნეს *მხედველობით ცნობის მეცნიერება*, მთელი თავისი უპირატესობებით, რომელიც ინტელექტის მუდმივი ვარჯიშის შედეგად ჰქონდათ მიღებული. ამრიგად, *ფერის უნივერსალური კანონის* მიღების დღემდე *წრეებმა* არა მარტო შეინარჩუნეს, არამედ გააძლიერეს კიდევ თავიანი გავლენა დანარჩენ კლასებზე იმით, რომ არ აყვნენ მოდას.

ამის გამო, გაიძვერა *არაწესიერმა*, რომელიც როგორც ზემოთ ვთქვი, ამ ჯოჯოხეთური *კანონის* ნამდვილი ავტორი იყო, გადაწყვიტა ერთი ხელის მოქნევით დაენგრია იერარქიული სისტემა იმით, რომ აეძულებინა *წრეები* ფერებით დაბინძურებულიყვნენ. იმავე დროს მას უნდოდა მოესპო მათთვის შინაურ გარემოში მზერით ცნობის მეცნიერებაში ვარჯიშის პირობები. რითაც გამოფიტავდა მათ ინტელექტს, რადგანაც წაართმევდა თავიანთ წმინდა და უფერო სახლებს.

ერთხელ დაავადებული ქრომატული ავადმყოფობით, ყოველი მშობელი და ყოველი შვილი *წრე* სხვას აავადებდა. მხოლოდ დედასა და მამას შორის განსხვავების დანახვით შეეძლო *წრიულ* ბავშვს წარმოდგენა ჰქონოდა მხედველობით ცნობის პრობლემებზე. ამას ახლა ძალიან ხშირად ხელს უშლიდა ტყუილები დედის მხრიდან, რის გამოც მას არ ჰქონდა საშუალება გაეკეთებინა ლოგიკური დასკვნები. ქურუმების ორდენის ინტელექტის ბრწყინვალეობა კლებულობდა და ახლა უკვე გზა ხსნილი იყო არიტოკრატიული ლეგისლაციის სრული გაუქმებისაკენ და პრივილეგირებული კლასების დაქვეითებისაკენ.

§ 10. ქრომატული ამბოხებების ჩახშობა

სამი წლის განმავლობაში გრძელდებოდა არეულობები *ვერის უნივერსალური კანონის* გამო. ამ პერიოდის ბოლოსათვის ანარქიის გამარჯვება გარდაუვალი ჩანდა. საბრძოლველად გამოსული *პოლიგონების* მთელი არმია განადგურდა *ტოლფერდების* აღმატებული ძალის გამო. *კვადრატები* და *პენტაგონები* ნეიტრალიტეტს ინარჩუნებდნენ. ზოგიერთი იმედისმომცემი *წრე* გაშმაგებული მეუღლის მსხვერპლი გახდა. მრავალ წარჩინებულ ოჯახში, მტრული პოლიტიკით მოტყუებული ცოლები ევედრებოდნენ თავიანთ ქმრებს *ვერების კანონის* წინააღმდეგ არ წასულიყვნენ. ზოგმა, ვისი თხოვნებიც არ იქნა შესმენილი, მოაწყო სასაკლაო და განადგურა თავისი უმანკო შვილები და მეუღლე, დაიღუპა თავი. ისტორიაში წერია, რომ ამ სამწლიანი არეულობების დროს ოცდასამი *წრე* დაიღუპა ოჯახური უსიამოვნებების გამო.

საშიშროება მართლაც დიდი იყო. ისე ჩანდა, თითქოს *ქურუმებს* არჩევანიც არ ჰქონდათ განადგურებასა და ახალი კანონის მიღებას შორის. მაგრამ ვითარება სრულიად მოულოდნელად მთლიანად შეიცვალა ერთი ისეთი ინციდენტის გამო, რასაც სახელმწიფო მოღვაწემ არასოდეს არ უნდა შეხედოს როგორც უმნიშვნელოს, ან უსიამოვნოს და ხანდახან უნდა კიდევ გამოიწვიოს ის, რადგანაც შეუძლია უზომოდ დიდი გავლენა მოახდინოს მოსახლეობის განწყობაზე.

ერთხელ მოხდა ისე, რომ ყველაზე დაბალი რანგის მქონე *ტოლფერდამ*, რომლის ტვინი ოთხ გრადუსს არ აღემატებოდა, მაღაზია გამარცვა და შემთხვევით აურია საღებავები. მან თვითონ მოიხატა თავი, თუ ვინმეს მოახატინა, ეს არაა ცნობილი (ამ საკითხში აზრთა სხვადასხვაობაა), მაგრამ მიიღო *დოდეკაგონის* შეფერილობა. ეს ავაზაკი ქუჩაში ხმაშეცვლილი გამოელაპარაკა ერთ ობოლ ქალწულს, რომელიც წარჩინებული *პოლიგონის* შვილი იყო და რომლის სიყვარულის მოპოვებას მანამდე ვერც წარმოიდგენდა. ტყუილების სერიის შემდეგ, ერთი მხრივ იმით, რომ ბედი სწყალობდა და მეორეს მხრივ უაზრო სისულელებით და *ქალის* ნათესავების მხრიდან ჩვეული სიფრთხილის უგულველყოფით, მან მიაღწია იმას, რომ დაქორწინდა ამ *გოგონაზე*. უბედურმა *ქალმა* თავი მოიკლა მას შემდეგ, რაც გააცნობიერა თუ როგორ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

ამბავი ამ კატასტროფის შესახებ შტატიდან შტატში გავრცელდა და *ქალების* მხრიდან საშინელი აღშფოთება გამოიწვია. *ქალები* საცოდავი მსხვერპლის მიმართ სიმპატიას გრძნობდნენ და ამავდროულად გრძნობდნენ ანტიპატიას მსგავსი ტყუილების მიმართ. ხომ შეიძლებოდა რომ მათ თვითონ, ან მათ დებს და შვილებს იგივე დამართოდათ?

ვერების კანონი ახლა სრულიად ახალი ასპექტით გამოჩნდა. მრავალ

ვალმა აშკარად გამოამჟღავნა ანტაგონიზმი. დანარჩენებს სჭირდებოდათ მხოლოდ მცირე სტიმული მსგავსი განცხადების გასაკეთებლად.

წრეები ჩაეჭიდნენ ამ შესაძლებლობას და სახელმწიფოთა განსაკუთრებული ასამბლეა მოიწვიეს. ჩვეულებრივი დაცვის გარდა მათ მზად ჰყავდათ მსჯავრდებულები და ასევე უამრავი რაოდენობა რეაქციონერი ქალი.

ამ უჩვეულო შეკრების მსვლელობისას იმ დროინდელ *მთავარ წრეს*, სახელად პანტოციკლს, ას ოცი ათასი *ტოლოფერდას* სტვენაში და ყვირილში მოუწია გამოსვლა. მან სიჩუმე დაამყარა იმით, რომ გამოაცხადა, რომ ამიერიდან *წრეები* კონცესიის პოლიციაში დაიწყებდნენ სამსახურს და უმრავლესობის სურვილის გათვალისწინებით ისინი პატივს სცემდნენ *ფერების კანონს*. არეულობა მყისიერად ტაშმა შეცვალა. მან მოიწვია ქრომატული არეულობების ლიდერი დარბაზის ცენტრში. რათა ის და მისი მიმდევრები გაცნობოდნენ საზოგადოებას. ამას მოჰყვა სიტყვით გამოსვლა, რიტორიკის ხელოვნების ნიმუში, რომელმაც თითქმის ერთი დღე დაიკავა.

ცივად გამოაცხადა, რომ რადგანაც ახლა ისინი შეუერთდნენ რეფორმას, თუ ინოვაციას, კარგი იქნებოდა საბოლოოდ გადაეხედათ საგნის მთელი არსისათვის ყველა მისი ნაკლოვანებების და უპირატესობების გათვალისწინებით. მერე თანდათან დაიწყო იმ საშიშროებების ჩამოთვლა, რომელიც ემუქრებოდა *ვაჭრებს*, *პროფესიულ კლასებს* და *ჯენტლმენებს*. დააწყნარა *ტოლოფერდების* მიერ ატეხილი ჩურჩული, იმით, რომ შეახსენა მათ, რომ ყველა ნაკლის მიუხედავად ის მომხრე იყო მივლო *კანონი*, თუკი მას უმრავლესობა მისცემდა ხმას.

ამ დროს უკვე ცხადი გახდა, რომ ყველა, *ტოლოფერდების* გარდა, შეძრა მისმა სიტყვებმა და ან თავს იკავებდნენ *კანონის* მიღებაზე, ან სრულიად უარყოფდნენ მას.

მიუბრუნდა რა ახლა *მუშებს*, მან დაიწყო მტკიცება, რომ მათი ინტერესები არ უნდა იყოს უგულვებელყოფილი და რომ, თუკი ისინი დაჟინებით მოითხოვდნენ *ფერების კანონის* მიღებას, მთლიანად უნდა გაეაზრებინათ აგრეთვე მისი შედეგებიც. „ბევრი თქვენგანი“, – თქვა მან, – „იმ აზრისაა, რომ უნდა იყვნენ მიღებულნი *წესიერი სამკუთხედების* კლასში. სხვები თავს დაჩაგრულად გრძნობენ მათი შვილების და იმ განსხვავებების გამო, რომელთა გასწორება მათ არ შეუძლიათ. ეს ამბიციები ახლა დაკმაყოფილდება. ფერის უნივერსალურობის გამო ყველა განსხვავება გაქრება. *რეგულარობა* და *არარეგულარობა* ერთმანეთში აირევა. განვითარება ადგილს დაუთმობს რეგრესს. *მუშა* რამოდენიმე გენერაციის შემდეგ *ჯარისკაცის* დონეზე დავა, ან კიდევ *მსჯავრდებული* გახდება. პოლიტიკური ძალაუფლება უდიდესობის ხელში აღმოჩნდება, სხვანაირად რომ ვთქვათ *კრიმინალების* ხელში. რომლებიც ყოველთვის

უფრო მეტნი არიან, ვიდრე *პროფესიონალები*. და მალე, როცა ბუნებრივი კომპენსაციის კანონი დაირღვევა, კრიმინალები ერთად აღებულ ყველა სხვა კლასს გადააჭარბებენ თავიანთი რაოდენობით“.

ჩუმმა ჩურჩულმა გადაუარა *ხელოსნების* რიგებს. ქრომატულობის მოყვარულთა ლიდერს ჰქონდა მცდელობა გამოსულიყო წინ და ეპასუხა, მაგრამ ის გარშემორტყმული აღმოჩნდა მცველებით და იძულებული იყო ჩუმად ყოფილიყო, სანამ *მთავარი წრე* ლაპარაკობდა.

წრემ ბოლოს რამოდენიმე სიტყვით მიმართა *ქალებს* და აღნიშნა ფაქტი, რომ თუკი *ფერების კანონი* შევიდოდა ძალაში, არც ერთი ქორწინება აღარ იქნებოდა უსაფრთხო, არც ერთი *ქალის* ღირსება აღარ იქნებოდა დაცული. ყოველ ოჯახში იქნებოდა ტყუილი, ეშმაკობა, ფარისევლობა. სახლის სიწმინდე გაიზიარებდა კონსტიტუციის ბედს და სწრაფად განადგურდებოდა. „ამის შემდეგ,“ – დაიყვრა მან, – „მოვა სიკვდილი!“

ამ სიტყვებით, რომელიც შეტევის დაწყების ნიშანი იყო, დამნაშავე *ტოლოფერდები* დაეცნენ და უბედური ქრომატისტები ერთ ადგილას გაშემდნენ. *რეგულარულმა* კლასებმა გახსნეს თავისი რიგები და გზა გაუხსნეს *ქალების* ჯგუფს, რომლებიც *წრეების* მითითებით უკან უკან მოძრაობდნენ, უჩინრად და უშეცდომოდ უახლოვდებოდნენ *ჯარისკაცებს*, რომლებიც არაფერს არ ელოდნენ. *ხელოსნებმაც* მიბადეს თავიანთ უფროსებს, მათაც გახსნეს რიგები. *დამნაშავეთა* განწირულმა ჯგუფებმა გადაკეტეს ყველა ფლანგი.

ბრძოლა, ან უფრო სწორად სასაკლაო, დიდ ხანს არ გაგრძელებულა. *წრეების* ჭკვიანური მეთაურობით *ქალების* ყველა მიზანი განგმირული აღმოჩნდა და ბევრმა შეძლო თავიანთი ნესტარი ისე გამოეძრო მსხვერპლიდან, რომ არ დაშავებულიყო. ისინი მზად იყვნენ მეორე დარტყმისათვის. მაგრამ მეორე დარტყმა არ აღმოჩნდა საჭირო. *ტოლოფერდების* მდაბიოებმა დანარჩენი საქმე თვითონ გააკეთეს.

გაოგნებულმა, ლიდერის გარეშე დარჩენილმა ქრომატისტებმა, რომლებიც ყოველი მხრიდან უჩინარი შეტევების მსხვერპლი ხდებოდნენ, ერთბაშად დაკარგეს გონება და დაიწყეს ყვირილი „ღალატია!“ მათ უკან განლაგებული *მსჯავრდებულების* გამო უკანდასახევი გზა მოჭრილი ჰქონდათ. ამან გადაწყვიტა მათი ბედი. ყოველი *ტოლოფერდა* სხვა *ტოლოფერდაში* მტერს ხედავდა. ნახევარ საათში არც ერთი მათგანი ცოცხალი აღარ იყო. დაახლოებით შვიდი ათასი განგმირული *კრიმინალი* ფიგურის ფრაგმენტები კუთხეებით ერთმანეთზე იყო დაყრილი. ეს უკვე წესრიგის გამარჯვების ნიშანი იყო.

წრეებმა უკიდურეს ზომებს აღარ მიმართეს. *მუშები* დაზოგეს, მაგრამ დაამდაბლეს. გამოძახებული იქნა *ტოლოფერდების* მილიცია და ყოველი *სამკუთხედი*, რომელიც *არარეგულარობაში* იყო შემჩნეული, მაშინვე განადგურდა სახელმწიფო სასამართლოს მიერ ზედმეტი ფორმალური

ზუსტი გაზომვების გარეშე. *ჯარისკაცების* და *ხელოსნების* სახლებში ტარდებოდა ინსპექციები მთელი წლის განმავლობაში. ამ პერიოდის მანძილზე ყოველი ქალაქი, სოფელი და დასახლება სისტემატურად იწმინდებოდა დაბალი რანგის ზედმეტი ფიგურებისაგან. ჯარისკაცებს და მუშებს დამნაშავეობის გადასახადს ახდევინებდნენ სკოლების და უნივერსიტეტის სასარგებლოდ და ასევე ფლექტლენდის კონსტიტუციის და სხვა ბუნებრივი კანონების დარღვევების გამო.

ამგვარად, ბალანსი კლასებს შორის კვლავ აღდგა. უპრიანი იქნებოდა გვეთქვა, რომ ფერების გამოყენება გაუქმდა და მათი მოხმარება აკრძალა ყველას, გარდა *წრეებისა* და კვალიფიცირებული *მეცნიერებისა*. აიკრძალა აგრეთვე იმ სიტყვების ხმარება, რომელიც ფერს აღნიშნავდა. დამნაშავეს დიდი ჯარიმა ეკისრებოდა. მხოლოდ ჩვენს უნივერსიტეტში, ისიც უმაღლეს ეზოთერულ კურსზე, რომელზე დასწრების ნებართვა მე არასოდეს მქონია, ნებადართულია ფერების მცირედი გამოყენება მათემატიკის ღრმა პრობლემების ილუსტრირებისათვის (ეს მე გადმოცემით ვიცი).

ფლექტლენდში ამჟამად ფერები აღარ არსებობს. მათი დამზადების ხელოვნება მხოლოდ ერთმა ცოცხალმა პიროვნებამ იცის – *მთავარმა წრემ*. სიკვდილის სარეცელზე ის ამ საიდუმლოს გადასცემს მხოლოდ მის შემცვლელს. ერთადერთი ფაბრიკა ამზადებს საღებავს და იმისათვის, რომ საიდუმლო არ გაითქვას, *მუშებსაც* ანადგურებენ და ახალი ძალებით ცვლიან. ისეთი დიდია საფრთხე, რომელიც ახლაც კი აშინებს არისტოკრატიას, როდესაც აგონდებათ *ფერის უნივერსალური კანონი*.

§ 11. ქურუმების შესახებ

უკვე დროა თავი დავანებო ფლექტლენდის შესახებ საუბარს და გადავიდე ამ წიგნის მთავარ თემაზე, სივრცეში ჩემი მოგზაურობის ამბავზე. ეს არის ჩემი საუბრის საგანი. ყველაფერი, რაც მანამდე მოხდა, უმნიშვნელოა. ამიტომ მე უნდა გამოვტოვო მრავალი თემა, რომელიც განმარტებას მოითხოვს და რომელიც საინტერესო იქნებოდა ჩემი მკითხველებისათვის. მაგალითად მეთოდი, ფეხების გარეშე როგორ ვიწყებთ მოძრაობას, ან როგორ ვჩერდებით. ხელების გარეშე როგორ ვახერხებთ ხის, ქვის ან, აგურების დამუშავებას. ან როგორ ვაკეთებთ სახლის საძირკველს, ან როგორ ვძლევთ გვერდითი წნევის ძალას; როგორ მოდის წვიმა თანაბარი ინტერვალებით ჩვენს სხვადასხვა კლიმატურ ზონებში, ისე, რომ ჩრდილოეთის რეგიონები არ სველდება იმ წვიმით, რომელიც მოდის სამხრეთში. ვერ აგიხსნით ჩვენი მთების და მდაროების

ბუნებას, არ მომიყოლია ჩვენი ხეების და ბოსტნეულის შესახებ, ჩვენი სეზონების და მოსავლის შესახებ. არ იცით არაფერი ჩვენი ანბანის და წერის მანერის შესახებ, რომელიც წრფივი დაფებისთვისაა ადაპტირებული. ეს და მრავალი სხვა დეტალი ჩვენი ფიზიკური ყოფიდან გამოვტოვებ, ან არც კი მიხსენებია. არ გეგონოთ, რომ დამავიწყდა. მინდა იცოდეთ, რომ ეს ყველაფერი მკითხველის დროის დაზოგვის მიზნით გავაკეთე.

სანამ მივიდოდე ჩემს მთავარ თემასთან, უნდა გავაკეთო კიდევ რამოდენიმე საბოლოო შენიშვნა, რომელსაც ჩემი მკითხველი უთუოდ ელოდება – მინდა ვილაპარაკო ფლექტენდის კონსტიტუციის ბურჯებზე. მათზე, ვინც არის ჩვენი ქცევის კონტროლიორი და ჩვენი ბედის გამგებელი. სუბიექტებზე, რომლებიც უნივერსალური პატივისცემის და თაყვანისცემის საგანს წარმოადგენენ. საჭიროც არაა იმისი თქმა, რომ მე ჩვენს *წრეებს*, ანუ *ქურუმებს* ვგულისხმობ.

როდესაც მე მათ *ქურუმებს* ვუძახი, ეს სახელი თქვენთვის ცნობილი აზრით არ უნდა გაიგოთ. ჩვენთვის *ქურუმები* არიან ყველა ბიზნესის, ხელოვნების და მეცნიერების წარმმართველები. ვაჭრობის, კომერციის, არქიტექტურის, საინჟინრო საქმის, სამხედრო საქმის, განათლების, სახელმწიფო საქმეების, ლეგისლატურის, მორალის, თეოლოგიის გამგებლები. არაფერს არ აკეთებენ თვითონ, მხოლოდ აკონტროლებენ სხვების ქმედებას.

საზოგადოდ ყველა, ვისაც *წრეს* ეძახიან, არაა ნამდვილი წრე. კარგად განათლებულმა ფიგურებმა იციან, რომ *წრე* წრე კი არაა, არამედ ძალიან დიდი რაოდენობა მცირე გვერდების მქონე *პოლიგონი*. როდესაც გვერდების რაოდენობა იზრდება, პოლიგონის ფორმა წრეს უახლოვდება და როდესაც რაოდენობა მართლაც ძალიან დიდია, მაგალითად სამასი, ან ოთხასი, ყველაზე ფაქიზი *შეხებითაც* კი უაღრესად მნელია შეიგრძნო პოლიგონალური კუთხეები.

უფრო სწორად უნდა მეთქვა „მნელი იქნებოდა“, რადგანაც როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, *შეხებით* ცნობა მაღალ საზოგადოებაში არაა მიღებული, ამიტომ *წრის* შეგრძნება *შეხებით* უდიდესი შეურაცხყოფა იქნებოდა მისთვის.

მაღალი საზოგადოების წევრების მიერ *შეხებიდან* თავის შეკავება საშუალებას აძლევს *წრეებს* შემოიხვიონ მისტერიის საბურველი თავისი პერიმეტრის ანუ გარშემოწერილობის ნამდვილი ბუნების დასაფარავად.

მათი პერიმეტრი დაახლოებით სამი ფუტია¹⁰, აქედან გამომდინარე, სამასი გვერდის მქონე პოლიგონის თითოეული გვერდი ფუტის მესამედზე მეტი არაა - ანუ იწის მეთაედი ნაწილი¹¹. ექვსასი თუ შვიდასი გვერდის მქონე პოლიგონისათვის გვერდები სივრცული სამყაროს ქინძისთა-

¹⁰ ე.ი. 3 x 30,5 სმ , ანუ დაახლოებით 95 სმ.

¹¹ ე.ი. 2,5 მმ

ვის დიამეტრზე ნაკლებია. პატივისცემის გამო ყოველთვის იგულისხმება, რომ *მთავარ წრეს* ათი ათასი გვერდი აქვს.

წრეების შთამომავლების სოციალური წინსვლა არაა ისე შეზღუდული, როგორც ეს *რეგულარული* ფიგურების დაბალ კლასში ხდება. სადაც ბუნების კანონით გვერდების რაოდენობა ყოველ შემდგომ თაობაში ერთით იზრდება. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, *წრის* გვერდების რაოდენობა მხოლოდ გენეალოგიის და არითმეტიკის საკითხი იქნებოდა და *ტოლფერდა სამკუთხედის* ოთხას ოთხმოცდა მეჩვიდმეტე შთამომავალი აუცილებლად ასგვერდიანი *პოლიგონი* იქნებოდა. მაგრამ ეს ასე არ არის. ბუნების კანონი გვამღევეს ორ ანტაგონისტურ მიმართულებას, რომელიც *წრეების* შთამომავლობას ეხება. პირველი, ის, რომ რასა განვითარების შედეგად უფრო მაღალ საფეხურზე ადის. ამიტომ განვითარება სულ უფრო სწრაფად მიმდინარეობს და მეორე, იგივე პროპორციით უფრო განვითარებული რასა ნაკლებად ნაყოფიერი ხდება. ამის შედეგად ოთხასი და ხუთასი გვერდის მქონე *პოლიგონის* ოჯახში ძვირად თუ ნახავთ ვაჟიშვილს და თუ ნახავთ, მხოლოდ ერთს.

მეორეს მხრივ, ცნობილია შემთხვევები, როცა ხუთას გვერდიან *პოლიგონის* ვაჟს ჰქონდა ხუთასორმოცდაათი გვერდი, ან სულაც ექვსასი გვერდი.

მეცნიერებაც მონაწილეობს ევოლუციის დაჩქარების პროცესში. ჩვენმა ექიმებმა აღმოაჩინეს, რომ მაღალი კლასის ჩვილი *პოლიგონის* მცირე და სუსტი გვერდები შეიძლება დაიყოს და მთელი მისი ჩარჩო გადაეწყოს ისეთი სიზუსტით, რომ ორას თუ სამას გვერდიანი *პოლიგონი* ხანდახან – ყოველთვის არა, რადგანაც ეს სერიოზულ რისკთანაა დაკავშირებული – ორას თუ სამას თაობას გადაახტეს და ამით ორმაგად მოიგოს, აამაღლოს მისი წინაპრების რანგი და ასევე, გაზარდოს თავისი შთამომავლების წარჩინებულობა.

ბევრი იმედისმომცემი ბავშვი მსხვერპლად შეეწირა ამ საქმეს. მხოლოდ ერთი თუ გადარჩება ხოლმე ათიდან. მაგრამ იმდენად ძლიერია იმ *პოლიგონების* ამბიციები, რომლებიც *წრეების* კლასთან მიახლოვებულნი არიან, რომ ძნელი საპოვნელია ასეთი პოზიციის მქონე წარჩინებული, რომელსაც უარი ეთქვას და თავისი პირმშო არ მოეთავსებინოს *წრიულ* ნეოთერაპევტულ გიმნაზიაში, მანამ, სანამ ის ერთი თვის ასაკს მიაღწევდა. ერთი წელი საკმარისია იმის განსასაზღვრავად, წარმატებულია თუ არა ეს მცდელობა. დიდი ალბათობით, ამ დროის გასვლის შემდეგ ბავშვის საფლავის ქვა შეავსებს ნეოთერაპევტულ სასაფლაოს. მაგრამ, იშვიათად ხდება ხოლმე, რომ კმაყოფილი პროცესია შესაბამისი პატივისცემით უკან დაუბრუნებს პატარას ბედნიერ მშობლებს არა როგორც *პოლიგონს*, არამედ როგორც *წრეს*.

ეს ერთი წარმატებული მაგალითი სტიმულს აძლევს *პოლიგონალური*

მშობლების უმრავლესობას დასაშვებად მიიჩნეონ მსგავსი მსხვერპლ-შეწირვები. სამწუხაროდ უმრავლეს შემთხვევაში ამას დადებითი შედეგი არ მოაქვს.

§ 12. ჩვენი ქურუმების დოქტრინა

ჩრეების დოქტრინა ერთი მოკლე ფრაზით გამოიხატება: „მიაქციე ყურადღება შენს კონფიგურაციას“.

ყველა მათი სწავლების ობიექტი, იქნება ეს პოლიტიკური, თეოლოგიური თუ მორალური, არის ინდივიდუალური თუ კოლექტიური კონფიგურაციის გაუმჯობესება. რა თქმა უნდა *ჩრეების* კონფიგურაციის სპეციალური მოხსენიებით, ვიზუალურ დაქვემდებარებულნი არიან ყველა სხვა *ფიგურები*.

ჩრეების დამსახურებაა, რომ ასე ეფექტურად მოისპო ერესი, რაზეც ხალხი ტყუილად ხარჯავდა ენერგიას და სიმპატიებს. ცრუ იმედებით აღვსილნი ფიქრობდნენ, რომ თითქოს ქცევა დამოკიდებულია ნებაზე, ძალისხმევაზე, ვარჯიშზე, გამბედაობაზე, ლოცვებზე, ან სხვა რაიმეზე, მაგრამ არა კონფიგურაციაზე. პანტოციკლი იყო პირველი, ვინც ხალხს გააგებინა, რომ კონფიგურაცია ქმნის *ფიგურას*. ეს ის პანტოციკლია ზემოთ რომ ვახსენეთ, როცა *ფრეების რევოლუციის* შესახებ გიყვებოდით.

მაგალითად, დაიბადეთ როგორც *ტოლოფერდა*, ორი არატოლი გვერდით. უეჭველია, რომ ცუდად გექნებათ საქმე, თუკი საერთოდ რაიმე გექნებათ. აუცილებლად უნდა წახვიდეთ *ტოლოფერდების* ჰოსპიტალში. მსგავსად ამისა, თუ ხართ *სამკუთხედი*, *კვადრატი*, ან თვითონ *პოლიგონი* კი, თუკი რაიმე *არარეგულარობით* დაიბადეთ, უნდა წაგიყვანონ *რეგულარულ* ჰოსპიტალში, რათა თქვენს ავადმყოფობას უმკურნალონ. სხვანაირად თქვენს დღეებს დაასრულებდით სახელმწიფო ციხეში, ან კიდევ სახელმწიფო ჯალათის *კუთხეზე*.

ყველა შეცდომას თუ ნაკლს, დაწყებულს უმნიშვნელო გაუგებრობით და დამთავრებულს საზიზღარი კრიმინალით, პანტოციკლი ხსნიდა ფიგურის პერფექტული *რეგულარულობის* რაიმე დარღვევით, რომელიც შეიძლება ქუჩაში შეჯახების შედეგად კი ყოფილიყო, თუ არა თანდაყოლილი. შეიძლება ვარჯიშზე უარის თქმის, ან ზედმეტი ვარჯიშის, ან კიდევ თუნდაც ტემპერატურის უეცარი ცვლილების შედეგად ჩარჩოს მგრძნობიარე ნაწილის შეკუმშვის, ან გაწელვის შედეგად გაჩენილი.

„ამგვარად“, – ასკვნიდა ეს მნიშვნელოვანი ფილოსოფოსი, – „არც კარგი ქცევა და არც ცუდი ქცევა არაა საგნის არსი რაიმე ფხიზელი

შეფასებისათვის. არაა არც მოსაწონი და არც დასაგმობი. რატომ უნდა შევაქოთ რაიმე *კვადრატის* სისპეტაკე, როდესაც ის მთლიანადაა დამოკიდებული მისი კლიენტის ინტერესებზე, მაშინ როცა რეალურად თქვენ მისი კუთხეების სიზუსტით უნდა იყოთ აღფრთოვანებული? ან კიდევ, რატომ დავგმობთ მატყუარა, ქურდბაცაცა ტოლფერდები, როდესაც თქვენ უნდა გმობდეთ მათი გვერდების არათანაბრობას?“

თეორიულად ეს დოქტრინა ეჭვს არ იწვევს. მაგრამ მას პრაქტიკული ნაკლოვანებები აქვს. *ტოლფერდებთან* მიმართებაში, თუკი ქურდბაცაცები ვერ იკავებენ თავს ქურდობისაგან, თავიანთი *არაწესიერების* გამო, თქვენ უპასუხებთ, რომ ისინი იგივე მიზეზის გამო აწუხებენ თავიანთ მეზობლებს. თქვენ, მოსამართლეს, არ შეგიძლიათ არ გაასამართლოთ ისინი და არ მიუსაჯოთ სასჯელი. მაგრამ პატარა ოჯახური უსიამოვნებების შემთხვევაში, სადაც სასჯელი, ან სიკვდილით დასჯა არაა საჭირო, *კონფიგურაციის თეორია* ხანდახან სიძნელეებს აწყდება. უნდა ვაღიარო, რომ ერთხელ, როცა ერთერთი ჩემი *ჰექსაგონალური* შვილიშვილის პერიმეტრმა ვერ აიტანა ტემპერატურის უეცარი ცვალებადობა, იძულებული ვიყავი ამაში მისი *კონფიგურაცია* დამედანაშაულებინა, რომელიც უნდა ყოფილიყო გამლიერებული საუკეთესო საჭმელების სიუხვით. მე არ მქონდა ლოგიკური საბუთი უკან დასახევად და არც მისი დასკვნების მიღება არ მინდოდა.

მე თვითონ ვთვლიდი, რომ ჩემი შვილიშვილის *კონფიგურაციაზე* დასჯას უფრო მეტი გამაძლიერებელი მოქმედება ექნებოდა. მაგრამ არ მქონდა საფუძველი ასეთი ქმედებისათვის.

მე ერთადერთი არა ვარ, ვინც ასეთი დილემის წინაშე დადგა. როგორც აღმოჩნდა, ბევრი უმაღლესი *წრეც* კი, რომლებიც სამოქალაქო სასამართლოს მოსამართლეები არიან, *რეგულარული* და *არარეგულარული* ფიგურების მიმართ იყენებენ როგორც შექებას, ასევე შერცხვენასაც. გამოცდილებიდან ვიცი, რომ მათ სახლებში, როდესაც ისინი თავიანთ შვილებს ესაუბრებიან, კარგზე და ცუდზე ისე ლაპარაკობენ, თითქოს მართლაც სჯერათ, რომ ეს სიტყვები რეალურად არსებულ ღირებულებებს გამოხატავენ და რომ ჰუმანურ ფიგურებს, მართლაც, შეუძლიათ არჩევანი გააკეთონ მათ შორის.

იმით, რომ მუდმივად წინ სწევდნენ კონფიგურაციის მნიშვნელობის იდეას, *წრეებმა* შეაბრუნეს იმ უპირატესობის ბუნება, რომლითაც სივრცულ სამყაროში მშობლებისა და შვილების ურთიერთობები რეგულირდება. თქვენ ასწავლით შვილებს დაემორჩილონ მშობლებს. ჩვენთან კი, *კაცმა* პატივი უნდა სცეს პირველ რიგში *წრეებს*, რომელნიც ჩვენი უნივერსალური თავყანისცემის საგნები არიან და შემდეგ მის შვილიშვილს, თუკი ჰყავს ასეთი. თუ არა და თავის ვაჟიშვილს. „პატივისცემა“ არ ნიშნავს „პატიებას“, არამედ მათი უმაღლესი ინტერესების

პატივისცემას. *წრეები* გვასწავლიან, რომ მამების მოვალეობაა დაუმორჩილონ თავიანთი ინტერესები როგორც მთელი სახელმწიფოს ინტერესებს, ასევე, თავიანთი ვაჟიშვილების ინტერესებსაც.

წრეების სისტემის სისუსტედ მიმაჩნია – თუკი მოკრძალებულ კვადრატს შეუძლია ილაპარაკოს რაიმე ასეთზე – მათი დამოკიდებულება *ქალებთან*. საზოგადოებისათვის უპირველეს პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს *არარეგულარული* ფიგურების გაჩენის პრევენცია. საიდანაც გამომდინარეობს, რომ არც ერთი *ქალი*, რომლის წინაპრებს ჰქონდათ რაიმე *არარეგულარობა*, არაა კარგი პარტნიორი იმისათვის, ვინც გადაწყვიტა, რომ მისმა შთამომავლებმა თანმიმდევრულად წინ უნდა წაიწიონ სოციალურ კიბეზე.

მამაკაცის არარეგულარობა გაზომვით შეიძლება დადგინდეს. მაგრამ ყველა *ქალი* წრფეა და ამიტომ გარეგნულად *რეგულარული* მოჩანს. აქედან გამომდინარე, უნდა მოიძებნოს რაღაც სხვა მეთოდი, რომელიც მათ დაფარულ *არარეგულარობას* გამოავლენს, ანუ ის პოტენციური *არაწესიერება*, რაც ემუქრება მათ შვილებს. ეს ხერხდება ზუსტი გენეალოგიური ჩანაწერების წარმოებით. რომლებიც ინახება და სახელმწიფოს მეთვალყურეობის ქვეშაა. სერტიფიცირებული გენეალოგიის გარეშე არც ერთ ქალს არა აქვს უფლება რომ იქორწინოს.

ახლა შეიძლება იფიქროთ, რომ *წრე*, რომელიც ამაცობს თავისი წინაპრებით და გულისხმიერია მისი შთამომავლების მიმართ, რომლებიც ერთხელ შეიძლება *მთავარი წრეც* კი გახდნენ, უფრო ფრთხილი იქნება ცოლის ამორჩევისას, ვიდრე სხვა ვინმე და რომელიც ისეთ ცოლს ამორჩევს, ვისაც ერთი ლაქაც კი არ ექნება წარსულში. მაგრამ ეს ასე არ არის. რაც უფრო მაღლა ადის *ფიგურა* სოციალურ კიბეზე, მით უფრო კლებულობს მისი სიფრთხილე ცოლის ამორჩევისას. ვერაფრით ვერ აიძულებთ *ტოლფერდას*, რომელსაც იმედი აქვს რომ შეეძინება *ტოლგვერდა* შვილი, რომ ცოლად შეირთოს *ქალი*, რომლის წინაპრებს ჰქონდათ ერთი *არარეგულარობაც* კი. *კვადრატი* თუ *პენტაგონი*, რომელიც დარწმუნებულია, რომ მისი ოჯახი აღმავლობის გზაზეა, ხუთი თაობის წინანდელ გენეალოგიაზე მეტს აღარ მოითხოვს. *ჰექსაგონი* და *დოდეკაგონი* ნაკლებ სიფრთხილეს იჩენს ცოლის გენეალოგიის მიმართ. რაც შეეხება *წრეებს*, ცნობილია, რომ ცოლად მოუყვანიათ *ქალი*, რომლის დიდი ბაბუა *არაწესიერი* ყოფილა და ეს მარტო იმის გამო, რომ იმ *ქალს* მცირედ მომატებული ბრწყინვალება თუ დაბალი ხმა ჰქონდა. რაც ჩვენთან, ისევე როგორც თქვენთან, „შესანიშნავი რამეა ქალისათვის“.

ასეთი ავადმყოფური ქორწინებები, როგორც მოსალოდნელია უნაყოფო აღმოჩნდება ხოლმე, თუკი არ წარმოშვეს *არარეგულარობა* შთამომავლობაში, ან გვერდების შემცირება. მაგრამ არც ერთი შემთხვევა აქამდე არ ყოფილა შესაშინებელი მაგალითი სხვებისათვის.


რამოდენიმე გვერდის დაკარგვა მაღალი რანგის პოლიგონისათვის უმნიშვნელოა. ხანდახან წარმატებითაც ხდება მათი კომპენსაცია ნეოთერაპევტულ გიმნაზიაში, როგორც უკვე ზემოთ გითხარით. *წრეები* თანახმა არიან შეურიგდნენ უნაყოფობას, როგორც მაღალი კლასის განვითარების კანონს. მართლაც, ეს ეშმაკი მოთოკილი რომ არ იყოს, *წრეების* კლასის მუდმივი განვითარება უფრო სწრაფი გახდებოდა და შორს არ იქნებოდა ის დრო, როცა რასა ვეღარ შეძლებდა *მთავარი წრის* წარმოქმნას და ფლექტენდის კონსტიტუცია დაეცემოდა.

კიდევ ერთი რამ მაწუხებს, არ შემძლია ადვილად ავუარო გვერდი კანონიერების დაცვას და ესეც ეხება ჩვენს ურთიერთობას *ქალებთან*. სამასი წლის წინ *მთავარმა წრემ* გამოაცხადა, რომ რამდენადაც *ქალები* ვერ გებულობენ მიზეზს და ძალიან ემოციურნი არიან, ამიტომ მათ აღარ უნდა ვუყურებდეთ, როგორც რაციონალურს და ამიტომ, არც არანაირი განათლება არ უნდა მიიღონ. შედეგებმაც არ დააყოვნა. არითმეტიკის დიდოსტატსაც კი არ შეეძლო ესწავლებინა *ქალისათვის* დაეთვალა თავისი ქმრისა თუ შვილების კუთხეების რაოდენობა. ამიტომ ყოველ ახალ თაობაში მათი ინტელექტუალური დონე უფრო და უფრო დაბლა იწევდა. ქალების არ – სწავლების ეს სისტემა კვლავ მოქმედებს. ვშიშობ, ეს პოლიტიკა ისე შორს წავიდა, რომ გამოუსწორებელი გავლენა მოახდინა ქალებზე. შედეგად გვაქვს ის, რაც გვაქვს. ჩვენ, *კაცები* იძულებული ვართ ვიყოთ რადაცნაირად ორენოვანი, უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა ორნაირად გონიერი. *ქალებთან* ჩვენ ვლაპარაკობთ „სიყვარულზე“, „მოვალეობებზე“, „კარგზე“, „ცუდზე“, „იმედზე“, „მწუხარებაზე“ და სხვა არარაციონალურ და ემოციურ კონცეპციებზე, რომლებიც არ არსებობენ რეალობაში. ამ ფიქციებს არა აქვთ რეალური ობიექტი, გარდა იმისა, რომ აკონტროლო *ქალები*. სამაგიეროდ, ერთმანეთში ჩვენ ვსაუბრობთ ჩვენს შესახებ, ჩვენი წიგნების შესახებ, გვაქვს სრულიად სხვა ლექსიკონი და შემძლია ვთქვა იდიომები. „სიყვარული“ ხდება „ანტიპათია ბენეფიტების მიმართ“, „მოვალეობა“ ხდება „აუცილებელი“, ან „სასარგებლო“ და სხვა სიტყვებიც ასევე შესაბამისად იცვლის მნიშვნელობას. უფრო მეტიც, ქალებს შორის, ჩვენ ვხმარობთ ისეთ სიტყვებს, რომლებიც მათთვისაა მნიშვნელოვანი და ისინი სავსებით დარწმუნებულები არიან, რომ *მთავარი წრე* თვითონ, იმაზე მეტად პატივცემული არაა ჩვენს მიერ, ვიდრე თვითონ ისინი. მაგრამ მათ ზურგს უკან ჩვენ ქალებზე ისე ვლაპარაკობთ და ვექცევით (გარდა ყველაზე ახალგაზრდებისა), როგორც „უტვინო ორგანიზმებს“. თეოლოგია ქალების ოთახებში სრულიად განსხვავდება ჩვენს თეოლოგიაზე სხვაგან.

ახლა ჩემი მოკრძალებული შიში უნდა გაგიმხილოთ. ორმაგი ლექსიკონის ათვისება და ვარჯიში მის ხმარებაში საკმაოდ მძიმე ტვირთია ახალგაზრდებისათვის, განსაკუთრებით სამი წლის ასაკში, როცა მათ

დედების მზრუნველობას მოაცილებენ და ასწავლიან, რომ აღარ იხმარონ ის სალაპარაკო ენა, რომლითაც დედა ესაუბრებოდა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა დედის და ძიძის გარემოცვაში იქნება. ასწავლიან მეცნიერების ენას და იდიომებს.

ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ მათემატიკური ნიჭიერება თანამედროვეობაში უფრო ნაკლებია, ვიდრე ჩვენი სამი საუკუნის წინანდელი წინაპრების დროს იყო. მე არაფერი მითქვამს იმ საშიშროებაზე, თუკი ქალები როდესმე საიდუმლოდ ისწავლიან კითხვას და თავიანთ სქესს გადასცემენ ერთი რომელიმე პოპულარული წიგნის შინაარსსაკვი. არც იმის შესაძლებლობას გამოვრიცხავ, რომ რომელიმე ჩვილი ვაჟიშვილის გაუგონრობამ და წინდაუხედაობამ შეიძლება დედას კაცების დიალექტის საიდუმლო გაუმხილოს. მამაკაცების ინტელექტის დასუსტების მიზეზების ძებნისას მე მოკრძალებულად გავუმხილე ეს მოსაზრებები უმაღლეს ავტორიტეტებს, რათა გადაეხედათ ქალების განათლების საკითხისათვის.



ნაწილი II

სხვა სამყაროები

„ახალი სამყაროები! ო, როგორ გამბედაობაა! როგორი მრავალრიცხოვანი მოსახლეობა ჰყავთ!“

§13. როგორ დავინახე წრფის სამყარო

ეს იყო ჩვენი ერის 1999 წლის ბოლო დღე და ჩემი გრძელი მოგზაურობის დასაწყისი. გვიანობამდე ვვარჯიშობდი გეომეტრიაში და ისე წავედი დასაძინებლად, რომ ამოუხსნელი პრობლემა ჩამრჩა გონებაში. ღამე სიზმარი ვნახე. ჩემს წინაშე დავინახე უამრავი პატარა ხაზი (რომელნიც ბუნებრივად ქალებად მივიჩნიე), არეული სხვა არსებებთან, რომლებიც უფრო პატარები იყვნენ და წერტილებს უფრო ჰგავდნენ. ყველანი მოძრაობდნენ აქეთ – იქით ერთი წრფის გასწვრივ და რამდენადაც შემიძლია ვიმსჯელო, ერთი და იგივე სიჩქარით. მოძრაობისას გამოსცემდნენ მრავალრიცხოვან წრიპინა ხმებს. მაგრამ ხანდახან გაჩერდებოდნენ და სიჩუმე ჩამოვარდებოდა.

მე მივუახლოვდი ყველაზე გრძელს, რომელიც ქალი მეგონა. გამოველაპარაკე, მაგრამ პასუხი ვერ მივიღე. ჩემი მეორე და მესამე მცდელობაც ასევე წარუმატებლად დასრულდა. ეს წარმოუდგენელი თავხედობა იყო და მოთმინებიდან გამოვედი. ჩემი პირი ზუსტად მისი პირის წინ მივიტანე ისე, რომ მისი მოძრაობა შევაჩერე და ხმამაღლა გავიმეორე ჩემი შეკითხვა: „ქალო! რისთვისაა ეს ყველაფერი, რას ნიშნავს ეს მიმოსვლა ერთი და იგივე წრფეზე, ან ეს უცნაური და სამარცხვინო წრიპინი?“

„მე ქალი არა ვარ,“ – მიპასუხა პატარა ხაზმა, – „მე ამ სამყაროს მონარქი ვარ. საიდან მოხვედი ჩემს სამეფოში, ლაინლენდში – წრფის სამყაროში?“

ამ პასუხის გაგონებისთანავე მე ვთხოვე მოეტყვივინა თუკი რაიმეთი შევაშინე ან, შევაწუხე მისი მეფური უდიდებულესობა. წარვუდგინე ჩემი თავი და ვთხოვე ჩემთვის, როგორც უცხოელისათვის მოეყოლა რაიმე მისი ქვეშევრდომების შესახებ. ძალიან გამიჭირდა მიმელო პასუხი იმაზე, რაც ნამდვილად მაინტერესებდა. რადგანაც მონარქი მუდმივად

იმეორებდა, რომ ის, რაც ცნობილია მისთვის, ცნობილი უნდა ყოფილიყო აგრეთვე ჩემთვისაც. მიუხედავად ამისა, კითხვების მიცემით შევძელი მიმელო შემდეგი ინფორმაცია:

როგორც ჩანდა, ეს საწყალი იგნორანტული მონარქი – როგორც თვითონ უწოდებდა თავის თავს, დარწმუნებული იყო, რომ წრფე, რომელსაც ის თავის სამეფოს უწოდებდა და რომელზეც მისი არსებობა იყო დამოკიდებული, მთელ სამყაროს მოიცავდა და ასევე მთელ მსოფლიოს. რჩებოდა რა წრფეზე, მას წარმოდგენაც არ ჰქონდა რა ხდებოდა მის გარეთ. არ შეეძლო გამოსულიყო გარეთ და დაენახა ეს. მართალია მან გაიგონა, როდესაც მე პირველად მივმართე, მაგრამ ჩემი ხმა იმდენად განსხვავებული იყო იმისაგან, რაც მას მანამდე ჰქონდა გაგონილი, რომ პასუხი არ გამცა. ამის მიზეზი ასე ამიხსნა: „არც ერთი კაცი არ დამინახავს და ხმა ისე გავიგონე, თითქოს ჩემი მუცლიდან გამოდიოდაო.“ იმ მომენტამდე, სანამ მე ჩემი პირი მის სამყაროში არ მოვათავსე, ის ვერც მხედავდა და არც ესმოდა არაფერი გარდა შემაშინებელი ხმებისა, რომელიც თითქოს ურტყამდა შიგნიდან, ანუ როგორც თვითონ უწოდებდა მუცლიდან (მე ამას მის გვერდს დავუძახებდი).

ახლაც კი, მას წარმოდგენა არ ჰქონდა იმ რეგიონზე, საიდანაც მე ვიყავი მისული. მისი სამყაროს – წრფის გარეთ მისთვის სიბნელე იყო. არა, ბნელი არა, რადგან ბნელი ნიშნავს სივრცეს, უფრო სწორი იქნებოდა რომ გვეთქვა, რომ წრფის გარეთ მისთვის არაფერი არ არსებობდა.

მისი ქვეშევრდომები – *კაცები*, *პატარა ხაზები* და *ქალები*, წერტილები – ყველა ერთნაირად შეზღუდული იყვნენ მოძრაობაში. მათი თვალსაწიერი ერთადერთი წრფით შემოიფარგლებოდა, რომელიც მათ სამყაროს წარმოადგენდა. საჭიროც არაა იმის თქმა, რომ მათი ჰორიზონტი ერთადერთი წერტილი იყო. ერთადერთი, რისი დანახვაც მათ საერთოდ შეეძლოთ, იყო წერტილი.

ლაინლენდის მაცხოვრებლისათვის *კაცი*, *ქალი*, *ბავშვი*, *ნივთი*, ყველაფერი წერტილის სახით ჩანდა. სქესის დ ასაკის გარკვევა მხოლოდ ხმის ტემბრით შეეძლოთ. უფრო მეტიც, ყოველი ინდივიდი იკავებდა გარკვეულ მცირე ადგილს წრფეზე და არავის, არც მარჯვნიდან და არც მის მარცხნიდან, არ შეეძლო მისთვის გვერდი აეარა და სხვა ადგილას გადასულიყო. აქედან გამომდინარე, ლაინლენდელი ვერასოდეს ვერ აუვლიდა გვერდს სხვა ლაინლენდელს. ერთხელ დამეზობლებული, მუდამ მეზობლებად რჩებოდნენ. მეზობლობა მათთან ჩვენს ქორწინებას წააგავდა. მეზობლები მეზობლებად რჩებოდნენ, სანამ სიკვდილი არ დააცილებდათ ერთმანეთისაგან.

ასეთი ცხოვრების წესი, როდესაც მთელი თვალსაწიერი ერთი წერტილითაა შემოფარგლული და ყოველი მოძრაობა – წრფეზე მოძრაობით, გამოუთქმელად მოსაწყენი მომეჩვენა. ამიტომ ჩემთვის სრულიად გაუ-

გებარი იყო მათი მეფის სიხალისე. მაინტერესებდა, ასეთი არასახარბიელო ცხოვრების ფონზე, თუკი იყო საერთოდ რაიმე შესაძლებლობა რომ ჰქონოდათ ოჯახური კავშირები. დიდხანს ვცოყმანობდი, სანამ მის უდიდებულესობას ასეთ დელიკატურ თემაზე დაველაპარაკებოდი. ბოლოს შევეკითხე ხომ ჯამრთელად იყვნენ მისი ოჯახის წევრები. „ჩემი ცოლები და შვილები ჯამრთელად და ბედნიერად არიან“ – მიპასუხა მან.

ასეთმა პასუხმა შემძრა, რადგან მონარქის უშუალო მეზობლობაში მხოლოდ კაცები იყვნენ და ამიტომ კიდევ შვეკითხე: „ბოდიში, მაგრამ ვერაფრით ვერ წარმოვიდგინე, როგორ შეგიძლიათ თქვენ, თქვენო უდიდებულესობავ, დაინახოთ, ან როგორმე მიუახლოვდეთ მათ უდიდებულესობა დედოფლებს, როცა თქვენსა და მათ შორის რამოდენიმე სხვა ინდივიდია, რომელთაც ვერც გადაახტებით და ვერც გვერდს ვერ აუვლით? შესაძლებელია, რომ ლაინლენდში გვერდით ყოფნა არ იყოს აუცილებელი ქორწინებისათვის და შვილების გაჩენისათვის?“

„ასეთი აბსურდული კითხვის დასმა შეიძლება საერთოდ?“ – მიპასუხა მონარქმა, – „მართლა მასე რომ ყოფილიყო, როგორც შენ ამბობ, ქვეყანა სულ მალე დაიცლებოდა მოსახლეობიდან. არა და არა. მეზობლობა არაფერ შუაშია გულების ერთობასთან. ბავშვის დაბადება კი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ არ შეიძლება ასეთ შემთხვევით სიახლოვეზე იყოს დამოკიდებული. ამას ვერ უარყოფ. მართალია შენ ძალიან იგნორანტულად გამოიყურები, მაგრამ მე ამას ყველაფერს ისე აგიხსნი, როგორც ლაინლენდის ყველაზე პატარა ბავშვს. იცოდე, რომ ქორწინებები შესაძლებელია ჩვენთვის ბოძებული ხმის და სმენის ნიჭით.“

შენ, რა თქმა უნდა, იცი, რომ ყოველ *კაცს* თავის ბოლოებზე ორი პირი აქვს და ამგვარად ორი ხმა გააჩნია (ისევე როგორც ორი თვალი), ერთი ბანი და მეორე ტენორი. მე აქამდე არ მითქვამს და, ჩვენი საუბრის მანძილზე ვერ გავარჩიე შენი მეორე ხმა, ტენორი.“

მე ვუპასუხე, რომ მხოლოდ ერთი ხმა მქონდა და რომ არც კი შემიმჩნევია, მის უდიდებულესობას თუ ორი ხმა გააჩნდა.

„ეს ადასტურებს ჩემს ვარაუდს,“ – თქვა მან, – „რომ შენ კაცი კი არა, დიდი ზომის *ქალი* ხარ, *მამაკაცის* ხმით და გაუვარჯიშებელი სმენით.“ მაგრამ ახლა გავაგრძელებ, თქვა მან: „ბუნებამ ისე მოაწყო, რომ ყოველ კაცს ორი ცოლი ჰყავს.“

„რატომ ორი?“ – ვიკითხე მე.

„შენ ძალიან მიამიტად მაჩვენებ თავს,“ – დაიყვირა მონარქმა, – „როგორ შეიძლება არსებობდეს სრული ჰარმონია, თუ არა და ოთხის ერთიანობა, ანუ *კაცის* ბანის და ტენორის ერთიანობა ქალის სოპრანოსთან და კონტრალტთან?“

„მაგრამ, ვთქვათ,“ – ვთქვი მე, – „იქნებ კაცი ერთი ცოლის ყოლას ამჯობინებს, ან სამის?“

„ეს შეუძლებელია,“ – მიპასუხა მან „ეს ისეთი უაზრობაა, როგორც რომ ორი და ერთის ჯამი არის ხუთი, ან კიდევ, რომ შესაძლებელია წრფის დანახვა.“

მე მიხლოდა შემეწყვეტინებინა ლაპარაკი, მაგრამ ის განაგრძობდა:

„ერთხელ, შუა კვირაში, ბუნების კანონი გვაიმულებს რითმულად ვიმოდრაოთ აქეთ იქით და ამას უფრო მეტი ძალით ვაკეთებთ, ვიდრე სხვა დროს. ეს იმდენი ხანი გრძელდება, შენ რომ ასერთამდე დაითვალო. ამ გუნდური ცეკვის შუაში, ორმოცდამეთერთმეტე პულსაციაზე, სამყაროს მკვიდრნი ერთი წამით პაუზას აკეთებენ და თითოეული ინდივიდი გამოსცემს თავის ყველაზე უფრო სავსე, ტკბილ იმპულსს. ეს არის გადამწყვეტი მომენტი ჩვენი ქორწინებებისათვის. ისეთი გასაოცარია ბანისა და ტრებლის ადაპტაცია, ან ტენორის კავშირი კონტრალტთან, რომ ჩვენი შეყვარებულები ოცი ათასი ლიგის მანძილზეც კი ცნობენ ერთიმეორის ხმას. დამლევენ დისტანციას და, სიყვარული ქმნის სამს. ქორწინება მყისიერად გვამლევს ნაყოფს.“

„რა? ყოველთვის სამი?“ ვიკითხე მე. „ეს ნიშნავს რომ ერთ ცოლს ყოველთვის ტყუპები უჩნდება?“

„დიახ, ბოხ ხმიანო მონსტრო!“ – მიპასუხა მეფემ, – „აბა ისე როგორ შენარჩუნდებოდა ბალანსი სქესებს შორის, თუკი ერთი ბიჭისათვის ყოველთვის ორი გოგო არ გაჩნდებოდა? შენ რა, ბუნების ანბანის უარყოფა გინდა?“ ბრაზისაგან ძლივს ლაპარაკობდა. ცოტა დრო დამჭირდა, სანამ მე მისი მონაყოლიდან დასკვნას გამოვიტანდი.

„შენ არ უნდა იფიქრო, რომ ჩვენს შორის ყოველი მამიებელი უნივერსალური საქორწინო გუნდის პირველივე სიმღერისას იპოვის თავის სატრფოს. სრულიადაც არა. ცოტაა ისეთი ბედნიერი, რომლებმაც ერთი მოსმენისთანავე გამოიცნეს ბედისაგან ბოძებული პარტნიორი და ჰარმონიაში გადაეხვივნენ ერთმანეთს. უმრავლესობა ჩვენთაგანისათვის ეს გრძელი პროცესია. მამიებლის ხმები შეიძლება თავდაპირველად მხოლოდ ერთ მომავალ მეუღლის ხმას შეეწყოს, მაგრამ ორი ერთბაშად ვერ იპოვოს. ან, კიდევ ვერც ერთს ვერ შეეწყოს. ან შეიძლება სოპრანო და კონტრალტი არ შეეწყონ ერთიმეორეს. ასეთ შემთხვევებში ბუნებამ მოაწყო ისე, რომ ყოველი სუსტი გუნდი აიძულებს სამ შეყვარებულს უფრო მჭიდრო ჰარმონია შექმნან. ხმების ყოველი სამეულის უთანხმოება გამოიწვევს *ჯლის* ან *კაცის* ხმის უფრო მეტ დახვეწას ბევრი დახვეწის და მიახლოებების შემდეგ ბოლოს და ბოლოს მიიღწევა სასურველი შედეგი. ბოლოს დგება დღე, როდესაც საქორწინო გუნდის სიმღერისას სამი შეყვარებული იპოვის უნივერსალურ ჰარმონიას და სანამ გამოფხიზლდებოდნენ დაქორწინებული სამეული ვოკალურად გადაეჯაჭვება ერთიმეორეს. ბუნება კიდევ ერთ ოჯახს შექმნის და კიდევ სამ ახალ სიცოცხლეს გააჩენს.“

§ 14. როგორ უშედეგოდ ვცდილობდი ამეხსნა ფლექტ- ლენდის ბუნების არსი

ვიფიქრე, რომ ახლა უკვე დრო იყო მონარქი მისი აღფრთოვანებული მდგომარეობიდან დამებრუნებინა ჩვეულებრივ ყოფაში და გადავწყვიტე მისთვის ნაწილობრივად მაინც მეთქვა სიმართლე, ანუ მომეყოლა იმის შესახებ, თუ როგორაა მოწყობილი ფლექტლენდი. ამგვარად, მე დავიწყე: „როგორ ანსხვავებს თქვენი მეფური უდიდებულესობა საგნების ფორმას და პოზიციას? მე პირადად, სანამ თქვენს სამეფოში შემოვიდოდი ხედვის საშუალებით შევამჩნიე, რომ ზოგი თქვენი ქვეშევრდომი ხაზია და ზოგი წერტილი და რომ ზოგი ხაზი უფრო გრძელია, ვიდრე სხვა.“

„შენ შეუძლებელ რაღაცაზე საუბრობ,“ – შემაწყვეტინა მეფემ, – „რაღაც მოგეჩვენა, როგორც ეტყობა, თორემ, თვალთ ხაზსა და წერტილს შორის განსხვავების დანახვა, ყველამ იცის, რომ ფაქტიურად შეუძლებელია, მათი ბუნებიდან გამომდინარე. მაგრამ ეს შეიძლება სმენის საშუალებით გაკეთდეს. იგივენაირად შეიძლება ჩემი ფორმის დადგენაც. მე ხაზი ვარ. და ყველაზე გრძელი ხაზი ლაინლენდში – სივრცის ექვს ინჩზე მეტი ზომის ხაზი.“

„სიგრძის“ – ჩავერთე მე.

„სულელი“ – მითხრა მან, – „სივრცეა სიგრძე, კიდევ ერთხელ შემაწყვეტინებ და მე გავჩუმდები.“

მე ბოდიში მოვუხადე. მან ზიზღით გააგრძელა: „რამდენადაც ვერ გე-
ბულობ ვერაფერს, შენი ყურით შეგიძლია მოისმინო ჩემი ორი ხმით როგორ წარვუდგენ ჩემს ფორმას მეუღლეებს, რომლებიც ამჯერად ექვ-
სი ათას სამოცდა ათი მილით, ორი ფუტი და რვა ინჩით არიან დაშორე-
ბულები, ერთი ჩრდილოეთით და მეორე სამხრეთით. მომისმინე, მე ახ-
ლა მათ დავუძახებ.“

მან წამოიყვირა და შემდეგ განაგრძო: „ჩემი ცოლები ახლა ჩემს ერთ ხმას გაიგონებენ, რომელსაც იმწამსვე მეორე ხმაც მიჰყვება. მეორე ხმის მიღწევას დასჭირდება ინტერვალი, რომელშიც ხმა 6.457 ინჩს გადის, რადგანაც ერთი ჩემი პირი მეორისაგან 6.457 ინჩით უფრო შორსაა, ვი-
დრე მეორე. ამიტომ ეცოდინებათ, რომ ჩემი ზომაც დაახლოებით 6.457 ინჩია. შენ, რა თქმა უნდა, მიხვდი, რომ ჩემი ცოლები ყოველწამს ასეთ გამოთვლებს არ აკეთებენ და კიდევ, მინდა გითხრა, რომ ასეთივე გზით შემიძლია დავადგინო ჩემი ქვეშევრდომი *კაცების* სიგრძე.“

„კი მაგრამ“, – ვთქვი მე, – „თუკი *კაცი* მიზამავს *ქალის* ხმას ერთ ერთი მისი ხმის საშუალებით, ან მის სამხრეთ ხმას ჩრდილოეთის ხმის ექოთი შეანაცვლებს, არაა ასეთი შემთხვევები უსიამოვნო? თქვენ ვერანაირად ვერ გააკონტროლებთ თქვენი მეზობლების ასეთ ეშმაკობებს, თუკი ეც-

დებიან თავი სხვა ვინმედ გაასაღონ?“ ეს, რა თქმა უნდა, ძალიან სულელური კითხვა იყო. მაგრამ ეს იმიტომ გავაკეთე, რომ მონარქი გამეღიზიანებინა და კიდევაც მივალწიე მიზანს.

„რა!“ – დაიყვირა მონარქმა, – „რისი თქმა გინდა მაგითი?“

„გრძნობა, შეხება, ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან“ – ვუპასუხე მე.

„თუკი შენ შეხებას გულისხმობ,“ – მითხრა მეფემ, – „ანუ ისეთ სიახლოვეს ორ მეზობელს შორის, რომ მათ შუა ადგილი აღარ რჩება, იცოდე, უცხოელო, რომ ასეთი ქცევა ჩვენთან სიკვდილით ისჯება. ამის მიზეზი კი უბრალოა. *ქალის* სუსტი ფორმა შეიძლება გაიჭყლიტოს ასეთი დაახლოებისას და ამიტომ შეხება სახელმწიფო კანონით არის აკრძალული. მაგრამ, რადგანაც თვალით *ქალისა* და *კაცის* განსხვავება შეუძლებელია, ამიტომ კანონი ამბობს, რომ ინტერვალის ისეთი შემცირება, რომელიც დაზიანებას გამოიწვევდა, არ შეუძლიათ არც *ქალს* და არც *კაცს*.

მართლაც და რა სარგებელი შეიძლება მოიტანოს ასეთმა არალეგალურმა და არაზუნებრივმა აპროქსიმაციამ, რასაც შენ შეხებას უწოდებ. მაშინ, როცა ასეთი სასტიკი და უხეში პროცედურის მაგივრად შეიძლება უფრო ადვილი და უფრო ზუსტი შედეგის მიღწევა სმენის საშუალებით? შენს მიერ წამოჭრილი საკითხი შეცდომების საშიშროების შესახებ, არ არსებობს: რადგანაც ხმა, არსებითია ინდივიდის არსებობისათვის. ამიტომ არ შეიძლება რომ სურვილისამებრ შეიცვალოს.

ვთქვათ, მე მაქვს იმის ძალა, რომ გავიარო მყარ სხეულებში. მაშინ მე ერთიმეორის მიყოლებით უნდა გამევილო ყველა ჩემს ქვეშევრდომში. რომლებიც ალბათ ბილიონი არიან და გამეზომა ისინი შეხების გრძნობით. რამდენი დრო და ენერგია გაიფლანგებოდა ამ არაზუსტ და მოუხეშავ საქმიანობაზე! მაშინ როცა ახლა, ერთ წამიანი აუდიოსეანსის განმავლობაში მე აღწერ ლაინლენდის ყველა მაცხოვრებლის რაოდენობას, მათ ადგილმდებარეობას, გონებრივ და სულიერ თვისებებს. უსმინე! მხოლოდ უსმინე!“

ამ სიტყვების მერე, თითქოს ექსტაზშიაო, გაჩუმდა და მიაყურა რაღაც ხმას, რომელიც უამრავი კალიას ჭრიჭინს მიაგავდა.

„მართლაც“, – ვუპასუხე მე, – „თქვენი სმენა კარგ სამსახურს გიწევთ და ბევრი პრობლემის გადაჭრის საშუალებას იძლევა. მაგრამ, ნება მომეცით შევნიშნო, რომ ლაინლენდში ცხოვრება ძალიან მოსაწყენი უნდა იყოს. მარტო წერტილის ყურება! ისე, რომ წრფის დანახვაც არ შეიძლება! იმისი გაგებაც კი არა, რაა წრფე. იმისათვის, რომ დაინახო, უნდა გამოხვიდე წრფივი გარემოდან, რაც ჩვენ, ფლეტლენდში ადვილად შეგვიძლია რომ გავაკეთოთ.

ასეთი ცოტა რამის დანახვას, ჯობია სულ არ გქონდეს მხედველობა! მადლობელი ვარ, რომ არ მაქვს თქვენნაირი სმენის უნარი, რამდენადაც ლაინლენდის მთელი კონცერტი, რომელიც თქვენთვის ასე სასიამოვნოა,

ჩემთვის უსასრულო ჭრიალს და წრიპინს წარმოადგენს. მე თვალთ მანც შემიძლია განვასხვავო წერტილი ხაზისაგან.

ნება მომეცით, რომ დაგიმტკიცოთ ეს. სანამ მე თქვენს სამეფოში მოვიდოდი, დაგინახეთ როგორ ცეკვავდით მარჯვნიდან მარცხნივ შვიდ *ქლოთან* და *კაცთან* ერთად თქვენ უახლოეს მეზობლობაში მარცხნივ და რვა *კაცსა* და ორ *ქლოთან* ერთად მარჯვენა მეზობლობაში. ხომ მართალს ვამბობ? “

„მართალია,“ – თქვა მეფემ, – „რაც შეეხება *კაცების* და *ქლების* რაოდენობას, ეს მართალია, მხოლოდ არ მესმის რას გულისხმობ, როცა ამბობ „მარჯვნივ“ და „მარცხნივ“. თანაც არ მჯერა რომ შენ ეს დაინახე. აბა როგორ უნდა გენახა წრფე, ანუ ჩვენი შიგნეული? შენ ალბათ სმენით დაადგინე ეს რიცხვები და შემდეგ მოგეჩვენა, რომ დაინახე. კიდევ მინდა გკითხო, რას ნიშნავს „მარჯვნივ“ და „მარცხნივ“? მე ვგონებ რომ ამ ტერმინებს შენ ჩრდილოეთის და სამხრეთის მაგივრად ხმარობ.“

„არა“ – ვუპასუხე მე, – „თქვენთვის ცნობილი ჩრდილოეთისაკენ და სამხრეთისაკენ მოძრაობის გარდა არსებობს კიდევ სხვა მოძრაობები, რომელსაც მე ვუძახი მოძრაობას მარცხნიდან მარჯვნივ.“

მეფე: „მაჩვენე თუ შეიძლება ეს მოძრაობა მარცხნიდან მარჯვნივ.“

მე: „ვერა, ვერ გავაკეთებ ამას. რადგანაც თქვენ არ შეგიძლიათ გამოხვიდეთ თქვენი წრფიდან.“

მეფე: „გამოვიდე წრფის გარეთ? შენ გინდა გამომიყვანო ჩვენი სამყაროს გარეთ? სივრცის გარეთ?“

მე: „დიახ. თქვენი სამყაროს გარეთ. თქვენი სივრცის გარეთ. რადგანაც ის, რასაც თქვენ სივრცეს უწოდებთ სინამდვილეში სივრცე არაა. ნამდვილი სივრცე სიბრტყეა. თქვენი სივრცე კი მხოლოდ წრფეა.“

მეფე: „თუკი არ შეგიძლია მაჩვენო ეს რაღაც მოძრაობა მარცხნიდან მარჯვნივ ისე, რომ შენ თვითონ იმოდრაო, მაშინ სიტყვებით მაინც ამიხსენი რას ნიშნავს ეს.“

მე: „რადგანაც თქვენ ვერ ანსხვავებთ მარჯვენას და მარცხენას, ვშიშობ რომ ჩემი სიტყვები არ იქნება საკმარისი ამის ასახსნელად. მაგრამ შეგიძლიათ ეს მოძრაობა წარმოიდგინოთ.“

მეფე: „სრულიად ვერაფერი ვერ გავიგე.“

მე: „უფ! როგორ შეიძლება რომ ეს ავხსნა? როდესაც პირდაპირ მოძრაობთ, ხანდახან არ გეჩვენებათ, რომ სხვა მხარესაც შეგეძლოთ რომ წასულიყავით? ისე, რომ მოაბრუნებთ თვალს იქითკენ, რომ დაინახოთ მხარე, რომელიც თქვენი გვერდის წინაა? სხვა სიტყვებით რომ ვთქვა, იმის მაგივრად, რომ იმოდრაოთ თქვენი ექსტრემალური წერტილების მიმართულებით, ხანდახან არ გიგრძენიათ, რომ შეიძლება წახვიდეთ ვთქვათ, გვერდის მიმართულებით?“

მეფე: „არასოდეს! და რას გულისხმობ საერთოდ? როგორ შეიძლება

კაცის შიგანი რომელიმე მიმართულებას აღნიშნავდეს? ან, როგორ შეიძლება კაცი თავისი შიგანის მიმართულებით მოძრაობდეს?“

მე: „კარგი. მაშინ რადგანაც სიტყვებით შეუძლებელია საგნის არსის ახსნა, მე შევეცდები საქმით აგისხნა ეს. ამისათვის ნელა გამოვალ ლაინლენდიდან იმ მიმართულებით, რომელიც მინდა დაინახოთ, რომ არსებობს.“

ამ სიტყვებით ჩემმა სხეულმა დაიწყო ლაინლენდიდან გამოსვლა. იმ დროის განმავლობაში, სანამ ჩემი რამე ნაწილი რჩებოდა ლაინლენდში, მეფე გაიძახოდა: „გხედავ, გხედავ. შენ არ მოძრაობ.“ მაგრამ, როგორც კი მე სრულიად მოვშორდი წრფეს, მეფემ საშინელი ხმით დაიწვილა: „ის ქალი გაქრა. მოკვდა.“

„მე ცოცხალი ვარ.“ – ვუპასუხე, – „მხოლოდ ლაინლენდიდან გამოვედი. წრფის გარეთ ვარ, რომელსაც თქვენ სამყაროს უძახით. მე მინდა ვთქვა, რომ უბრალოდ ლაინლენდის გარეთ ვარ, ნამდვილ სამყაროში, სიბრტყეზე. საიდანაც ყველაფრის დანახვა შეიძლება. ამ მომენტში შემიძლია დავინახო თქვენი წრფე გვერდიდან, ან თუ გინდათ ამას შიგნიდან დანახვა დაუძახეთ. მე ვხედავ ყველა თქვენებურ ქალს და კაცს თქვენს ჩრდილოეთით და სამხრეთით. ახლა შემიძლია მათი დათვლა, ვხედავ მათ ზომებს და ინტერვალებს მათ შორის.“

როცა მე ეს ყველაფერი გავაკეთე, ტრიუმფალურად შევყვირე: „გასაგებია?“ კიდევ ერთხელ შევედი ლაინლენდში და იგივე პოზიცია დავიკავე, რაც მანამდე მეკავა.

მაგრამ მონარქმა მიპასუხა: „შენ რომ მართლა გონიერი კაცი იყო – რაშიც ცოტა ეჭვი მეპარება, რადგანაც ქალივით მხოლოდ ერთი ხმა გაქვს – ცოტა გონება მაინც რომ გქონდეს, მიხვდებოდი რას გეუბნები. შენ მარწმუნებ, რომ არსებობს კიდევ სხვა წრფე, იმის გარდა, რასაც მე აღვიქვამ და რომ არსებობს სხვა მოძრაობა, იმის გარდა რასაც მე ყოველდღე ვასრულებ.“

მე გთხოვე, სიტყვებით აგეხსნა ჩემთვის, ან მოძრაობით გეჩვენებინა ის სხვა წრფე, რომელზეც ამბობ რომ არსებობს. მოძრაობის მაგივრად შენ რაღაც ფოკუსები მიჩვენე, გაქრი და ისევ გამოჩნდი. იმის მაგივრად, რომ შენი სამყაროს შესახებ გეამბნა, ჩემი ქვეშევრდომების შესახებ დამიწყე ლაპარაკი. ის ფაქტები მითხარი, რაც მე ისედაც ვიცოდი. შეიძლება ამაზე უფრო მეტად ირაციონალური იყოს რაიმე? გაიგე, რომ სულელურად იქცევი, ან მოსცილდი აქაურობას.“

განაწყენებული მისი უგუნურებით და განსაკუთრებით იმით, რომ ჩემი სქესის შესახებ ასე უდიერად ლაპარაკობდა, ზრდილობა დავივიწყე და ყოველგვარი აწონილი ტერმინების გარეშე ვუთხარი: „საცოდავო არსება! შენ შენი თავი დიდი ვინმე გგონია. მაშინ, როცა სინამდვილეში ყველაზე უფრო არასრულყოფილი იმბეცილი ხარ. შენ გგონია, რომ ყვე-

ლაფერს ხედავ. სინამდვილეში კი წერტილის გარდა არაფრის დანახვა არ შეგიძლია. წრფის არსებობით იწონებ თავს. მე კიდევ ვხედავ შენს წრფეს. შემოდის კუთხეების არსებობაც ვივარაუდო. სამკუთხედების, კვადრატების, პენტაგონების, ჰექსაგონების და წრისაც კი. რატომ უნდა დავხარჯო ზედმეტი სიტყვები? ჩემთვის მთავარია, რომ მე თავისუფალი ვარ შენნაირი არასრულყოფილებისაგან. შენ ხაზი ხარ. მაგრამ მე ხაზების ხაზი ვარ, რომელსაც ჩემს ქვეყანაში კვადრატს მეძახიან. მე, რომელიც შენთან შედარებით უსასრულოდ უფრო სრულყოფილი ვარ, ჩემს ქვეყანაში დიდს არაფერს წარმოვადგენ ფლექტენდის უდიდეს წარჩინებულებთან შედარებით. მე იმიტომ მოვედი შენთან, რომ მინდოდა ცოტა რამ მაინც მესწავლებინა შენთვის.“

ამ სიტყვების გაგონებაზე, მეფე საშინელი ყვირილით ჩემსკენ გამოეჩანა, თითქოს უნდოდა დიაგონალზე გაევილო და იმავდროულად, მისი უამრავი ქვეშევრდომის საომარი ხმა გაისმა, რომელიც უფრო და უფრო მატულობდა, სანამ არ დაემსგავსა ასი ათასი *ტოლფერდასაგან* შექმნილი ჯარის საომარ ხმას და ათასი *პენტაგონის* არტილერიის ხმას. შებორკილს და უმოძრაოს, მე არ შემიძლო არც მელაპარაკა და არც თავიდან ამეცილებინა მოსალოდნელი დესტრუქცია. ხმაური მატულობდა და მეფეც მიახლოვდებოდა, როდესაც საუზმის ზარმა გამაღვიძა და დამაბრუნა ფლექტენდის რეალობაში.

§15. სივრციდან მოსული უცხოელის შესახებ

სიზმრებიდან რეალობას დავუბრუნდი. ჩვენი ერის 1999 წლის ბოლო დღე იყო. წვიმის ხმაური აღარ ისმოდა. მე ჩემს ცოლთან ერთად ვიჯექი¹², ვიხსენებდი წარსულის ამბებს და ვფიქრობდი მომავალ ახალ წელზე, მომავალ ახალ ათასწლეულზე.

ჩემი ოთხი ვაჟიშვილი და ორი შვილიშვილი თავთავიანთ ოთახებში იყვნენ. მარტო მე და ჩემი ცოლი დავრჩით რომ გაგვეცილებინა ძვე-

¹² როდესაც ვამბობ ვიჯექით, მე რა თქმა უნდა არ ვგულისხმობ მდგომარეობის შეცვლას ისე, რასაც თქვენ, სივრცის მოზინადრენი გულისხმობთ ამ სიტყვის ქვეშ. რადგანაც ჩვენ არანაირი ფხეები არა გვაქვს, არ შეგვიძლია „დავჯდეთ“, ან „დავდგეთ“ (ამ სიტყვის თქვენებური გაგებით) ისევე, როგორც, მაგალითად თქვენს ქამბალებს არ შეუძლიათ ამის გაკეთება. მიუხედავად ამისა, ჩვენ კარგად ვცნობთ „წოლის“, „ჯდომის“, ან „დგომის“ გამომხატველ გონებრივ სახესხვაობებს. რაც დამკვირვებლისათვის ნებისყოფის მცირე დამაბვას, ან მოდუნებას ნიშნავს. ამ და ამის მსგავს თემებზე ლაპარაკს დროის სიმცირის გამო ვერიდები.

ლი ათასწლეული და შევხვედროდით ახალს. მე ფიქრებში ვიყავი გართული. ვფიქრობდი იმაზე, რაც ჩემმა ყველაზე პატარა, ყველაზე იმედისმომცემმა *ჰექსაგონმა* შვილიშვილმა მითხრა ცოტა ხნის წინ. მას უჩვეულოდ კარგი და სწორი კუთხეები ჰქონდა. მისი ბიძები ჩემთან ერთად ჩვეულებრივად გაკვეთილს უტარებდნენ მხედველობით ცნობის მეცნიერებაში. ჩვენ ვტრიალებდით ჩვენი ცენტრების გარშემო ხან სწრაფად, ხან ნელა. თან ვეკითხებოდით ჩვენი პოზიციის შესახებ. მისი პასუხები იმდენად დამაკმაყოფილებელი იყო, რომ გადავწყვიტე რამოდენიმე გაკვეთილი არითმეტიკაშიც ჩამეტარებინა, როგორც გეომეტრიის დამატება.

ავიღე ცხრა კვადრატი, თითოეული ერთი ინჩი ყველა მიმართულებით. დავდე ერთად და ვთხოვე მას გაეკეთებინა ერთი დიდი კვადრატი, რომლის გვერდი სამი ინჩი იქნებოდა. ამით ჩემს პატარა შვილიშვილს ვაჩვენე, რომ იმის მიუხედავად, რომ შეუძლებელია დავინახოთ კვადრატის შიგთავსი, შეგვიძლია ვიცოდეთ რამდენი კვადრატული ინჩი ჩაეტევა მასში. ამას ისე გავაკეთებთ, რომ უბრალოდ გვერდის ინჩების რაოდენობას თავის თავზე გავამრავლებთ. „და ამგვარად“, – ვთქვი მე, – „ვიცი, რომ 3^2 ანუ 9 წარმოადგენს იმ კვადრატის კვადრატულ ინჩების რაოდენობას, რომლის გვერდი 3 ინჩია.“ პატარა *ჰექსაგონი* ცოტა ხანს ფიქრობდა და მერე მიპასუხა: „შენ ხომ მასწავლე მესამე ხარისხში აყვანა. მე ვფიქრობ, რომ 3^3 გეომეტრიაში რაღაცას უნდა ნიშნავდეს. მითხარი რას.“ „სულაც არაფერს“, – მივუგე მე, – „გეომეტრიას მხოლოდ ორი განზომილება აქვს.“

შემდეგ დავიწყე იმის ჩვენება, თუ როგორ შეიძლება წერტილმა სამი ინჩის მანძილზე მოძრაობით სამი ინჩი სიგრძის ტოლი ხაზი გააკეთოს, რაც რიცხვ 3 – ს გამოსახავს. აგრეთვე ვაჩვენე, როგორ შეიძლება რომ 3 ინჩის ზომის ხაზმა წარმოქმნას კვადრატი თავისი თავის პარალელური მიმართულებით მოძრაობით და რომ ეს წარმოადგენს რიცხვს 3^2 . ამის შემდეგ ჩემი შვილიშვილი ისევ დაუბრუნდა თავის მოსაზრებას და წამოიძახა „კარგი, თუკი წერტილი სამი ინჩის მანძილზე მოძრაობით ქმნის სამი ინჩი სიგრძის მქონე ხაზს და სამი ინჩი სიგრძის მქონე ხაზი თავის თავის პარალელური მოძრაობით ქმნის სამი ინჩის სიგრძის მქონე გვერდებიან კვადრატს, მაშინ ეს კვადრატიც, თუკი იმოძრავებდა თავისი თავის პარალელურად (მე არ ვიცი როგორ) უნდა ქმნიდეს კიდევ რაღაცას (არ შემიძლია წარმოვიდგინო რას), რომელიც ყველა მიმართულებით სამი ინჩი იქნებოდა და რომელიც 3^3 რიცხვით იქნება წარმოდგენილი.“

„წადი დაიძინე,“ – ვუთხარი მე, ამ მსჯელობით ცოტა შემფოთებულმა – „თუკი ნაკლებ სისულელეს ილაპარაკებ, უფრო მეტი სასარგებლო რამ დაგამახსოვრდება.“

ჩემი შვილიშვილი უკმაყოფილოდ გავიდა ოთახიდან. დავრჩით მე

და ჩემი ცოლი. ვიჯექი და ვცდილობდი გადამეხედა 1999 წლის მოვლენებისათვის და მეფიქრა როგორი იქნებოდა 2000 წელი. მხოლოდ ვერ ვიცილებდი კითხვებს, რომლებიც ჩემმა გონიერმა *ჰექსაგონმა* დამისვა. ნახევარ საათიან ქვიშის საათში მხოლოდ რამოდენიმე მარცვალა იყო დარჩენილი. გამოვფხიზლდი ფიქრებიდან და ძველ ათასწლეულში საბოლოოდ გადავაბრუნე საათი ჩრდილოეთისაკენ. თანაც წამომცდა: „ის ბიჭი სულელია.“

იმ წუთას გავაცნობიერე, რომ ოთახში მარტო არ ვიყავი. გამყინავმა გრძნობამ გამიარა სხეულში. „ის ასეთი არაა“, – დაიყვირა ჩემმა ცოლმა – „შენ კანონს არღვევ, როცა საკუთარ შვილიშვილზე ასე ლაპარაკობ.“

მაგრამ მე მას ყურადღება არ მივაქციე. ირგვლივ ვერაფერს ვხედავდი. მხოლოდ ვგრძნობდი რომ ოთახში ვიღაც იყო. თითქოს ჩუმი ჩურჩული გავიგონე და მე წამოვხტი.

„რაშია საქმე?“ – შემეკითხა ცოლი, – „რას ეძებ, აქ სხვა არავინაა“.

მართლაც არაფერი არ იყო. ადგილი დავიკავე და კვლავ წამოვიძახე: „ბიჭი სულელია. 3³ – ს არავითარი გეომეტრიული მნიშვნელობა არა აქვს.“ ამ შენიშვნას კარგად გარჩევადი ხმა მოჰყვა: „ბიჭი სულელი არაა და 3³ – ს ცხადია აქვს გეომეტრიული მნიშვნელობა.“

ჩემმა ცოლმაც გაიგონა ეს სიტყვები, მხოლოდ მნიშვნელობა ვერ გაიგო. ჩვენ ორივენი ხმის მიმართულებით გავსვრიალდით. წარმოიდგინეთ როგორ შეგვემინდებოდა, როცა ჩვენს წინაშე ფიგურა აღმოჩნდა!.. ერთი შეხედვით ისე ჩანდა, თითქოს *ჯალი* იდგა, გვერზე მობრუნებული. მაგრამ მომენტალურად გავანალიზე, რომ ექსტრემალური წერტილები სიბნელეში ისე სწრაფად იძირებოდნენ, რომ შეუძლებელია ფიგურა *ჯალი* ყოფილიყო. უფრო *წრეს* მიაგავდა, მაგრამ ისე უცნაურად იცვლიდა ზომებს, რომ ჩემი გამოცდილებით ვიცოდი, არც *წრე*, არც რაიმე *რეგულარული ფიგურა* არ შეიძლებოდა ყოფილიყო.

სამაგიეროდ, ჩემს ცოლს არ ჰქონდა ჩემნაირი გამოცდილება. არც თავშეკავება, რაც ასე საჭიროა დასკვნების გასაკეთებლად. მისი სქესისათვის დამახასიათებელი დაუფიქრებლობით და უმიზეზო ეჭვიანობით მან იმწამსვე დაასკვნა, რომ ეს *ჯალი* იყო, რომელიც სახლში რომელიმე ჭუჭრუტანიდან შემომძვრა.

„ეს როგორ მოხვდა აქ?“ – წამოიყვირა, – „შენ ხომ დამპირდი ძვირფასო, რომ ჩვენს ახალ სახლში ნახვრეტები არ იქნებოდა.“

„და არც არის, არც ერთი.“ – ვუპასუხე მე, – „რამ გაფიქრებინა რომ ეს უცხო ფიგურა *ჯალია*? მე, თვალთ ცნობის მეცნიერებიდან გამომდინარე ...“

„ვერ ვიტან მაგ შენ თვალთ ცნობის მეცნიერებას,“ – მიპასუხა, – „შეხება უფრო სანდოა და წრფე უფრო ადვილი შესაგრძნობია, ვიდრე შენი დანახული წრე.“ ასეთი ლაპარაკი ფლეტლენდში დამახასიათებელია სუსტი სქესისათვის.

„კარგი“, – ვუთხარი მე, რადგანაც მეშინოდა არ გაღიზიანებულიყო, – „თუ მასე გინდა, თხოვე გაგეცნოს.“

თავის ყველაზე უფრო გრაციოზული მოძრაობით ჩემი ცოლი უცხო სტუმრისაკენ გაეშურა. „ნება მომეცით ქალბატონო შეგეხოთ და იყოთ შეხებულნი ...“ შემდეგ კი მოულოდნელად წამოიყვირა: „ოჰ! ეს *ქალი* არაა, არავითარი კუთხეები აქ არაა, კუთხის კვალიც კი არ არის. ასე ცუდად მოვიქეცი, სრულყოფილ *წრესთან!*“

„რაც აზრით მე მართლაც წრე ვარ,“ – უპასუხა ხმამ. – „და კიდევ უფრო მეტიც, ფლეთლენდის ყველა *წრეზე* უფრო სრულყოფილი. უფრო ზუსტად რომ ვილაპარაკოთ, მე მრავალი წრე ვარ ერთში.“ შემდეგ კი წყნარად დაუმატა: „ქალბატონო, მე თქვენს მეუღლეს მინდა წერილი გადავცე, ოღონდ თქვენი თანდასწრებით ამის გაკეთება არ შემიძლია. რამოდენიმე წუთით რომ დაგვტოვებდეთ ...“

ჩემს ცოლს არ გაუგონია ჩვენი აღმატებული სტუმრის წინადადება. ის არწმუნებდა *წრეს*, რომ მას უკვე დიდი ხნის წინ უნდოდა დაეტოვებინა ოთახი და ძალიან წუხდა თავისი უხეში საქციელის გამო. ბევრი მობოდიშების შემდეგ ის, როგორც იქნა, თავის ოთახში გავიდა.

მე ქვიშის საათს შევხედე. იმ წამს ბოლო მარცვალი ჩამოვარდა. მესამე ათასწლეული დაიწყო.

§ 16. როგორ უშედეგოდ ცდილობდა უცხოელი სიტყვებით აეხსნა ჩემთვის სივრცის საიდუმლოებები

როდესაც ოთახიდან გასული ჩემი ცოლის მშვიდობიანი ზუზუნის ხმა მიწყნარდა, მე დავიწყე უცხოელთან მიახლოება. თან ვცდილობდი ახლოდან უფრო ყურადღებით დამეთვალაიერებინა და შემეთავაზებინა დამჯდარიყო. მაგრამ მისმა შესახედაობამ დამამუნჯა და გაოცებისაგან უმოძრაოდ გავშეშდი.

კუთხის აბსოლუტური უქონლობის მიუხედავად მისი ზომები და განათებულობა განუწყვეტლად იცვლებოდა, რაც ჩემი გამოცდილებით არც ერთი *ფიგურისათვის* არ იყო დამახასიათებელი. თავში გამიელვა აზრმა, ხომ არ იყო ჩემს წინ რომელიმე *ყაჩაღი* ან, კიდევ რაიმე მონსტრი *არარეგულარული ტოლოფერდა* ფიგურა, ვინც *წრის* ხმას ამსგავსებდა თავის ხმას. რაღაცნაირად შემოიპარა სახლში და ახლა ემზადებოდა, რომ გავეგმირე თავისი მახვილი კუთხით.

სასტუმრო ოთახში ნისლის უქონლობის პირობებში (თანაც ეს სეზონი განსაკუთრებით მშრალი იყო) ჩემთვის ძნელი იყო მხედველობის საშუ-

ალებით ცნობის ხელოვნებას დავნდობოდი. თანაც, ასეთ მოკლე მანძილზე. შიშისაგან აკანკალებული, გავექანე და ცერემონიების გარეშე შემოვხვიე. ჩემი ცოლი მართალი იყო. კუთხის ნიშანწყალიც კი არსად იყო, არანაირი უტოლობა! ჩემს ცხოვრებაში არ მენახა ასეთი სრულყოფილი *წრე*. ის უმოდრაოდ რჩებოდა, სანამ მე გარშემო შემოვუარე. დავიწყე მისი თვალიდან და დავბრუნდი ისევ საწყის წერტილში. არანაირ ეჭვს არ იწვევდა, რომ უდავოდ *წრე* იყო, მშვენივრად სრულყოფილი *წრე*. ამას მოჰყვა დიალოგი, რომლის გახსენებაზე მირჩევნია დავჯდე ხოლმე. გამოვტოვებ რა მხოლოდ ჩემს ბოდიშებს – რადგანაც მე შერცხვენილი და დამდაბლებული ვიყავი. მე, *კვადრატმა* დანაშული ჩავიდინე, თავზედურად გავსინჯე *წრე* და ამით მას შეურაცხყოფა მივაყენე.

დიალოგი უცხოელმა დაიწყო. ცოტა უკმაყოფილო ჩანდა მისალმების გაგრძელებული პროცედურის გამო. „საკმარისად შეიგრძენი ჩემი ფორმა? არ ვართ გაცნობილები?“

მე: „ყველაზე აღმატებულო ბატონო. მაჰატივით ჩემი მოუხეშაობა, რომელიც გამოდის არა ზრდილობიანი საზოგადოებრივი ქცევების უარყოფიდან, არამედ იმ გაცეებისა და ნერვიულობიდან, რომელიც თქვენმა მოულოდნელმა ვიზიტმა გამოიწვია. გთხოვთ, არავის უამბოთ ეს ამბავი, განსაკუთრებით კი ჩემს ცოლს. სანამ საუბარს გააგრძელებდით, ჯერ იქნებ თქვენმა აღმატებულებამ გამიმხილოს საიდან მოვიდა და დააკმაყოფილოს ჩემი ცნობისმოყვარეობა?“

უცნობი: „სივრციდან ბატონო, სივრციდან, სხვა საიდან უნდა მოვსულიყავი?“

მე: „მომიტყვეთ ჩემო ბატონო, მაგრამ განა თქვენ ისევ სივრცეში არა ხართ? თქვენ, ბატონო და მე, თქვენი მორჩილი მსახური, ამ მომენტში ორივენი სივრცეში არა ვართ?“

უცნობი: „უფ! რა იცი სივრცის შესახებ? აბა, მითხარი სივრცის განმარტება.“

მე: „სივრცე, ჩემო ბატონო, არის სიმაღლე და სიგანე უსასრულოდ გაგრძელებული.“

უცნობი: „მართლაც, ხომ ხედავ, რომ არც კი იცი რაა სივრცე. შენ გგონია, რომ მას მხოლოდ ორი განზომილება აქვს. მე მოვედი რომ გასწავლოთ მესამე განზომილება – სიმაღლე.“

მე: „თქვენი ბრწყინვალეობა ხუმრობს. ჩვენც ხანდახან ორ განზომილებას ოთხნაირ სახელს ვუძახით ხოლმე. ვლაპარაკობთ სივრცეზე და სიმაღლეზე, ან კიდევ სიგანეზე და სისქეზე.“

უცნობი: „მაგრამ მე არა მარტო სამ სახელს ვგულისხმობ, არამედ სამ განზომილებას.“

მე: „იქნებ თქვენმა უდიდებულესობამ ამიხსნას ან, მიმანიშნოს რომელი მიმართულებითაა ის მესამე განზომილება, რომელიც მე არ ვიცი?“

უცნობი: „მე მოვედი იქიდან, ის არის ზემოთ და ქვემოთ.“


მე: „ბატონი ალბათ გულისხმობს ჩრდილოეთის და სამხრეთის მიმართულებებს.“

უცნობი: „არა, მაგას არ ვგულისხმობ. მე ვლაპარაკობ მიმართულებაზე, რომლისკენაც შენ ვერ გაიხედავ. იმიტომ, რომ თვალი არ გაქვს გვერდზე.“

მე: „მაპატიეთ ბატონო, უბრალო შეხედვითაც ნახავთ, რომ მშვენიერი თვალი მაქვს ჩემი ორი გვერდის შემაერთებელ წერტილში.“

უცნობი: „კი. მაგრამ იმისათვის რომ სივრცეში გაიხედო, თვალი პერიმეტრზე კი არა, არამედ გვერდზე უნდა გქონდეს. ეს ის ადგილია, რასაც შენ ალბათ მუცელს უწოდებ. ჩვენ, სივრცეში მაგას გვერდს ვეძახით.“

მე: „თვალი ჩემს შიგნით! თვალი ჩემს მუცელში! თქვენი უდიდებულე-



სობა ხუმრობს.“

უცნობი: „სულაც არ ვხუმრობ. გითხარი, რომ სივრციდან მოვედი. რადგანაც შენ არ იცი სივრცე რაა, სხვანაირად რომ ვთქვა, სამ განზომილებიანი სამყაროდან მოვედი. მე უბრალოდ დავხედე დაბლა სიბრტყეს, რომელიც მთელს თქვენს სამყაროს წარმოადგენს. მე მაქვს უპირატესობა დავინახო ის, რასაც თქვენ სხეულს უწოდებთ (და რასაც გულისხმობთ

„ჩაკეტილს ყველა მხრიდან“), თქვენი სახლები, ტაძრები, თქვენი სკივრები და სეიფები, თქვენი შინაგანი ორგანოები, ყველაფერი ღიაა ჩემთვის, გახსნილია ჩემი მზერისათვის.“

მე: „ასეთი განცხადების გაკეთება ადვილია, ჩემო ბატონო.“

უცხოელი: „მაგრამ მისი დამტკიცება უკვე ასე ადვილი არაა, მაგას გულისხმობდი? მე მაინც ვეცდები. როდესაც აქ მოვედი, დავინახე შენი ოთხი ვაჟი, *პენტაგონები*, თითოეული თავის ოთახში, შენი ორი შვილიშვილი, *ჰელსაგონები*. დავინახე ყველაზე პატარა *ჰელსაგონი*, როგორ დარჩა აქ და შემდეგ, როგორ წავიდა თავის ოთახში. დაგტოვათ მართო შენ და შენი ცოლი. დავინახე შენი სამი *ტოლფერდა* მსახური, როგორ ვახშობდნენ სამზარეულოში. დავინახე პატარა *ბიჭი*, პაჟი, კაბინეტში. მერე აქ მოვედი, როგორ ფიქრობ, როგორ?“

მე: „ვფიქრობ სახურავიდან.“

უცხოელი: „მთლად მასე არა. შენი სახურავი ცოტა ხნის წინ შეაკეთეს, ასეა არა? ისეთი ნახვრეტიც კი არა აქვს, *ქალი* რომ შემოეტოს. გითხარი რომ სივრციდან მოვედი. არ დაგაკმაყოფილა იმან, რაც შენი სახლის და ოჯახის წევრების შესახებ გითხარი?“

მე: „თქვენმა უდიდებულესობამ, ალბათ იცის ყველაფერი ეს იქიდან, რომ თქვენი მონა – მორჩილის ოჯახის წევრების შესახებ რომელიმე ჩემმა მეზობელმა მოგაწოდათ საკმარისი ინფორმაცია.“

უცხოელი (თავის თავს): „რა ვქნა? მოიცა. კიდევ ერთი არგუმენტი მომაგონდა. როდესაც შენ უყურებ ხაზს – მაგალითად შენს *ცოლს*. რამდენ განზომილებიანად აღიქვამ მას?“

მე: „თქვენი უდიდებულესობა ისე მექცევა, თითქოს ვიღაც ვულგარული, გაუნათლებელი, მათემატიკის უცოდინარი ვინმე ვიყო. თითქოს *ქალი* მხოლოდ ერთი განზომილების მქონე ხაზი იყოს. არა, ბატონო, ჩვენ, *კვადრატები* უკეთესად ვართ განათლებულნი. ისევე როგორც თქვენმა უდიდებულესობამ, ჩვენც ვიცით, რომ *ქალები*, რომელთაც პოპულარულად ხაზებს უწოდებენ, სინამდვილეში და მეცნიერულადაც ძალიან წვრილი *პარალელოგრამები* არიან. ორი განზომილება აქვთ, ისევე როგორც ჩვენ, დანარჩენებს, სიგრძე და სიგანე (ან თუ გნებავთ სისქე).“

უცხოელი: „იმ ფაქტიდან, რომ ხაზი ჩანს, გამოდის, რომ სხვა განზომილებაც არსებობს.“

მე: „ბატონო, მე ახლა ვაღიარე, *ქალს* ისევე აქვს სიგანე, როგორც სიგრძეც. რომელიც, რამდენადაც სიფრიფანა არ უნდა იყოს, შეიძლება გაიზომოს.“

უცხოელი: „შენ ვერ გაიგე. მე ვგულისხმობდი ფაქტს, რომ, როდესაც ხედავ *ქალს*, შენ უნდა დაინახო კიდევ მისი სიგრძეც (იმის გარდა, რომ ვარაუდობ, რომ აქვს რაღაც სიგანე). და დაინახო ის, რასაც ჩვენ „სიმაღლეს“ ვუწოდებთ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ცნება თქვენთან უმნიშვნე-

ლოა. თუკი წრფეს ექნებოდა მხოლოდ სიგრძე, სიმაღლის გარეშე, მაშინ ის თქვენთვის უჩინარი იქნებოდა. მართლა ვერ ხვდები ამას?“

მე: „მე უნდა ვაღიარო, რომ ვერაფერი ვერ გავიგე თქვენი უდიდებულესობის ნალაპარაკებიდან. როდესაც ჩვენ, ფლექტლენდში ვხედავთ წრფეს, ჩვენ ვხედავთ სიგრძეს და სინათლეს. თუკი სინათლე გაქრება, მაშინ ხაზი ჩამქრალია და ის მხოლოდ ადგილს იკავებს სივრცეში, როგორც ეს თქვენ ბრძანეთ. მე ვვარაუდობ, რომ თქვენ განათებულობას განზომილების სტატუსი მიანიჭეთ და იმას, რასაც ჩვენ „ნათელს“ ვუწოდებთ თქვენ „სიმაღლე“ დაუძახეთ?“

უცნობი: „ნამდვილად არა. „სიმაღლეს“ მე ისეთივე განზომილებას ვუძახი, როგორიცაა მაგალითად „სიგრძე“. მხოლოდ თქვენთან „სიმაღლე“ იმდენად მცირეა, რომ თითქმის შეუმჩნეველია.“

მე: „ჩემო ბატონო! თქვენი ვარაუდი ადვილი შესამოწმებელია. ამბობთ, რომ მე მაქვს კიდევ მესამე განზომილებაც. რომელსაც „სიმაღლეს“ უწოდებთ. განზომილება განსაზღვრავს მიმართულებას და გაზომვის შესაძლებლობას. იქნებ გაზომვით ჩემი „სიმაღლე“, ან მიმითითოთ მიმართულება საითაც ვრცელდება ჩემი „სიმაღლე“ და მეც დაგიჯერებთ. სხვანაირად, მაპატიეთ და თქვენი მოსაზრება მიუღებელია ჩემთვის.“

უცნობი (თავის თავს): „ვერაფერს გავაკეთებ. როგორ უნდა დავარწმუნო? ფაქტების უბრალო ჩამონათვალს, ალბათ, ჯობია მხედველობითი დემონსტრირება.“

აბა, მისმინე, შენ სიბრტყეზე ცხოვრობ. შენი ფლექტლენდი უზარმაზარი ზედაპირია, რომელსაც მე სითხეს დავუძახებ, შენ და შენი თანამემამულეები ცხოვრობთ მასში, ან, მასზე. ისე, რომ მისგან გარეთ არ გამოდიხართ არც ზემოთ და არც ქვემოთ. მე თქვენგან განსხვავებით, არა ვარ ბრტყელი ფიგურა. მე სხეული ვარ. შენ მე *წრეს* მიძახი, სინამდვილეში მე წრე კი არა ვარ, არამედ უსასრულო რაოდენობა წრეების ერთობლიობა, რომლებიც ერთმანეთზეა დადებული. მათი ზომები იცვლება წერტილიდან 13 ინჩის დიამეტრის მქონე წრის ზომამდე. როდესაც მე ვკვეთავ თქვენს სიბრტყეს, მაშინ შენ სწორად მეძახი *წრეს*. ჩემს ქვეყანაში კი *სფეროს* მიძახიან. *სფეროს* თუ მოუხდებოდა თქვენს ქვეყანაში წარედგინა თავისი თავი, *წრის* სახით უნდა გაცნობოდა ფლექტლენდელებს.


იცოდე, რომ მე ყველაფერს ვხედავ. შენს გონებაში წავიკითხე, რომ გუშინ ღამე ლაინლენდი გესიზმრებოდა. გახსოვს, ლაინლენდის რეალობაში რომ შეხვედი, როგორ წარუდექი იქაურ მეფეს, არა როგორც *კვადრატო*, არამედ, როგორც *წრე*. იმიტომ, რომ ლაინლენდის რეალობას არ გააჩნდა საკმარისი განზომილება რათა სრულად აგელწერა შენი თავი. მხოლოდ შენ ნაწილზე – ფენაზე შეიძლებოდა რომ გესაუბრა. ზუსტად ასევე, შენი ორგანზომილებიანი ქვეყანა არაა საკმარისი იმისათვის, რომ მთლიანად წარმოვადგინო ჩემი თავი – მე ამისათვის სამი განზომილება

მჭირდება. თქვენს რეალობაში მე მხოლოდ ჩემი მცირე ნაწილით, ჭრილით, შემიძლია რომ გამოვჩნდე, რომელსაც თქვენ *წრეს* უწოდებთ. შენს თვალეში უნდობლობას ვხედავ. სცადე, ახლა პოზიტიურად შეხედო ჩემს მოსაზრებებს.

შენ, მართლაც, არ შეგიძლია ერთდროულად ჩემი ერთზე მეტი კვეთის დანახვა. რადგანაც შენ არ გაგაჩნია ძალა აიხედო ფლექტენდის სიბრტყის ზემოთ, ამიტომ ერთჯერადად მხოლოდ ერთ *წრეს* ხედავ. მაგრამ იმის დანახვა კი შეგიძლია, რომ როდესაც მე ავიწევი მაღლა, სივრცეში, ჩემი კვეთები დაპატარავდება. მიყურე, ახლა მე ავალ ზემოთ. შენ დაინახავ, უფრო და უფრო პატარა წრეებს, ვიდრე არ გამოჩნდება ერთი წერტილი და ამის მერე მე შენი თვალთახედვიდან გავქრები.“

ის, რაც მე დავინახე, „ასვლა“ არ ყოფილა. მაგრამ ის, მართლაც, პატარავდებოდა და ბოლოს გაქრა. ერთი ორჯერ დავახამხამე თვალი, რომ დავრწმუნებულიყავი ხომ არ მეძინა. მაგრამ ეს სიზმარი არ იყო. საიდანღაც, სიღრმიდან ხმა გაისმა. მე მგონი, ჩემი გულის სიახლოვიდან მოდიოდა: „უკვე სულ წასული ვარ? დაგაჯერე? ახლა მე ნელ – ნელა ისევ დავბრუნდები ფლექტენდში და შენი მზერისათვის ჩემი კვეთები უფრო და უფრო დიდი გამოჩნდება.“

სივრცული სამყაროს ყველა მკითხველი მაშინვე მიხვდება, რომ უცხოელი სიმართლეს ამბობდა. მაგრამ ჩემთვის, მიუხედავად იმისა, რომ ფლექტენდში მათემატიკოსი ვიყავი, ეს არაფერს ნიშნავდა.



ზემოთ მოყვანილი უხეში დიაგრამიდან, სივრცული სამყაროს ბინადარი პატარა ბავშვიც კი მიხვდებოდა, რომ სამ სხვადასხვა პოზიციაში, რომელიც აქაა დახატული, სფეროს უნდოდა ჩემთვის, ან თუნდაც რომელიმე სხვა ფლექტენდელისათვის წარედგინა თავისი თავი, ჯერ როგორც *წრე*, შემდეგ უფრო პატარა *წრე*, და ბოლოს იმდენად პატარა, რომ თითქმის *წერტილი* იყო. მაგრამ ჩემთვის, მიუხედავად იმისა, რომ ფაქტები სახეზე მქონდა, ეს ყველაფერი მაინც ბნელით იყო მოცული. ერ-

თადერთი რაც გავიგე, იყო ის, რომ *წრემ* თავი დაიპატარავა და შემდეგ გაქრა; და რომ ახლა ხელახლა გამოჩნდა და უცნაურად მატულობდა ზომაში.

როდესაც მისი თავდაპირველი ზომა მიიღო, მძიმედ შემომხედა, რადგანაც ჩემი გამომეტყველებით მიხვდა, რომ მისი მცდელობა ჩემთვის აეხსნა რამე, უშედეგოდ დამთავრდა. მართლაც, ახლა მე იმ აზრის ვიყავი, რომ ის მართლა *წრე* კი არ იყო, არამედ ჭკვიანი ჟონგლიორი. ან კიდევ, რომ ძველი ზღაპრები მართალს ამბობდნენ და რომ მართლაც არსებობდნენ ჯადოქრები.

დიდი ხნის პაუზის მერე მან თავისთვის ჩაილაპარაკა: „კიდევ ერთი საშუალება რჩება, უნდა ვცადო ანალოგიის მეთოდი.“ ამას კიდევ უფრო დიდხნიანი სიჩუმე მოჰყვა, რის შემდეგაც მან გააგრძელა დიალოგი.

სფერო: „მითხარი, ბატონო მათემატიკოსო, თუკი წერტილი მოძრაობს ჩრდილოეთისაკენ და ტოვებს განათებულ კვალს, რა სახელს დაუძახებდი ამ კვალს?“

მე: „მონაკვეთს“.

სფერო: „რამდენი ექსტრემუმი აქვს მონაკვეთს?“

მე: „ორი.“

სფერო: „ახლა წარმოიდგინე მონაკვეთი, რომელიც მოძრაობს თავისი თავის პარალელურად აღმოსავლეთით ან დასავლეთით. ისე, რომ მისი ყოველი წერტილის დატოვებული კვალი არის მონაკვეთი. რა სახელს დაუძახებდი ასეთნაირად მიღებულ ფიგურას, თუკი წარმოვიდგენთ, რომ ყოველი წერტილი იმდენ მანძილს გადის, რაც თავდაპირველად აღებული მონაკვეთის სიგრძის ტოლია. რა გამოვა?“

მე: „კვადრატი.“

სფერო: „რამდენი გვერდი აქვს კვადრატს? რამდენი კუთხე?“

მე: „ოთხი გვერდი და ოთხი კუთხე.“

სფერო: „ახლა ცოტა დამაბე შენი წარმოდგენა და წარმოიდგინე, რომ კვადრატი მოძრაობს თავის თავის პარალელურად ზემოთ.“

მე: „რა? ჩრდილოეთისაკენ?“

სფერო: „არა, ჩრდილოეთისაკენ არა. ზემოთ, ფლეთლენდის გარეთ. თუკი ის ჩრდილოეთისაკენ იმოძრავებდა, მაშინ კვადრატის სამხრეთის წერტილები იმოძრაებდნენ იმ ადგილებზე, სადაც ამის წინ ჩრდილოეთის წერტილები იყვნენ. მაგრამ მე ამას არ გეუბნები.“

მე გეუბნები, რომ ყველა შენი წერტილი, რამდენადაც შენ კვადრატი ხარ და ჩემი მაგალითის საილუსტრაციოდ გამოდგები, ყველა წერტილი შენში, ანუ ყველა შენი შინაგანი წერტილი ზემოთ, სივრცეში უნდა გადაადგილდეს, იმ პოზიციაზე, რომელიც მანამდე სხვა წერტილს ეკავა. ამასთან ყოველი წერტილი თავის საკუთარ კვალს დატოვებს. ეს ყველაფერი ანალოგიისათვის გითხარი. იმედია გამიგე.“ ძლივს ვიკავებდი

თავს. ისე მინდოდა გავქანებულიყავი ჩემი ვიზიტორისაკენ და მომეხროლა ის უკან, თავის სივრცეში, ფლექტლენდის გარეთ, სადმე, ოღონდ მომეცილებინა თავიდან. მე ვუთხარი:

„როგორი იქნება იმ ფიგურის ბუნება, რომელსაც ჩემი მოძრაობით შევქმნი, იმ მოძრაობით, რომელსაც თქვენ ინებეთ და უწოდეთ „ზემოთ“? იმედი მაქვს ეს ფლექტლენდის ტერმინებში იქნება აღწერილი.“

სფერო: „ნამდვილად. ყველაფერი ძალიან მარტივი და ადვილია. ზუსტი ანალოგიის მიხედვით. მხოლოდ, სხვათა შორის, არ შეიძლება ამ მოძრაობის შედეგს *ფიგურა* დავუძახოთ, ის იქნება *სხეული*. ახლავე აგიხსნი. ან, ჯობია, ისევე ანალოგიას მივმართოთ.

დავიწყეთ ერთი წერტილით. რომელსაც, რა თქმა უნდა, ერთი ბოლო წერტილი აქვს.

ერთი წერტილი წარმოქმნის მონაკვეთს, რომელსაც ორი ბოლო წერტილი გააჩნია.

ერთი მონაკვეთი წარმოქმნის კვადრატს, ოთხი სასაზღვრო წერტილით.

ახლა შენ თვითონ უპასუხე შემდეგ კითხვებს: 1, 2, 4, უდავოდ გეომეტრიული პროგრესიაა. რა იქნება შემდეგი რიცხვი ამ მიმდევრობაში?“

მე: „8.“

სფერო: „მართალია. ერთი კვადრატი წარმოქმნის რაღაცას, რომლის სახელი შენ ჯერ არ იცი, მაგრამ ჩვენ *კუბს* დავუძახებთ, 8 ექსტრემალური წერტილით. ახლა გაიგე?“

მე: „ამ ქმნილებას გვერდები ექნება? ან კიდევ კუთხეები, ან ის, რასაც თქვენ „სასაზღვრო წერტილებს“ ეძახით?“

სფერო: „რა თქმა უნდა. ყველაფერი ანალოგიური იქნება. მხოლოდ ის, რასაც შენ გვერდებს ეძახი, არ იქნება მისი გვერდები, არამედ რაღაც სხვა, რასაც შენ სხეულს დავუძახებდი.“

მე: „რამდენი სხეული თუ გვერდი ექნება ამ ახალ ქმნილებას, რომელსაც მე მივიღებ ჩემი შიგთავსის „ზემოთ“ მოძრაობით? და რომელსაც თქვენ კუბს ეძახით?“

სფერო: „მაგას რა კითხვა უნდა? შენ ხომ მათემატიკოსი ხარ. მონაკვეთის „გვერდები“ დავუძახოთ მის ექსტრემალურ წერტილებს. რადგანაც წერტილის განზომილება ნულია, მისი გვერდების რაოდენობა იქნება 0. მონაკვეთს, თუ შეიძლება, ასე რომ ვთქვათ, 2 გვერდი აქვს, კვადრატს 4 გვერდი აქვს; 0, 2, 4, ... რა მიმდევრობაა ეს?“

მე: „არითმეტიკული.“

სფერო: „და რა იქნება შემდეგი რიცხვი?“

მე: „6.“

სფერო: „მართალია. ხომ ხედავ, შენ თვითონ უპასუხე დასმულ კითხვას. კუბს, რომელსაც კვადრატის მოძრაობით წარმოქმნი, 6 გვერდი შემო-

საზღვრავს. 6 გვერდი, ანუ 6 შენი შიგთავსი. ახლა გაიგე?“

„მონსტრო!“ – წამოვიძახე მე, – „ეს ყველაფერი ჟონგლიორობაა, თუ სიზმარი, ან ეშმაკის გამოგზავნილი ხომ არა ხარ. მორჩი ჩემს დაცინვას. თუ არა და გაგაქრობ!“ ვთქვი და მოვემზადე რომ თავს დავსხმოდი.

§ 17. როგორ ცდილობდა სფერო საქმით ეჩვენებინა ის, რაც სიტყვებით ვერ ახსნა

ეს ყველაფერი უშედეგო იყო. ჩემი მართი კუთხე საშინელი ძალით მივმართე უცხოელისაკენ და ისეთი ძალით მივაწექი, რომ ნებისმიერი ჩვეულებრივი *წრე* დაიშლებოდა. მაგრამ ვიგრძენი, რომ ის ნელა და საიმედოდ მცილდებოდა. არც მარცხნივ წასულა და არც მარჯვნივ, სადღაც სხვაგან მიდიოდა, სამყაროს გარეთ და ქრებოდა არაფერში. მალე იქ სიცარიელე იყო, მაგრამ მაინც ისმოდა მისი ხმა.

სფერო : “რატომ არ გინდა რომ მომისმინო? ამის ახსნის უფლება მე ათას წელში ერთხელ მეძლევა. მე ვიმედოვნებდი, რომ შენში ვიპოვიდი სამი განზომილების თეორიის მქადაგებელს, რადგან შენ განათლებული კაცი ხარ და თანაც მათემატიკოსი. მაგრამ ახლა არც კი ვიცი, როგორ მოგექცე. მოიცა! მგონი მივხვდი. საქმე და არა სიტყვა! ასე გამოჩნდება სიმართლე. მომისმინე მეგობარო! მე გითხარი, რომ შემძლია სივრცეში ჩემი პოზიციიდან დავინახო ყველა იმ ნივთის, თუ არსების შიგთავსი, რაც შენ ჩაკეტილი გგონია. მაგალითად, მე ვხედავ რა დევს იმ ჭურჭლის კარადაში, რომლის გვერდზეც შენ დგებარ. ვხედავ რამოდენიმე ნივთს, რომელსაც შენ ეძახი „სკივრს“ და რომელიც ფულითაა სავსე. ვხედავ კიდევ ორ ტაბულას, რომელზეც ანგარიშებია ჩამოწერილი. ახლა მე კარადიდან ერთერთ ამ ტაბულას ავიღებ და შენ მოგაწვდი. ნახევარი საათის წინ დაგინახე, როგორ დაკეტე კარადა. ვიცი, რომ გასაღები შენ გაქვს. მე ახლა სივრციდან შევალ კარადაში. შენ დაინახავ, რომ კარები დაკეტილი დარჩება.

ახლა უკვე კარადაში ვარ და ვიღებ ტაბულას. აი, უკვე ავიღე და გავიტანე გარეთ.“

მე გავექანე კარადისაკენ და მოვაფრიალე კარები. ერთი ტაბულა იქ აღარ იყო.

უცნობი ოთახის მეორე ბოლოში გამოჩნდა. თანაც დამცინავად იღიმებოდა. იმავე წუთს ტაბულა იატაკზე დადებული დავინახე. ხელში ავიღე და დავრწმუნდი, რომ ეს, მართლაც, ჩემი დაკარგული ტაბულა იყო.

შიშისაგან დავიკვნესე, ხომ არ გავვიყდი!

უცნობი კი აგრძელებდა: „ახლა შენ, ალბათ, მიხვდი, რომ ის, რისი თქმაც მინდა, რაღაც შენთვის უცნობ ფენომენს გულისხმობს. ის, რასაც შენ მყარ სხეულებს უწოდებ, სინამდვილეში ზედაპირულია. ის, რასაც შენ სამყაროს უწოდებ, სინამდვილეში დიდი ზედაპირია. მე სივრცეში ვარ და აქედან ვხედავ იმ საგნების შიგთავსს, რომელსაც შენ მხოლოდ გარედან უყურებ. შეგიძლია დატოვო ეგ სიბრტყე, თუკი მოინდომებ. ცოტა ზემოთ, ან ქვემოთ გადაადგილებით შენც შეძლებდი იმის დანახვას, რასაც მე ახლა ვხედავ.“

რაც უფრო მაღლა და შორს მივდივარ შენი სიბრტყიდან, უფრო მეტიც დანახვა შემიძლია, მხოლოდ შორიდან ყველაფერი უფრო პატარა ჩანს. მაგალითად, ახლა როცა ზემოთ ავიწიე, ვხედავ შენს მეზობელ *ჰელსაგონს* და მის ოჯახს, თავიანთ ოთახებში. ახლა ვხედავ თეატრის შიგნით რა ხდება, ათი კარების იქით, ამ წუთას მიღება დამთავრდა. მეორე მხარეს *წრე* თავის კაბინეტშია, წიგნებს კითხულობს. ახლა ისევ შენთან დავბრუნდები. რას იტყვოდი, შენს მუცელს შიგნიდან რომ შევხებოდი? მხოლოდ მსუბუქად, არ მინდა, რომ რამე დაგიზიანო. პატარა ტკივილი არაფერია იმ გონებრივ უპირატესობასთან შედარებით, რასაც ამით მიიღებ.“

სანამ მე სიტყვის ჩართვას მოვასწრებდი, მუცელში საშინელი ტკივილი ვიგრძენი. თითქოს დემონური სიცილიც გავიგონე, რომელიც ჩემს შიგნიდან გამოდიოდა. ერთი წუთის შემდეგ აგონიამ გამიარა და მხოლოდ ყრუ ტკივილილა დამრჩა.

უცნობმა ისევ დაიწყო გამოჩენა. უფრო და უფრო დიდდებოდა და შემდეგ შემეკითხა: „ძალიან ხომ არ გატკინე? ახლაც თუ არ გჯერა, აღარ ვიცი, როგორ გაგაგებინო. აბა, რას მეტყვი?“

ჩემი დაჯერებულობა სადღაც გაქრა. აუტანელი იყო იმის აღიარება, რომ მე ვიყავი ჯადოქრის ვიზიტების ობიექტი. იმ ჯადოქრისათვის, ვისაც შეეძლო რაღაც ხრიკებით ჩემი მუცლისათვის ტკივილი მიეყენებინა. როგორმე რომ შევძლო და კედელზე მივალურსმო, სანამ დახმარება მოვა!?

კიდევ ერთხედ გავაქანე ჩემი კუთხე მისკენ და იმავე დროს საშინელი ყვირილით ვამცნე მთელს ჩემს ოჯახს, რომ მომშველებოდნენ.

მაშინვე ვიგრძენი, რომ ჩემი შეტევისაგან უცნობი თითქოს ჩვენი სიბრტყის ქვეშ მოექცა და ზემოთ წასვლა ცოტა გაუჭირდა. ყოველ შემთხვევაში უმოძრაოდ რჩებოდა, სანამ მე (მეგონა, რომ ვიღაც მოდიოდა ჩემს მოსახმარებლად) ვაწვებოდი მას მთელი ძალით და ყვირილს განვაგრძობდი.

სვეროს გააჟრჟოლა და თითქოს გავიგონე როგორ ამბობდა: „ასე არ უნდა იყოს, მან ან უნდა მომისმინოს, ან მე უნდა ვიპოვო რაღაც საშუალება“. შემდეგ ხმამაღლა მომმართა და სწრაფად წარმოთქვა: „მისმინე!

არავინ არ ყოფილა იმის მნახველი, რაც შენ ნახე. ახლავე უთხარი შენს ცოლს უკან გაბრუნდეს! არ შემოვიდეს ოთახში. სამი განზომილების გაცხადების მცდელობა არ უნდა დარჩეს უშედეგოდ და არც ათას წლიანი მოლოდინი არ უნდა დამთავრდეს იმედის გაცრუებით. მესმის ის როგორ მოდის. უკან! უკან გაიწიე! ან, გინდა თუ არა, ჩემთან ერთად წამოხვალ სამგანზომილებიან სამყაროში!“

„სულელი! გიჟი! არაწესიერი!“ – ვყვიროდი მე, – „არ გაგიშვებ. სამაგიეროს გადაგახდევინებ შენი ტყუილებისათვის!“

„ჰა! აქამდე მივედი!“ – დაიგრგვინა უცხოელმა, – „მიიღე სამაგიერო! შენი სიბრტყიდან გამოგიყვან, ერთი, ორი, სამი! გამოვედით...“

§ 18. როგორ ვიყავი სივრცის სამყაროში და რა ვნახე იქ

გამოუთქმელმა შიშმა შემიპყრო. სიბნელე იყო. შემდეგ თავბრუდამხვევი, გამაბრუებელი გრძნობა ხედვისა, რაც მანამდე არ გამომეცადა. დავინახე ხაზი, რომელიც არ იყო წრფე. სივრცე, რომელიც არ იყო სივრცე. ჩემს თავს ვერ ვცნობდი. როდესაც ლაპარაკი შევძელი, აგონიაში წამოვიძახე: „ან გავგიჟდი, ან ჯოჯოხეთში ვარ.“

„არც ერთი“, – წყნარად მიპასუხა *სფეროს* ხმამ, – „ეს ცოდნაა. ესაა სამი განზომილება. თვალი გაახილე და კარგად დააკვირდი.“

მიმოვიხედე და აჰა! ახალი სამყარო! აქ იყო ჩემს თვალწინ, ყველაფერი, რასაც ვვარაუდობდი, ყველაფერი, რაც გამომდინარეობდა მსჯელობიდან, რაზეც ვოცნებობდი – სრულყოფილი *წრიული* მშვენიერება. ის, რაც უცნობი ფორმის ცენტრი უნდა ყოფილიყო, ჩემს წინაშე იყო. მხოლოდ მე ვერ ვხედავდი ვერც გულს, ვერც ფილტვებს, ვერც არტერიებს, მხოლოდ გამოუთქმელ ჰარმონიულობას, რისთვისაც მე სიტყვები არ გამაჩნდა. ვხედავდი იმას, რასაც თქვენ, სივრცული სამყაროს მაცხოვრებლები *სფეროს* ზედაპირს უწოდებთ.

გონებრივად ძირს დავეცი მის წინაშე და დავიყვირე: „ო! სილამაზის და სიბრძნის იდეალო! როგორ, რომ ვხედავ შენს შიგთავსს მაგრამ ვერ ვხედავ ვერც გულს, ვერც ფილტვებს, ვერც ღვიძლს?“

„ის, რაც შენ გგონია, რომ ხედავ, სულ სხვა რამეა,“ – მიპასუხა მან, – „ვერც შენ და ვერც ვინმე სხვა არსება ჩემს გულ – ღვიძლს ვერ დაინახავს. მე განვსხვავდები ფლეთენდის ბინადართაგან. მე რომ *წრე* ვიყო, ჩემს შინაგან ორგანოებს დაინახავდი, მაგრამ მე, როგორც ადრე უკვე გითხარი, ვარ არსება, შედგენილი მრავალი წრისაგან და ისევე, როგორც *კუბის* გარეთა ნაწილი არის კვადრატი, *სფეროს* გარეთა ნაწილი წარმოადგენს

წრის სახეს.“

დაბნეული ჩემი მასწავლებლის იდუმალი გამონათქვამით, მე აღარ დავიწყე ჩაკირკიტება და ჩუმი აღფრთოვანებით მივაჩერდი. ის აგრძელებდა საუბარს უფრო და უფრო ნაზი ხმით: „ნუ შეგეშინდება, თუკი უცბად ყველაფერს ვერ გაიგებ სივრცულ სამყაროში. ნელ – ნელა ყველაფერს მიხვდები. მოდი, დავიწყოთ იმით, რომ ჯერ იმ ადგილს დავხედოთ, საიდანაც მოხვედი. ჩემთან ერთად წამოდი, დავხედოთ ფლექტენდის სიბრტყეს. მე გიჩვენებ იმას, რაზეც ბევრი გიფიქრია და რაზეც გიმსჯელია, მაგრამ არასოდეს არ გინახავს თვალთ – დაგანახებ კუთხეს.“ „შეუძლებელია!“ – წამოვიძახე მე.

მაგრამ სფეროს მივყავდი და მეც მივყვებოდი, თითქოს სიზმარში ვყოფილიყავი. შემდეგ მისი ხმა გავიგონე: „დაიხედე და შეხედე შენს საკუთარ პენტაგონალურ სახლს და ყველაფერს, რაც შიგნითაა.“

მე დავიხედე და ჩემი თვალთ დავინახე ყველა შინაურები და ჩემი სახლის მოწყობილობა. ის, რასაც მანამდე მხოლოდ ვარაუდით ვხვდებოდი. როგორი საცოდავი და დაბინდული იყო ჩემი ვარაუდები იმ რეალობასთან შედარებით, რასაც ახლა ვუყურებდი. ჩემს ოთხ ვაჟს წყნარად ეძინა ჩრდილო – დასავლეთ ოთახებში. ჩემს ორ შვილიშვილს სამხრეთის ოთახში ეძინათ. მსახურები, მოურავი, ჩემი ქალიშვილი, ყველანი თავ – თავიანთ ოთახებში იყვნენ. მხოლოდ ჩემი ნერვიული ცოლი, აფორიაქებული ჩემი არყოფნით, გამოსულიყო თავისი ოთახიდან და შემოსასვლელში დადიოდა აქეთ – იქით. მოუთმენლად მოელოდა ჩემს დაბრუნებას. პაჟი, რომელიც ჩემს ყვირილზე გარეთ გამოსულიყო, იმისათვის, რომ დაედგინა ხომ არ ვიყავი სადმე გულწასული, ცდილობდა კაბინეტის კარი ძალით გაეღო.

ეს ყველაფერი ახლა შემემძლო დამენახა და არა მარტო მევარაუდა. რაც უფრო ახლოს მივდიოდით, ჩემი კაბინეტის მოწყობილობასაც კი ვხედავდი. ვხედავდი ოქროთი სავსე სკივრებს და იმ ტაბულებსაც, რაზეც სფერო მელაპარაკებოდა.

ამაღელვა ჩემი ცოლის შემფოთებამ. მინდოდა ჩავსულიყავი და დამემშვიდებინა, მაგრამ აღმოვაჩინე, რომ განძრევაც კი არ შემემძლო. „ნუ დარდობ შენს ცოლზე“ მითხრა ჩემმა გიდმა: „დიდხანს არ იქნება აღელვებული. მოდი ახლა ფლექტენდს გადავხედოთ.“

კიდევ ერთხელ ვიგრძენი, რომ სივრცეში ზემოთ მივდიოდი. ზუსტად ისე იყო, როგორც სფერომ თქვა, რაც უფრო ზემოთ მივდიოდით, მით უფრო ფართო ხდებოდა თვალსაწიერი. ჩემი მშობლიური ქალაქი, თითოეული სახლის ინტერიერი, ყველა თავისი მაცხოვრებლით, ჩემს თვალს მინიატურულ ზომაში გახსნილად წარმოუდგა.

ჩვენ უფრო ზემოთ მივდიოდით და ახლა მე ვხედავდი მიწის, მთების და ღრმულების საიდუმლოებებს, რომლებიც აქამდე დამალული იყო

ჩემთვის. მოვწყვიტე თვალი სანახაობას, რომელიც გადაშლილიყო ჩემს წინაშე და ვუთხარი ჩემს მეგზურს: „მე ღმერთი გავხდი. რადგან ბრძენი კაცები ჩვენს ქვეყნაში ამბობენ, რომ ყველაფრის ხედვა, ან როგორც ისინი ამბობენ „ომნივიდენს“, მხოლოდ ღმერთს შეუძლია.“

ჩემი მასწავლებლის ხმაში ცოტა დამცინავი ტონი გამოკრთა: „მართლაც მასეა? მაშინ ჩემი ქვეყნის ყველა პატარა ქურდი და ბანდიტი თქვენმა ბრძენებმა ღმერთებად უნდა გამოაცხადონ. რადგანაც ისინიც იმასვე ხედავენ, რასაც შენ ხედავ ახლა. დამიჯერე, შენი ჭკვიანი კაცები ცდებიან ამ საკითხში.“

მე: „მაშინ ყველაფრის ხედვა ღვთის გარდა სხვასაც შეუძლია?“

სფერო: „მე არ ვიცი. მაგრამ, თუკი ჩვენი ქურდბაცაცები და ბანდიტები ყველაფერს ხედავენ, რაც თქვენს სამყაროში ხდება, რატომ უნდა იყვნენ ისინი თქვენს მიერ მიღებული ღმერთებად? განა ეს ომნივიდენს (არაა ჩვეულებრივი სიტყვა სივრცულ სამყაროშიც კი) გაქცევს შენ უფრო სამართლიან, უფრო კეთილ, ნაკლებად სულელს, ან უფრო მეტად მოყვარულ არსებად? არავითარ შემთხვევაში. მაშინ, როგორ უნდა გაგხადოს ღვთაებრივი?“

მე: „უფრო თავაზიანი, უფრო მეტად მოყვარული“, ეგ ხომ, ქალებისათვის დამახასიათებელი თვისებებია! ჩვენ ვიცით, რომ *წრე* არის უმაღლესი არსება *წრფესთან* შედარებით. ისევე, როგორც ცოდნა და სიბრძნე აღემატებიან უბრალო სიყვარულს.“

სფერო: „ჩემი საქმე არაა ადამიანისათვის დამახასიათებელი თვისებების კლასიფიკაცია. მხოლოდ სივრცული სამყაროს ბევრი საუკეთესო და ბრძენი ადამიანი სიყვარულზე უფრო დიდი აზრისაა, ვიდრე გაგებაზე, უფრო მეტად აფასებს წრფეებს, ვიდრე თქვენს სათაყვანებელ წრეებს. მაგრამ ახლა კმარა. შეხედე, ამ შენობას! ცნობ?“

მე შევხედე და მოშორებით დავინახე პოლიგონალური სტრუქტურა, რომელშიც ფლექტლენდის შტატების გენერალური ასამბლეის შენობა შევიცანი. ის გარშემორტყმული იყო პენტაგონის ტიპის სახლების მჭიდრო წყებით, რომლებიც კუთხეებით იყვნენ ერთმანეთზე მიდგმული. როგორც ვიცოდი, ეს ქუჩები იყო და მე მივხვდი, რომ დიდ მეტროპოლიას ვუახლოვდებოდით.

„აქ დავეშვებით“, – მითხრა ჩემმა მეგზურმა.

უკვე დილა იყო. ჩვენი ერის ორი ათასი წლის პირველი დილის პირველი საათი.

ჩვეულების თანახმად, წესების მკაცრი დაცვით, უმაღლესი *წრეები* მათი წინაპრების მსგავსად, ხვდებოდნენ ერთმანეთს საზეიმო შეხვედრაზე. ისევე, როგორც ეს გააკეთეს მათმა წინაპრებმა 1000 წლის პირველი დღის პირველ საათზე და ასევე 0 წლის პირველი დღის პირველ საათზეც.

ამ შეხვედრაზე ახლა წინა შეხვედრის ჩანაწერებს კითხულობდნენ.

მე შევიცანი ჩემი ძმა, უაღრესად წესიერი კვადრატო, უმაღლესი საბჭოს მთავარი კლერკი.

საბჭოზე კითხულობდნენ: „თითოეული შეხვედრის ჩანაწერებიდან ცნობილია, რომ სახელმწიფოში იქმნება პრობლემები იმ ავისმოქმედი ქურდბაცაცა პერსონების მიერ, რომელნიც ამბობენ, რომ ვითომდა მიიღეს გაცხადება სხვა სამყაროდან და აქვთ პრეტენზია, რომ შეუძლიათ ამის დემონსტრირება. ისინი თესავენ განხეთქილებას, აშფოთებენ ხალხს და თავიანთ თავსაც. ამის აღმოსაფხვრელად მიღებულია უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება, რომ ყოველი მილენიუმის პირველი დღის პირველ საათზე ფლეტლენდის ყველა რეგიონის პრეფექტებს გაეგზავნოს სპეციალური ინსტრუქციები, რათა განსაკუთრებულად იქნან მოძიებული ასეთი შეცდომაში ჩავარდნილი ფიგურები და მათემატიკური შემოწმების ფორმალური პროცედურის გარეშე განადგურდნენ ნებისმიერი გრადუსის მქონე ტოლფერდები, დაიჭირონ და დააპატიმრონ ნებისმიერი ტოლგვერდა სამკუთხედები. კვადრატისა და პენტაგონის შემთხვევაში მოათავსონ ისინი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, უფრო მაღალი რანგის ფიგურები დააპატიმრონ და გამოაგზავნონ პირდაპირ დედაქალაქში, რათა შემოწმებული და გასამართლებულნი იყვნენ საბჭოს მიერ.“

„შენ უკვე იცი შენი ბედისწერა,“ – მითხრა სფერომ, სანამ საბჭოში მესამედ უყრიდენ კენჭს რეზოლუციას, – „სიკვდილი, ან პატიმრობა ემუქრება სამი განზომილების მქადაგებელს.“

„მთლად მასე არაა,“ – ვუპასუხე მე, – „ეს ყველაფერი ისეთი ცხადია ახლა ჩემთვის, ნამდვილი სივრცის ბუნება ისეთი გასაგებია, რომ ვფიქრობ ბავშვსაც კი გავაგებინებ. მაცალე, დაველოდები მომენტს და ავუხსნი.“

„ჯერ არა“, – მითხრა ჩემმა მეგზურმა, – „მაგის დროც მოვა. მე ჯერ ჩემი მისია უნდა დავასრულო. აქ დამელოდე.“ თქვა ეს და მოხერხებულად ჩაეშვა ფლეტლენდის ზღვაში (თუკი შეიძლება, რომ ასე ვუწოდოთ). ჩაეშვა პირდაპირ საბჭოს შუაგულში და დაიძახა: „მე მოვედი! მოვედი, რათა გამოვაცხადო, რომ არსებობს სამგანზომილებიანი სამყარო“.

დავინახე, რამოდენიმე ახალგაზრდა საბჭოს წევრმა, როგორ დაიხია შიშისაგან უკან, როდესაც სფეროს წრიული კვეთა მათ წინაშე გამოჩნდა. მაგრამ პრეზიდენტ წრეს არაფერი შეტყობია. მცირედი შემფოთებაც არ გამოუხატავს. დაბალი რანგის ექვსი სხვადასხვა ტიპის ტოლფერდა სფეროსაკენ გაექანა. „დავიჭირეთ!“ – დაიყვირეს, – „კი!, არა!, კიდევ დაჭერილი გვყავს!.. მიდის!.. წავიდა!“

„ბატონებო!“ – უთხრა პრეზიდენტმა საბჭოს წევრ უმცროს წრეებს. „გაოცება საჭირო არაა. საიდუმლო არქივებიდან, რომელთა გაცნობაც მარტო მე შემიძლია, ვიცი, რომ იგივე განმეორდა წინა ორი მილენიუმის შეხვედრების დროსაც. თქვენ, რა თქმა უნდა, ამის შესახებ არაფერს

იტყვი ამ კაბინეტის გარეთ.“

შემდეგ ხმას აუწია და დაცვას მიმართა: „დააპატიმრეთ პოლიციელები. გააჩუმეთ. თქვენ იცით თქვენი საქმე.“

ამის შემდეგ უბედური დაცვის წევრების ჯერიც დადგა. შემთხვევით და არასასურველ მოწმეებს არ უნდა ჰქონოდათ საშუალება გაეცათ სახელმწიფო საიდუმლო. ამის შემდეგ მან ისევ საბჭოს წევრებს მიმართა: „ბატონებო, საბჭოს მუშაობა დასრულდა. მე მინდა ბედნიერი ახალი წელი გისურვოთ.“

მანამ, სანამ წავიდოდა, მან განუმარტა კლერკს, ჩემს ბრწყინვალე, მაგრამ უბედურ ძმას, რომ საიდუმლოს შენახვის მიზნით, ის სამუდამო პატიმრობაში უნდა დარჩენილიყო და თუკი მას არაფერი შენიშვნა არ ქონდა გაკეთებული ამ ინციდენტის შესახებ, სიცოცხლეს შეუნარჩუნებდნენ.

§19. როგორ მაჩვენა სფერომ სივრცის სამყაროს კიდევ სხვა საიდუმლოებები, როგორ მინდოდა მეტის გაგება და რა გამოვიდა ამ საქმიდან

როდესაც დავინახე ჩემი უბედური ძმა, როგორ წაიყვანეს საპატიმროში, მე ვცადე ძირს დავშვებულიყავი, საბჭოს ოთახში, რათა მისი ბედი შემემსუბუქებინა, ან კიდევ მეცადა მისი გათავისუფლება. მხოლოდ ვიგრძენი, რომ მე თვითონ განძრევაც არ შემეძლო. მთლიანად ვიყავი დამოკიდებული ჩემი მეგზურის ნებაზე, რომელმაც მოწყენილი ხმით შენიშნა: „დაანებე თავი შენს ძმას, დრო ბევრი გექნება მასთან ერთად რომ იდარდო. ახლა მომყევი.“

კიდევ ერთხელ ავიწიეთ სივრცეში. „მე შენ ჯერჯერობით მხოლოდ ბრტყელი ფიგურები და მათი შიგთავსი გაჩვენე. ახლა სხეულები უნდა გაგაცნო და გაჩვენო მათი კონსტრუქცია,“ – მითხრა სფერომ, – „აქ მაქვს კვადრატული ბარათები. შეხედე, მე მათ ერთიმეორეზე დავდებ, არა ისე, როგორც შენ ივარაუდებდი, ჩრდილოეთით, არამედ ზემოდან დავადებ. ახლა მეორეს დავდებ, შემდეგ მესამეს. უყურე, მე ვაშენებ *სხეულს* კვადრატების საშუალებით. ერთმანეთის პარალელურად ვათავსებ მათ. შეხედე, *სხეული* უკვე ავაშენე. მას ისეთივე სიმაღლე აქვს, როგორიც სიგრძე, ან სიგანე. მე მას *კუბს* დავუძახებ.“

„მაპატიეთ ბატონო,“ – გავაწყვეტინე მე, – „ჩემი თვალისათვის ეს არაწესიერი ფიგურაა, რომლის შიგა არე ღიაა მხედველობისათვის. სხვანა-

ირად რომ ვთქვა, მე სხეულს კი არ ვხედავ, არამედ ბრტყელ ფიგურას, იმას, რასაც ფლექტლენდში დავინახავდი, მხოლოდ ისეთი *არარეგულარობით*, რომელიც უდიდესი *კრიმინალებისთვისაა* დამახასიათებელი. მისი შეხედვაც კი მტკივნეულია ჩემი თვალისათვის.“

„მართალია,“ – თქვა *სფეროდ*, – „შენთვის ის ბრტყელი მოჩანს. იმიტომ რომ შენი თვალი არაა მიჩვეული პერსპექტივას და სინათლის და ჩრდილის მონაცვლეობას. ეს შეიძლება შევადაროთ იმ ფლექტლენდელის აღქმას, რომელიც არ იცნობს მხედველობით ცნობის მეცნიერებას. როდესაც ის უყურებს *ჰელსაგონს*, ხედავს მხოლოდ ხაზს. სინამდვილეში ის, რაც მე ავაშენე, არის *სხეული*. ამას შენ შეხებით მიხვდები.“

შემდეგ მან *კუბი* გამაცნო. მე აღმოვაჩინე, რომ ეს შესანიშნავი არსება, მართლაც, *სხეული* იყო და არა *ფიგურა* და რომ ის შემოსაზღვრული იყო ექვსი ბრტყელი გვერდით, რვა სასაზღვრო წერტილით და რომელსაც სივრცული კუთხე ჰქონდა. გამახსენდა, რა მითხრა *სფეროდ*, რომ ასეთი არსებები *კვადრატის* სივრცეში მოძრაობით წარმოიქმნებიან მისი პარალელური გადატანით. მიხაროდა იმის გაფიქრებაზე, რომ მე, რაღაც აზრით ასეთი მშვენიერი ქმნილების წინაპარი გამოვდიოდი.

მხოლოდ ბოლომდე მაინც არ მესმოდა რას გულისხმობდა ჩემი მასწავლებელი, როცა ლაპარაკობდა „სინათლეზე“, „ჩრდილზე“, „პერსპექტივაზე“. ყოყმანის გარეშე გადავუშალე ჩემი სიძნელეები.

ამ ფენომენების მოკლე და ნათელი განმარტებაც კი ძალიან მოსაწყენი იქნებოდა სივრცული სამყაროს მობინადრისათვის, რომელმაც ამის შესახებ უკვე ყველაფერი იცის. ახსნა – განმარტებებით, ობიექტების მდებარეობის და განათების ცვლილებებით და კიდევ იმით, რომ უფლებას მაძლევდა შევხებოდი სხვადასხვა ობიექტებს და თვითონ მის ღვთიურ პერსონასაც კი, მან ბოლოს და ბოლოს ნათელი გახადა ჩემთვის ყველაფერი. ისე, რომ მე ახლა უშეცდომოთ ვანსხვავებდი წრეს და სფეროს, ბრტყელ ფიგურას და სხეულს.

ეს იყო ჩემი მოვლენებით სავსე თავგადასავლის ზენიტი, სამოთხეში ვიყავი!

ახლა კი უნდა მოგიყვებო ჩემი დაცემის ამბავიც – დაუმსახურებელი, საზიზღარი დაცემის ამბავი. რისთვისაა საჭირო ცოდნის მიღება, როცა მას მოჰყვება იმედგაცრუება და დასჯა?

გამაჟრჟოლებს ხოლმე, როცა გამახსენდება ჩემი დამცირება. მეორე პრომეთესავით ამასაც გადავიტან და უფრო მეტსაც. თუკი რაიმენაირად შევძლებ და გამოვალ ბრტყელი ან სივრცული არსებების აზროვნებიდან და წინ აღვუდგები კონცეპტს, რომელიც განზომილებას ორით, ან სამით, ან კიდევ რაიმე სასრული რიცხვით შემოსაზღვრავს.

შორს, ყველა პირადი მოსაზრება! მომეცი თუფლება ბოლომდე მივიდე ჩემს თხრობაში, ანტიპატიების და გადახვევების გარეშე. ბოლომდე მივ-

ყვე მიუკერძოებელი ისტორიის ბილიკს.

ზუსტი ფაქტები, ზუსტი გამონათქვამები (ისე მახსოვს, თითქოს ამომწვარი მქონდეს გონებაში) უყოყმანოდ იქნება მოყვანილი. დე, მკითხველმა თვითონ განსაჯოს ყველაფერი.

სფერო ალბათ სიამოვნებით გააგრძელებდა გაკვეთილებს ჩემთვის და მაჩვენებდა ყველა რეგულარული სხეულის, ცილინდრების, კონუსების, პირამიდების, პენტაედრონების, ჰექსაედრონების, დოდეკაედრონების ფორმებს, მაგრამ მე გავაწყვეტინე. არა იმიტომ, რომ ამის გაგება არ მინდოდა. პირიქით, მე უფრო ღრმა და უფრო სრული ცოდნა მჭირდებოდა, ვიდრე ის მთავაზობდა.

„მაპატიეთ,“ – ვუთხარი მე, – „ო, თქვენ! ვისაც ახლა აღარ შემიძლია გიწოდოთ ყველანაირი სრულყოფილების მწვერვალი, მომეცი თუ ფლება მე, თქვენს მსახურს, რომ თქვენი შიგა არე დავათვალიერო.“

სფერო: „ჩემი რა?“

მე: „შიგა არე: მუცელი, შიგნეულობა.“

სფერო: „საიდან გაგიჩნდა ასეთი ცუდი მოთხოვნები? და რას გულისხმობდი, როცა მითხარი, რომ აღარ შეგიძლია დამიძახო სრულყოფილების მწვერვალი?“

მე: „თქვენმა სიბრძნემ მასწავლა, რომ უნდა შევიცნო სრულყოფილების უფრო მეტად დიდი, უფრო მეტად მშვენიერი მიახლოება, ვიდრე თქვენ ბრძანდებით. ისევე, როგორც თქვენ ხართ აღმატებული ყველა ფორმაზე, რაც ფლექტენდშია, ერთმანეთში აერთიანებთ მრავალ წრეს, ასევე, უეჭველად, უნდა არსებობდეს არსება, რომელიც თქვენზე აღმატებულია და ერთმანეთში გააერთიანებს მრავალ სფეროს ერთ უზენაეს არსში. რომელიც ყველა სხეულზე უფრო სრულყოფილი იქნება. მსგავსად იმისა, როცა სივრციდან დავცქერით ფლექტენდს და ყველა საგნის შიგთავსს ვხედავთ, უეჭველად უნდა არსებობდეს უფრო მაღალი რეგიონი, სადაც თქვენ ალბათ წამიყვანთ – თქვენ, რომელსაც მე ყოველთვის, ყველგან და ყველა განზომილებაში ჩემს მოძღვარს, ფილოსოფიის მასწავლებელს და მეგობარს დაგიძახებთ. წამიყვანეთ იმ სპეციალურ განზომილებაში, საიდანაც ერთად დავიხედავთ ძირს და დავინახავთ სხეულების შიგა არეებს. სადაც თქვენი საკუთარი შიგნეული და ყველა სფეროს შიგნეული ღია იქნება საწყალი ფლექტენდელის მზერისათვის. ჩემთვის, ვისთვისაც თქვენ უკვე ბევრი მოწყალება გაიღეთ.“

სფერო: „საცოდავო! გეყოფა სისულელეების ლაპარაკი! დრო არ ითმენს, კიდევ ბევრი დაგვრჩა გასაკეთებელი, სანამ მომზადებული იქნები სამი განზომილების თეორიის ქადაგებისათვის შენს ბნელ თანამემამულე ფლექტენდელებს შორის.“

მე: „კეთილო მასწავლებელო, ნუ დამიკარგავ სამუალებას შევავსო ის ცოდნა, რაც მჭირდება. ნება მომეცი ცალი თვალით შევხედო თქვენს შიგ-

თავს და მე სამუდამოდ მადლობელი დაგრჩებით, როგორც მორჩილი მოსწავლე – თვენი მონა, მომზადებული, რომ მივიღო ყველა სწავლება და იმ სიტყვებით გამოვიკვებო, რომელიც თქვენს ტუჩებს მოსწყდება.“

სფერო: „რადგანაც მინდა რომ გაჩუმდე, უნდა თავიდანვე გითხრა, რომ შემემლოს, გაჩვენებდი იმას, რასაც მთხოვ, მაგრამ არ შემიძლია. გინდა რომ ჩემი მუცელი ამოვაბრუნო, რომ შენ გასიამოვნო?“

მე: „თქვენმა უდიდებულესობამ ხომ მაჩვენა ორგანზომილებიან სამყაროში ყველა ჩემი თანამოქალაქის შიდა არეები იმით, რომ სამგანზომილებიან ქვეყანაში წამიყვანა. რა უნდა იყოს იმაზე ადვილი, რომ ახლა თქვენი მონა – მორჩილი ოთხგანზომილებიან სამყაროში წაიყვანოთ, საიდანაც გამოვიხედავ და თქვენთან ერთად დავხედავ სამგანზომილებიან ქვეყანას. დავინახავ ნებისმიერი სამგანზომილებიანი ობიექტის შიგა არეს. გავიგებ მყარი სხეულების საიდუმლოებებს და სივრცული სამყაროს ღრმულების საგანძურებს დავინახავ. დავინახავ ნებისმიერი სხეულის შიგთავსს. თვით სფეროს შიგთავსსაც კი!“

სფერო: „კი მაგრამ სადაა ეგ ოთხგანზომილებიანი სამყარო?“

მე: „მე არ ვიცი. მაგრამ ეჭვი არ მეპარება, ჩემმა მასწავლებელმა იცის.“

სფერო: „მეც არ ვიცი. მასეთი ქვეყანა არ არსებობს. თვით ამისი გაფიქრებაც კი მიუღებელია“

მე: „არაა მიუღებელი, ჩემო ბატონო ჩემთვის და უფრო ნაკლებად უნდა იყოს მიუღებელი ჩემი მასწავლებლისათვისაც. მე ვიმედოვნებ, რომ აქაც კი, სამგანზომილებიან სივრცეში ჩემს ბატონ მასწავლებელს ხელეწიფება მაჩვენოს მეოთხე განზომილება. ზუსტად ისე, როგორც ორი განზომილების სამყაროში ჩემი მასწავლებლის ცოდნამ ამიხილა თვალი უხილავი მესამე განზომილების არსებობაზე. მიუხედავად იმისა, რომ მისი დანახვა არ შემემლო. მომეცით უფლება გაგახსენოთ წარსული. განა არ მასწავლიდით, რომ როდესაც ვხედავ წრფეს და მისგან გამომყავს სიბრტყე, მე სინამდვილეში ვერ ვაანალიზებ, რომ ფაქტიურად ვხედავ მესამე განზომილებასაც, რომელიც არაა განათებულობის მსგავსი და რომელსაც „სიმაღლეს“ დავუძახებთ? განა აქედან არ გამომდინარეობს, რომ ამ რეგიონში, სამგანზომილებიან სივრცეში, როდესაც ვხედავ სიბრტყეს და იქიდან გამომყავს სხეული, მე სინამდვილეში ვხედავ შეუცნობად მეოთხე განზომილებასაც, რაც ფერს არ ჰგავს, მაგრამ არსებობს, მხოლოდ იმდენად მცირეა, რომ მისი გაზომვა შეუძლებელია? გარდა ამისა, არის კიდევ ერთი არგუმენტი ფიგურების ანალოგიიდან.“

სფერო: „ანალოგია! რა სისულელეა, რა ანალოგია?“

მე: „თქვენს უდიდებულესობას აინტერესებს მის მსახურს ახსოვს თუ არა მისთვის წარმოდგენილი საიდუმლოებების არსი. იმედს არ გაგიტრუებთ, ჩემო ბატონო. მე ვოცნებობ, მივისწრაფი ახალი ცოდნისაკენ! უეჭველია, რომ ჩვენ ახლა ვერ ვხედავთ უფრო მაღალი განზომილების

სამყაროს, იმიტომ, რომ მუცელში თვალი არა გვაქვს. მაგრამ, ზუსტად ისე, როგორც ეს საცოდავი წრფივი მონარქის შემთხვევაში იყო, რომელიც ვერ მარცხნივ, ვერც მარჯვნივ ვერც ბრუნდებოდა, რომ მიმხვდარიყო ფლექტენდის არსებობას, მიუხედავად იმისა, რომ, ისე ახლოს იყო ჩემს ჩარჩოსთან, რომ ხელით შეეძლო შემხებოდა. ასევე მეც, საცოდავ არსებას არ შემიძლია ხელით შევეხო, ან თვალით დავინახო მეოთხე განზომილება, რომელიც ჩემმა ბატონმა გონების თვალით წარმომიდგინა. ის რომ უნდა არსებობდეს, ბატონო, თქვენ მასწავლეთ. განა შემიძლია დავივიწყო რაც გადმომეცით მე, თქვენს მსახურს?

ერთ განზომილებაში განა მოძრავი წერტილი არ წარმოქმნის წრფის მონაკვეთს, რომელსაც ორი სასაზღვრო წერტილი აქვს?

ორ განზომილებაში, განა მოძრავი მონაკვეთი არ წარმოქმნის კვადრატს, ოთხი სასაზღვრო წერტილით?

სამ განზომილებაში მოძრავი კვადრატი არ წარმოქმნის (ეს თქვენმა ბრწყინვალეობამ მაჩვენა) დალოცვილ არსებას კუბს, რვა სასაზღვრო წერტილით?

და ანალოგიურად, სიმართლის პროგრესისათვის, ოთხ განზომილებაში მოძრავმა ღვთაებრივმა კუბმა განა არ უნდა წარმოქმნას უფრო მეტად ღვთაებრივი ქმნილება თექვსმეტი სასაზღვრო წერტილით?

დააკვირდით მიმდევრობას: 2, 4, 8, 16; განა ეს გეომეტრიული პროგრესია არაა? ეს ხომ, ჩემი ბატონის სიტყვები რომ ვიხმარო „ზუსტად ანალოგიური შესაბამისობაა“ არა?

ჩემი ბატონი ხომ მასწავლიდა, რომ როგორც მონაკვეთს აქვს ორი სასაზღვრო წერტილი, კვადრატში ოთხი სასაზღვრო მონაკვეთია, კუბში ექვსი სასაზღვრო კვადრატი უნდა იყოს.

კიდევ ერთხელ შევხედოთ მიმდევრობას: 2, 4, 6. ეს არითმეტიკული პროგრესიაა და შესაბამისად არ უნდა გამომდინარეობდეს, რომ კუბის მიერ წარმოქმნილი უფრო ღვთაებრივი ქმნილება ოთხი განზომილების მქონე სამყაროში 8 კუბით იქნება შემოსაზღვრული? განა ასე არ მასწავლიდით ბატონო, „ანალოგიის მიხედვით“?

ო, ჩემო ბატონო! მე ფაქტები არ ვიცი, მხოლოდ ვვარაუდობ. ამიტომ მივმართავ ჩემს მასწავლებელს, რომ ან დაადასტუროს, ან უარყოს ჩემი ლოგიკური დასკვნები. თუკი მე ვცდები, აღარ მოვითხოვ ოთხ-განზომილებიანი სამყაროს ჩვენებას. მაგრამ, თუკი მართალი ვარ, ბატონს ვთხოვ დააკმაყოფილოს ჩემი სურვილი.

ასე რომ, ახლა გეკითხებით, ფაქტია თუ არა, რომ თქვენი თანამემამულეებიც იყვნენ მოწმე იმისა, რომ შეხვდნენ უფრო მაღალი განზომილების სამყაროდან მოსულ არსებას, რომელიც შედიოდა ჩაკეტილ ოთახებში იმის გარეშე, რომ კარები ან ფანჯარა გაეღო. სურვილისამებრ ჩნდებოდა და ქრებოდა? ამ კითხვაზე პასუხის მისაღებად მე ყველაფერს

ავიტან. უარყავით ეს და იმწამსვე გავჩუმდები. მხოლოდ ღირსი გამხადეთ პასუხისა.“

სფერო (პაუზის შემდეგ): „ამბობენ მაგას. მაგრამ ამ საკითხში აზრთა სხვადასხვაობაა. ფაქტებსაც კი სხვადასხვანაირად ხსნიან. ყოველ შემთხვევაში, რამდენადაც დიდი არ უნდა იყოს ახსნების რაოდენობა, არც ერთი ოთხი განზომილების თეორიას არ განიხილავს. გვეყო სისულეებზე ლაპარაკი. ახლა საქმეს დავუბრუნდეთ“

მე: „როგორი დარწმუნებული ვიყავი ამაში. დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი სურვილი ახდებოდა. გთხოვთ მოთმინება იქონიეთ და კიდევ ერთ კითხვაზე მიპასუხეთ, მასწავლებელთა შორის საუკეთესოვ! ისინი, ვინც ასე გამოჩნდნენ (არავინ იცის, როგორ და წავიდნენ, არავინ იცის საით), მათი კვებებიც ასე იცვლებოდა და ქრებოდნენ სადღაც, სხვა სივრცეში, იქ, სადაც ახლა მე გთხოვთ რომ წამიყვანოთ?“

სფერო (დაღრეჯილი): „მართლაც, ისინი გაქრენ, თუკი როდესმე ჩანდნენ. ხალხის უმრავლესობა ამბობს, რომ ეს სახეები გონებაში გაჩნდნენ. შეიძლება ვერ გამიგე – მნახველის არეულ ტვინში“.

მე: „ასე ამბობენ? მე არ მჯერა, ან, თუ მართლაც მასეა, ის სხვა სივრცე აზრების სამყარო ყოფილა. მაშინ, მაგ დალოცვილ რეგიონში წამიყვანეთ, სადაც მე გონებით შემეძლება სხეულების შიგა არეების ნახვა. სადაც, ჩემი მოხიბლული თვალის წინაშე კუბი, რაღაც სხვა მიმართულებით მოძრავი, ისე, რომ მისი შიგა არის ყველა ნაწილი ახალი ტიპის სივრცეში გაივლის და წარმოქმნის ახალ პროდუქტს. შექმნის უფრო მეტად სრულყოფილ არსებას, ვიდრე თვითონაა, თექვსმეტი სასაზღვრო ზესხეულოვანი კუთხით და რვა მყარი კუბით თავის პერიმეტრზე. განა აქ უნდა დავამთავროთ ჩვენი კურსი? დალოცვილ ოთხგანზომილებიან სამყაროში, უნდა გავჩერდეთ ხუთის საზღვარზე და არ შევიდეთ იქ? აჰ, არა! ჯობს ვაღიაროთ, რომ ჩვენი ამბიციები მატულობს, რაც უფრო მაღლა მივდივართ. ჩვენი ინტელექტისათვის ექვსგანზომილებიანი სივრცის კარები გაღებული რჩება. ამის შემდეგ გაიღება შვიდი, შემდეგ რვა განზომილებიანი სივრცეები ...“

რამდენ ხანს ვლაპარაკობდი, არ ვიცი. სფერო თავისი მგრგვინავი ხმით ტყუილად ცდილობდა, რომ გავჩუმებინე. ცდილობდა შევეშინებინე საშინელი სასჯელით, თუკი გავაგრძელებდი ლაპარაკს. არაფერს შეეძლო ჩემი აღტაცებული მისწრაფებების ნაკადის შეჩერება. შეიძლება მე დამნაშავე ვიყავი. მაგრამ მე, მართლაც, მოწამლული ვიყავი მის მიერ მოწოდებული სიმართლის შეგრძნებით.

მაგრამ დასასრული ახლოვდებოდა. სიტყვები გამაწყვეტინა გარედან შემოსულმა ხმამ და იმავდროულად ვიგრძენი, რომ ჩემშიც რაღაც გასკდა, რამაც მე საშინელი სიწრაფით გამისროლა სივრცეში, ისე, რომ ხმის ამოღებაც ვერ მოვასწარი.

ძირს! ძირს! სწრაფად ვეშვებოდი ძირს! ვიცოდი, რომ ფლეტლენდში ვბრუნდებოდი. ერთი თვალის გადავლება, ერთი უკანასკნელი დაუვიწყარი თვალის მოვლება იმ მოწყენილ უდაბნოზე, რომელიც ახლა კვლავ ჩემი სამყარო ხდებოდა. შემდეგ სიბნელე იყო და ბოლოს, საათის რეკვა. როდესაც გონს მოვეგე, მე ისევ ჩვეულებრივი კვადრატი ვიყავი ჩემს კაბინეტში და მესმოდა მოახლოებული ცოლის მშვიდობიანი ზუზუნნი.

§20. როგორ ჩამინერგა სფერომ გამბედაობა

მიუხედავად იმისა, რომ ერთი წუთზე ნაკლები მქონდა დასაფიქრებლად, ინსტიქტით ვიგრძენი, რომ ჩემი თავგადასავალი ცოლისათვის უნდა დამემალა. არა იმიტომ, რომ ჩემს საიდუმლოს გაამხელდა, არამედ იმიტომ, რომ ვიცოდი, ნებისმიერი ფლეტლენდელი *ქალისათვის* ჩემი თავგადასავლის მოყოლა უაზრო იქნებოდა. მე ვცდილობდი მისი ყურადღების გაფანტვას გამოგონებული ამბით, რომ მე, ვითომდა შემთხვევით ჩავვარდი სარდაფის გაღებულ კარებში და დავრჩი იქ უმოძრაოდ.

სამხრეთისაკენ მიზიდულობა ჩვენს ქვეყანაში იმდენად მცირეა, რომ *ქალისთვისაც* კი, ჩემი მონათხრობი უჩვეულო და თითქმის დაუჯერებელი აღმოჩნდა. მაგრამ ჩემი ცოლი, რომელიც განსაკუთრებულად მგრძნობიარე იყო, მაშინვე მიხვდა, რომ უჩვეულოდ აღზნებული ვიყავი. კამათი არ დამიწყო, მაგრამ დაიჟინა რომ ავად ვიყავი და დასვენება მჭირდებოდა. მადლობელი დავრჩი, რომ შემეძლო ჩემს ოთახში გავსულიყავი და წყნარად მეფიქრა იმაზე, რაც მოხდა.

ბოლოს და ბოლოს მარტო აღმოვჩნდი. ძილი მომერია, მაგრამ სანამ თვალი დამეხუჭებოდა, შევეცადე კვლავ წარმომედგინა სამი განზომილება და განსაკუთრებით პროცესი, როცა კუბი წარმოიქმნება კვადრატის მოძრაობით. ეს ისე კარგად არ გამომივიდა, როგორც მინდოდა. მაგრამ მახსოვდა, რომ ეს უნდა იყოს „ზემოთ და არა ჩრდილოეთისაკენ“ და გადავწყვიტე ეს სიტყვები შემენარჩუნებინა, როგორც გასაღები, რომელიც, სწორად გამოყენებული, მომეხმარებოდა ამოცანის ამოხსნის პოვნაში. ასე რომ მოჯადოებულებით, „ზემოთ და არა ჩრდილოეთით“ სიტყვების მექანიკური გამეორებით ჩამეძინა.

სიზმარი ვნახე. თითქოს ისევ სფეროს გვერდით ვიყავი, რომლის ბრწყინვალე ფერები მოასწავებდა, რომ შეიცვალა თავისი განწყობა და უფრო კეთილისმოსურნე იყო ჩემს მიმართ. ერთად მივდიოდით ბრწყინ-

ნვალე, მაგრამ უსასრულოდ მცირე წერტილისაკენ. ჩემი მასწავლებელი ცდილობდა, რომ მისთვის მიმეპყრო ყურადღება. როცა მივუახლოვდით, მისგან წყნარი წკარუნის ხმა გამოვიდა, მსგავსი თქვენი, სივრცული სამყაროს ბოთლებისა, მხოლოდ ცოტა ყრულ ისმოდა სიშორის გამო. ხმა ისეთი ჩუმი იყო, რომ იმ ვაკუუმის სრულ სიჩუმეშიც კი, რომლშიც გავდიოდით, ხმა არ მოდიოდა ჩვენ ყურებამდე, სანამ ოც დიაგონალზე უფრო ნაკლებ მანძილზე არ მივუახლოვდით.

„იქით გაიხედე,“ – მითხრა ჩემმა მეგზურმა, – „შენ ფლექტენდში ცხოვრობ, ლაინლენდი ზმანებაში ნახე, სივრცეში ჩემთან ერთად იყავი, ახლა იმისათვის, რომ შენი გამოცდილება სრული იყოს, მე შენ წაგიყვან არსებობის ყველაზე დაბალ ფორმაში, წერტილის სამყაროში – ფოინტლენდში, სადაც განზომილება არ არსებობს.“

„აი, ეს საცოდავი ქმნილება – *წერტილი* ჩვენსავით არსებაა, მაგრამ უგანზომილებო ყურეშია გაჩერებული. ის თვითონაა თავისი საკუთარი სამყარო. სხვა არაფრის წარმოდგენა არ შეუძლია გარდა თავისი თავისა. მან არ იცის არაფერი არც სიგრძის, არც სიგანის, არც სიმაღლის შესახებ. რიცხვი ორის ცნებაც კი არა აქვს. არც სიმრავლეზე ფიქრობს. რადგანაც თვითონ არის ერთი და ყველაფერი და სინამდვილეში არაფერი. დაიმახსოვრე მისი მდგომარეობა და ისწავლე მისგან რომ თვითკმაყოფილება არის ამაზრზენი უცოდინარობა და რომ რაიმე მიზნისაკენ სწრაფვა სჯობია ბრმა იმპოტენტურ ბედნიერებას. ახლა კი მოუსმინე.“

ის გაჩერდა და ამ დროს პატარა არსებისაგან გამოვიდა დაბალი, მონოტონური, სუსტი, მაგრამ გარკვეული ტიკტიკი, რომელიც სივრცული სამყაროს ფონოგრაფების ხმას ჰგავდა და რომლიდანაც მე გავარჩიე სიტყვები: „არსებობის უსასრულო ნეტარება! არაფერი არ არსებობს მის გარდა...“

„რა?“ – ვთქვი მე, – „რას გულისხმობდა ეს პატარა არსება ამითი?“ „თავის თავს,“ – მიპასუხა სფერომ, – „მანამდე არასოდეს შეგინიშნავს, რომ პატარა ბავშვები და ასევე ადამიანები, რომლებიც სამყაროს თავიანთი თავისაგან ვერ ანსხვავებენ, თავის თავზე მესამე პირში ლაპარაკობენ? ჩუმი!“

„ის ავსებს მთელ სივრცეს,“ – აგრძელებდა პატარა ქმნილება, – „და რასაც ის ავსებს, ის არსებობს. რასაც ის ფიქრობს, ის წარმოითქმება. და რასაც ამბობს, ის ესმის. ის თვითონაა მოაზროვნე, მთქმელი, გამგონებელი, ფიქრი, სიტყვა, გაგონება. ის არის ერთი და ყველაფერი ყველაფერში. აჰ! როგორი ბედნიერებაა! არსებობის ბედნიერება!“

„არ შეიძლება, რომ ეს პატარა არსება გამოვიყვანოთ მისი თავდაჯერებულობიდან?“ – ვიკითხე მე, – „უთხარი მას, სინამდვილეში, რასაც წარმოადგენს, ისევე, როგორც მე მითხარი. დაატოვებინე წერტილოვანი სამყაროს შემოსაზღვრულობა და წაიყვანე უფრო მაღალ განზომილებაში.“

„ეგ ასე ადვილი არაა,“ – მითხრა ჩემმა მასწავლებელმა, – „აბა შენ სცადე.“
ამჯერად ხმა ავიმალლე და ასე მივმართე პატარა წერტილს:

„ჩუმი იყავი, საცოდავო არსება. შენს თავს ყველაფერს უწოდებ ყველაფერში. სინადვილეში კი არაფერი ხარ. შენი, ასე ვთქვათ, „სამყარო“ მხოლოდ ერთი ლაქაა წრფეზე. წრფე კი მხოლოდ აჩრდილია, ...“ „გეყოფა! უკვე საკმარისი თქვი,“ – შემაწყვეტინა სფერომ, – „ახლა მოუსმინე, რა ეფექტი ჰქონდა შენს გამოსვლას ფონთლენდის მეფეზე.“

მონარქის ნათება, რომელიც უფრო გაძლიერდა ჩემი სიტყვების გაგონებისას, ცხადად მიანიშნებდა, რომ მან შეინარჩუნა თავდაჯერებულობა. თითქოს არც გაჩერებულაო, ისე აგრძელებდა: „აზროვნების სიამოვნება! რას არ მივწვდები აზროვნებით! ფიქრი თვითონ მოდის! დამამცირებელი აზრი ბედნიერებას აძლიერებს! ტკბილო ამბოხო, შენ ტრიუმფის ნიშანი ხარ. ოჰ, ღვთიურო ბუნებავ არსებისა, ვინც ყველაფერია ყველაფერში! არსებობის ბედნიერებავ!“

„ხედავ,“ – მითხრა ჩემმა მასწავლებელმა, – „როგორი უშედეგო იყო შენი სიტყვები. ის, რაც მონარქმა შენი ლაპარაკიდან გაიგო, თავის ფიქრებად ჩათვალა, რადგანაც მან არ იცის, რომ მის გარდა კიდევ სხვა ვინმე არსებობს ქვეყნიერებაზე და თავს იწონებს „მისი აზრების“ სხვადასხვაობით, როგორც შემოქმედებითი ძალის გამოვლენით. მოდი დავტოვოთ ფონთლენდის ეს ღმერთი თავის იგნორანტულ ყოფაში მისი ყოვლისმცოდნეობით და ყველაფრის მომცველობით: არანაირი მოქმედება ჩემი, ან შენი მხრიდან, მას ამ მდგომარეობიდან ვერ გამოიყვანს.“

ამის შემდეგ, ჩვენ ნელ – ნელა ფლეტლენდისაკენ გავწიეთ. მე მესმოდა ჩემი თანამგზავრის ხმა, რომელიც ჩვენი ხილვის მორალზე მელაპარაკებოდა და ჩემში გაბედულებას აღვიძებდა, რომ სხვებისთვისაც მესწავლებინა მიზნებისაკენ სწრაფვა. მან მითხრა, რომ თავიდან, როცა მე სამზე მეტი განზომილების ნახვა მოვინდომე, ძალიან გაბრაზდა ჩემი ამბიციურობის გამო. მაგრამ მერე, თითქოს, თვალი აეხილა და ძალიან წუხდა, რომ ასეთი შეცდომა დაუშვა მოსწავლის მიმართ. შემდეგ გამიმხილა უფრო მაღალი რანგის საიდუმლოებები, მაჩვენებდა, როგორ ხდება ზე – ზე – სხეულების კონსტრუირება ზე – სხეულების მოძრაობით; და ეს ყველაფერი „ზუსტი ანალოგიის საფუძველზე“, მარტივი, ადვილი მეთოდების საშუალებით, რომელიც *ქალებისათვისაც* კი იქნებოდა გასაგები.

§21. როგორ ვცდილობდი სამი განზომილების თეორია მესწავლებინა ჩემი შვილიშვილისათვის და რა წარმატებით

მე დასვენებულს გამეღვიძა და თვალწინ ბრწყინვალე კარიერა წარმომიდგა. ახლავე წავალ, ვფიქრობდი, და მთელ ფლექტენდს ვაუწყებ სასიხარულო ამბავს. *ქალებმაც* და *ჯარისკაცებმაც* კი უნდა იცოდნენ სამი განზომილების არსებობის ამბავი. ჩემი ცოლით დავიწყებ!

ეს მიზნები დავსახე თუ არა, ქუჩაში ხმები გავიგონე და გაჩუმების ბრძანება. შემდეგ ხმამაღალი ყვირილი გაისმა. ჰეროლდი ბრძანებას კითხულობდა. ყურადღებით ვუსმენდი და ვიცანი საბჭოს გადაწყვეტილების სიტყვები, რომელიც დაპატიმრებით, ციხით და დასჯით ემუქრებოდა ყველას, ვინც სხვა სამყაროდან მიღებული ხილვებით ხალხის გონების დაფანტვას შეეცდებოდა.

მე შევყოყმანდი. ეს სახუმარო საქმე არ იყო. უკეთესი იქნებოდა მოვრიდებოდი ჩემს გამოცხადებებზე საუბარს და ახალი თეორიის დემონსტრირებას – რომელიც ისეთი მარტივი და გასაგები ჩანდა, რომ არაფერი არ დაიკარგებოდა, თუ პირვანდელ მნიშვნელობებს შევცვლიდი. „ზემოთ და არა ჩრდილოეთით“ – ეს იყო მთელი დამტკიცების გასაღები. სანამ დავიძინებდი, ეს ჩემთვის სრულიად ნათელი იყო. ახლად გაღვიძებულს, ისეთივე მარტივი მეჩვენებოდა, როგორც არითმეტიკა. მაგრამ ახლა უკვე ისეთი ცხადი აღარ იყო ჩემთვის.

ამ დროს ოთახში ჩემი ცოლიც შემოვიდა. იმის მერე, რაც ცოტა ხანი უბრალო თემებზე ვლაპარაკობდით, გადავწყვიტე მისთვის არაფერი მეთქვა. ჩემს *პენტაგონალურ* ვაჟიშვილებს კარგი საზოგადოებრივი მდგომარეობა ჰქონდათ და ასევე კარგი რეპუტაციის მქონე ექიმები იყვნენ. მაგრამ მათემატიკაში დიდად არ გამოირჩეოდნენ და თანაც ჩემი მიზნისათვის არ იყვნენ შესაფერისი კანდიდატურები.

ახალგაზრდა და ჭკვიანი *ჰელსაგონი*, მათემატიკური ნიჭით გამორჩეული, ყველაზე უფრო კარგი მოსწავლე იქნებოდა. რატომ არ უნდა ჩავატარო ჩემი პირველი ექსპერიმენტი ჩემს შვილიშვილზე, რომლის შენიშვნებმა „სამი მესამე ხარისხში“ – ს შესახებ *სფეროსთან* შემახვედრა?

პატარა ბიჭთან ამ საკითხების განხილვით უსაფრთხოდაც ვიქნებოდი. მან არაფერი იცის საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ. მაშინ როცა მე არა ვარ დარწმუნებული ჩემს ვაჟებში. ისინი პირველნი მომკიდებენ ხელს და გადამცემენ პრეფექტს, თუკი აღმოაჩენენ რომ სერიოზულად ვმსჯელობ მესამე განზომილებაზე, რადგან ძლიერ დიდი პატრიოტები არიან და თანაც *წრეებს* ბრმად ემორჩილებიან.

პირველი, რაც უნდა გამეკეთებინა, ჩემი ცოლის ცნობისმოყვარეობა

უნდა დამეკმაყოფილებინა. მას აინტერესებდა გაეგო რაიმე იმ მიზეზებზე, რამაც *წრეები* აიძულა მიეღოთ ასეთი უცნაური გადაწყვეტილება და კიდევ აინტერესებდა, თუ რატომ შემოვიდა ჩვენს სახლში უცნობი.

დეტალებში შეუსვლელად მე მას ყველაფერი ავუხსენი, არც თუ მთლად სწორად, მაგრამ იმის გარეშე, რომ სამი განზომილების სამყაროს შესახებ ჩემგან რაიმე გაეგო. ისიც უნდა ვთქვა, რომ მივაღწიე, წყნარად დაბრუნებოდა საოჯახო საქმიანობას. ამის მერე, დაუყოვნებლივ დავიბარე ჩემთან შვილიშვილი.

სიმართლე რომ ვთქვა, ვგრძნობდი, რომ ყველაფერი, რაც ვნახე და გავიგონე, რაღაც უცნაურად მშორდებოდა, მეკარგებოდა. მსგავსად ნახევრად დამახსოვრებული სიზმრისა, ამიტომ მიხდოდა სწრაფად გადამეცა ჩემი გამოცდილება პირველი მოსწავლისათვის.

როდესაც ჩემი შვილიშვილი ოთახში შემოვიდა, კარები საგულდაგულოდ დავკეტე. შემდეგ გვერდით მივუჯექი და მათემატიკური ტაბულები (მათ თქვენ მონაკვეთებს დაუძახებდით) ავიღე ხელში. ვუთხარი, რომ გუშინდელი გაკვეთილი უნდა გაგვემეორებინა. კიდევ ერთხელ ვასწავლე, რომ ერთ განზომილებაში მოძრავი წერტილი წარმოქმნის წრფეს. რომ ორ განზომილებაში მოძრავი წრფის მონაკვეთი წარმოქმნის კვადრატს. ამის შემდეგ, ძალით გავიღიმე და ვუთხარი: „აი, შე ეშმაკო! შენ გინდოდა, დამეჯერებინა, რომ კვადრატი, თუკი იმოძრავებდა „ზემოთ და არა ჩრდილოეთისაკენ“ სხვა ფიგურას შექმნიდა, რაღაც ზე – კვადრატს სამ განზომილებაში. აბა კიდევ ერთხელ მითხარი ეს, შე ეშმაკუნა!“

იმავე წამს კიდევ ერთხელ გავიგონეთ ჰეროლდის ხმა, რომელიც ქუჩაში ყვიროდა „დიახ, დიახ!“ და აცხადებდა საბჭოს გადაწყვეტილებას.

ჩემი შვილიშვილი ასაკით კი პატარა იყო, მაგრამ საოცრად ჭკვიანი და ამასთან ადრეული ასაკიდანვე ჩანერგილი ჰქონდა *წრეებისადმი* მოკრძალება. ის ამ სიტუაციაში ისე ბრძნულად მოიქცა, რომ მე არც ველოდი – ჩუმად იყო, სანამ ჰეროლდის ხმა არ მიწყნარდა და მერე თვალცრემლიანმა მთხოვა: „მვირფასო ბაბუა! მე მარტო ვხუმრობდი და, რა თქმა უნდა, არაფერს არ ვგულისხმობდი ამით. ჩვენ ხომ არაფერი ვიცოდით ახალი კანონის შესახებ და მე ვფიქრობ, არც არაფერი მითქვამს მესამე განზომილებაზე. კიდევ დარწმუნებული ვარ, რომ არასოდეს მითქვამს რაიმე მსგავსი სიტყვებისა: „ზემოთ და არა ჩრდილოეთისაკენ“, რადგანაც ეს საოცარი სისულელეა, შენც ხომ იცი! როგორ უნდა იმოძრაოს რაიმემ ზემოთ და არა ჩრდილოეთით? ზემოთ და არა ჩრდილოეთით! პატარა ბავშვიც რომ ვიყო, მაინც მივხვდებოდი, რომ სისულელეა. ჰა! ჰა! ჰა!“

„სულაც არაა სისულელე,“ – ვუთხარი მე, მოთმინებიდან გამოსულმა, – „აი მაგალითად, ავიღებ კვადრატს,“ – და ამ სიტყვებით, ხელი მოვკიდე კვადრატს, – „ავამოძრავებ არა ჩრდილოეთით, ხომ იცი, არამედ ზემოთ,

უფრო სწორად რომ ვთქვათ სადღაც, ამის მსგავსად არა, რაღაცნაირად ...“

აქ ჩემი წინადადება სისულელეთი დამთავრდა. უმიზნოდ დავიწყე კვადრატის ჯანჯღარი, ჩემი შვილიშვილის გასართობად, რომელმაც ხმამაღალი სიცილი დაიწყო და გამოაცხადა, რომ მე კი არ ვასწავლიდი მას, არამედ ვეზუმრებოდი. თქვა, გააღო კარები და გაიქცა ოთახიდან.

ამით დამთავრდა ჩემი პირველი მცდელობა სამი განზომილების ქადაგებისა.

§22. როგორ ვცდილობდი სამი განზომილების თეორია მომეყოლა სხვა გაგებით და როგორი შედეგი მივიღე

პირველი მარცხის მერე ველარ გავზედე სახლში ვინმესთან კიდევ მელაპარაკა ჩემი საიდუმლოს შესახებ, მაგრამ სასოწარკვეთილებამაც არ ჩავვარდნილვარ. მხოლოდ მივხვდი, რომ არ შემეძლო მხოლოდ ერთი ფრაზით „ზემოთ, და არა ჩრდილოეთისაკენ“, შემომეფარგლა განმარტებები. მსმენელებისათვის უფრო მეტად დემონსტრირება იქნებოდა გასაგები საგნის მთლიანობაში აღსაქმელად. ამ მიზნის განხორციელებისათვის საჭირო იყო ჩანაწერების გაკეთება.

ამგვარად, რამოდენიმე თვე მარტომ გავატარე სამი განზომილების საიდუმლოებების აღწერაში. რადგანაც მინდოდა, რომ კანონის დარღვევა არ გამომჟღავნებულყო, რამდენადაც შესაძლებელი იყო ფიზიკურ განზომილებაზე კი არ ვსაუბრობდი, არამედ აზრების სამყაროზე, სადაც, თეორიულად ფიგურას შეუძლია დახედოს დაბლა ფლექტენდს და ერთდროულად დაინახოს ყველა საგნის შიგა არე; და სადაც შესაძლებელია, რომ არსებობდეს ფიგურა, შემოსაზღვრული ექვსი კვადრატით და რვა სასაზღვრო წერტილით.

ამ წიგნის წერისას სამწუხაროდ შევნიშნე, რომ არ შემეძლო დამეხაზა ისეთი დიაგრამები, რაც მჭირდებოდა. რადგანაც, ჩვენს ქვეყანაში, ფლექტენდში, არ გვაქვს ტაბულები, არამედ მხოლოდ მონაკვეთები, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ზომით და განათებულობით. ამგვარად, როდესაც ტრაქტატის (რომლის სათაურიც იყო „ფლექტენდიდან აზრების ქვეყანაში“) წერა დავამთავრე, მართლაც არ მჯეროდა, რომ მის აზრს ვინმე გაიგებდა.

ჩემი ცხოვრება ბურუსში იყო გახვეული. ვერაფრიდან ვერ ვიღებდი სიამოვნებას. მხედველობა მიბიძგებდა ლალატისაკენ, რადგანაც მე არ შემეძლო არ შემედარებინა ერთმანეთისათვის ის, რაც ვნახე სამ განზომილებაში და რაც ჩანდა ორში. ამასთან, არ შემეძლო ხმამაღლა მეთქვა ამ შედარების შესახებ. უარს ვეუბნებოდი ჩემს კლიენტებს და ბიზნესსაც

თავი დავანებე, რათა მქონოდა საშუალება მეფიქრა იმ საიდუმლოებებზე, რომლებიც ერთხელ ვნახე და რასაც ვერავის ვერ ვუზიარებდი. დღითი დღე უფრო და უფრო მიძნელდებოდა ჩემი ხილვის განახლება გონებაში.

ერთ დღეს, თერთმეტი თვის შემდეგ, ფლეტლენდში ჩემი დაბრუნებიდან, ვცადე დამენახა *კუბი* დახუჭული თვალით, მაგრამ ვერ შევძელი. მიუხედავად იმისა, რომ მერე ეს გამომივიდა, მაინც არ ვიყავი დარწმუნებული (და არც ახლა ვარ), რომ ზუსტად შევძელი ამის გაკეთება. ამან უფრო დამანალვლიანა და გადამაწყვეტინა რაიმე ნაბიჯი გადამედეგა. მხოლოდ არ ვიცოდი რა. ვგრძნობდი, რომ თავი უნდა გამეწირა საქმის გულისათვის, თუკი შევძლებდი ვინმეს დარწმუნებას. მაგრამ მე ვერ დავარწმუნე ჩემი შვილიშვილი, როგორ უნდა დამერწმუნებინა უმაღლესი და მაღალ განვითარებული *ჩრეები*?

იმ დროს სულიერად ჯერ კიდევ ძლიერი ვიყავი. სახიფათო გამონათქვამების ხმარებაც დავიწყე. მე, ისედაც ვითვლებოდი არაორთოდოქსად, მოღალატედ თუ არა და კარგად ვაცნობიერებდი ჩემი მდგომარეობის საშიშროებას. მიუხედავად ამისა, ერთხელაც არ შემიკავებია თავი საექვო და ერეტიკული გამონათქვამებისაგან, თვით უმაღლეს *პოლიგონალურ* და *წრიულ* საზოგადოებაშიც კი. ერთხელ მაგალითად, როცა იყო ლაპარაკი, როგორ მოქცეოდნენ მთვარეულებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მიღებული აქვთ ძალა, დაინახონ საგნების შიგა არსი, მე მოვიყვანე ციტატა უძველესი *წრის* გამონათქვამიდან, რომელმაც განაცხადა, რომ წინასწარმეტყველები და ინსპირატიული ადამიანები ხანდახან ამბობენ ისეთ ფრაზებს, როგორიცაა „თვალი, რომელიც განასხვავებს საგნების ინტერიერს,“ და „ქვეყანა, სადაც ყველაფერი ჩანს“; ერთხელ თუ ორჯერ აკრძალული ტერმინი „სამი და ოთხი განზომილებაც“ კი ვიხმარე; და ბოლოს, მცირე დანაშაულობების სერია სრული გავხადე ჩვენი ადგილობრივი ფილოსოფიური საზოგადოების შეკრებაზე, რომელიც თვითონ პრეფექტის სასახლეში მიმდინარეობდა. შეხვედრაზე ერთი განსაკუთრებით სულელი პერსონა კითხულობდა ნაშრომს, რომელშიც ვითომდა გამოკვლეული იყო ზუსტი მიზეზები იმისა, რატომ შემოსაზღვრა განგებამ განზომილება ორით და რატომ არის ყველაფრის ხედვა, ანუ ომნივიდენსი მხოლოდ უმაღლესი არსების ატრიბუტი. აქ მე სრულიად დავკარგე გონება და მთლიანად მოვყევი სივრცეში *სფეროსთან* ერთად ჩემი მოგზაურობის და ასევე ჩვენი მეტროპოლიის ასამბლეის სასახლეში ყოფნის ამბავი. შემდეგ მოვყევი ყველაფერი სახლში დაბრუნების შესახებ და კიდევ ისიც, რაც ვნახე და გავიგონე ამ ხილვებისას.

პირველად, მე, რა თქმა უნდა, თავს ისე ვაჩვენებდი, ვითომდა ვილაც გამოგონილი პიროვნების წარმოსახვით გამონათქვამებს ვყვებოდი მაგ-

რამ, ჩემმა ენთუზიაზმმა სწრაფად გადამაგდებინა ნიღაბი და ბოლოს, ჩემს გულწრფელ სიტყვაში, მთელ ჩემს მსმენელებს მოვუწოდე გადაედოთ ცრურწმენები და ერწმუნათ სამი განზომილების არსებობა.

საჭიროა იმისი თქმა, რომ მაშინვე დამაპატიმრეს და საბჭოს წინაშე დამაყენეს?

მეორე დილას ვიდექი ზუსტად იმავე ადგილას, სადაც რამოდენიმე თვის წინ მე და *სფერო* ერთად ვიყავით. უფლება მომცეს, რომ დამეწყო და კითხვების გარეშე დამასრულებინეს ჩემი მოთხრობა. თავიდანვე ვიცოდი რაც მომელოდა. რადგანაც პრეზიდენტმა, სანამ თავის დაცვას დავიწყებდი, საუკეთესო *პოლიციელები*, რომელთა კუთხე 55° გრადუსი იყო, შეაცვლევინა 2° და 3° გრადუსიანი დაბალი კლასის *პოლიციელებით*. კარგად ვხვდებოდი რატომაც. მე უნდა დავესაჯე, ან დავეპატიმრებინე. ჩემი მონათხრობი კი ქვეყნისაგან საიდუმლოდ უნდა დარჩენილიყო იმით, რომ მისი მსმენელი სახელმწიფო მოსამსახურეები განადგურდებოდნენ. ამიტომაც იყო, რომ პრეზიდენტმა გადაწყვიტა უფრო იაფფასიანი მსხვერპლი გაეღო.

იმის მერე, რაც მე ჩემს დასაცავად სიტყვა წარმოვთქვი, პრეზიდენტმა, ვგონებ იმიტომ, რომ დაინახა, ზოგიერთი ახალგაზრდა *წრე* როგორ შეძრა ჩემმა გულწრფელობამ, ორი შეკითხვა მომცა:

1. შემიძლია თუ არა მე, რომ მივუთითო ის მიმართულება, რომელსაც ვგულისხმობ, როცა ვამბობ „ზემოთ და არა ჩრდილოეთით“?
2. შემიძლია თუ არა მე, რაიმე დიაგრამით, ან აღწერილობით (რომელიც განსხვავებული იქნება წარმოსახვითი გვერდების და კუთხეების ჩამონათვალისაგან) ვაჩვენო ფიგურა, რომელსაც მე *კუბს* ვუწოდებ?

ვუპასუხე, რომ მეტი არაფრის დამატება არ შემეძლო და რომ მე ჩემს ბედს ვაბარებდი ჭეშმარიტებას, რომელიც ბოლოს აუცილებლად გაიმარჯვებს.

პრეზიდენტმა მიპასუხა, რომ ის მთლიანად ეთანხმება ჩემს აზრს და რომ ამას უკეთესად ვერავინ იტყოდა.

მე უნდა ვყოფილიყავი სამუდამო პატიმრობაში. თუკი ჭეშმარიტება მოითხოვდა, რომ დამეტოვებინა საპატიმრო და ქვეყნისათვის მეხარებინა მესამე განზომილების არსებობა, ჭეშმარიტებას უნდა მოეთმინა. გარდა ამისა, არ უნდა მქონოდა რაიმე დისკომფორტის შეგრძნება და არ მომენდომებინა საპატიმროდან გაქცევა. რადგანაც მე დავკარგე პრივილეგიები ჩემი საქციელის გამო, ხანდახან მომცემდნენ უფლებას მენახა ჩემი ძმა, რომელიც ჩემზე ადრე მოხვდა საპატიმროში.

შვიდი წელი გავიდა და ისევ პატიმარი ვარ. თუკი არ ჩავთვლით იმას, რომ ხანდახან ჩემს ძმას ვხვდები, სრულიად მოკლებული ვარ რაიმე საზოგადოებას, გარდა ჩემი ზედამხედველებისა.

ჩემი ძმა ერთერთი საუკეთესო *კვადრატთაგანია*. გულისხმიერი, მზიარული და ძმური გრძნობებიც არ აკლია. მიუხედავად ამისა, უნდა ვაღიარო, რომ ეს ჩემი ყოველკვირეული შეხვედრები საშინელ ტკივილს მაყენებს. ის იქ იყო, როცა *სფერომ* თავისი თავი საბჭოს წარუდგინა, მან დაინახა მისი ცვალებადი კვთები. გაიგონა ამ ფენომენის განმარტება, რომელიც *წრეებისთვის* იყო წარმოდგენილი. ამის მერე, შვიდი წლის განმავლობაში კვირაც კი არ გასულა ისე, რომ მისთვის არ მომეყოლა რა როლს ვასრულებდი იმდღევანდელ ამბებში. კვირაში ერთხელ ვუყვები სივრცის ყველა იმ საიდუმლოებას, რაც მე ვნახე და კიდევ ანალოგიიდან გამომდინარე *სხეულების* არსებობაზე ველაპარაკები. ჯერ კიდევ - მე მრცხვენია, ამას რომ ვამბობ, - ჩემმა ძმამ ვერ გაიგო სამი განზომილების ბუნება და დაუფარავად აცხადებს, რომ არ სჯერა *სფეროს* არსებობა.

ამიტომ, აღარ მჯერა, რომ რაიმე შეიცვლება. იძულებული ვარ ვაღიარო, რომ *სფეროს* ათასწლიანმა ლოდინმა და ჩემთვის სამი განზომილების არსებობის გამოცხადებამ ტყუილუბრალოდ ჩაიარა. სივრცული სამყაროს პრომეთე მიაჯაჭვეს იმიტომ, რომ მოკვდავ ადამიანებს ცეცხლი ჩამოუტანა, მე კი, საცოდავი ფლექტენდელი პრომეთე, ციხეში ვარ იმისათვის, რომ ჩემს თანამემამულეებს არაფერი არ მოვუტანე.

კიდევ მაქვს იმედი, რომ ეს მემუარები, რაღაცით, არც ვიცი როგორ, მაინც გაიგნებენ გზას კაცობრიობისაკენ რომელიმე განზომილებაში და შექმნიან მემბოხეების რასას, რომელიც უარს იტყვის იყოს შემოსაზღვრული რაიმე განზომილებით.


ეს იმედია, ხანდახან ჩემს ნათელ მომენტებში რომ მასულდგმულეს. საუბედუროდ, ყოველთვის ასე არაა. მძიმე ტვირთად მაწევს შეგრძნება, რომ არ შემიძლია დარწმუნებული ვიყო ერთელ ნანახი *კუბის* ფორმაზე, რაზეც მუდამ ვწუხვარ. დამის ზმანებებში ეს სიტყვები „ზემოთ და არა ჩრდილოეთისაკენ“ მტაცებელივით დამდევენ. ჩემი წამების, რომელიც ჭეშმარიტების ქადაგებისათვის მივიღე, ნაწილია ისიც, რომ მაქვს გონებრივი სისუსტის პერიოდებიც. როდესაც *კუბებიც* და *სფეროებიც* უკანა პლანზე გადადიან. ამ დროს სამი განზომილების სამყარო ისეთივე გამოგონილი ჩანს, როგორც ერთი, ან სულაც არანაირი განზომილების სამყაროები. როდესაც თვითონ ეს მძიმე კედლებიც, რომლებიც მე თავისუფლებასთან მაშორებს, ეს ტაბულებიც, რომელზეც ვწერ და ფლექტენდის ყველანაირი რეალობაც კი ავადმყოფი გონების გამონაგონად მიმაჩნია, ოცნების უმიზნო ქმნილებად.

ქართული თარგმანის დამატება

წიგნში გამოყენებული ზოგიერთი მათემატიკური ტერმინი

წესიერ, ანუ *რეგულარულ* ფიგურებში და სხეულებში ყველა გვერდის სიგრძე ერთმანეთის ტოლია და ყველა კუთხე არის ერთნაირი ზომის.










სამკუთხედი:












არის *ტოლგვერდა*, ანუ *წესიერი სამკუთხედი*, თუკი მისი ყველა გვერდის სიგრძე ერთმანეთის ტოლია. წესიერ სამკუთხედს ყველა კუთხე ტოლი აქვს.


სამკუთხედი არის *ტოლფერდა*, თუკი მისი ორი გვერდის სიგრძე არის ერთმანეთის ტოლი $|AB| = |AC|$. ასეთ სამკუთხედში მესამე გვერდს, BC – ს ეწოდება *ფუძე*. A კუთხეს ამ შემთხვევაში ქვია *წვეროსთან მდებარე კუთხე*.

პოლიგონი არის წესიერი მრავალკუთხედი. მისი ყველა გვერდი ერთმანეთის ტოლია და ყველა კუთხის ზომაც ერთმანეთის ტოლია. ქვემოთ მოყვანილია პოლიგონების სახელები გვერდების რაოდენობის მიხედვით:

სახელი	გვერდების რაოდენობა	ფიგურა
წესიერი სამკუთხედი	3	
კვადრატი	4	
პენტაგონი	5	
ჰექსაგონი	6	
ჰეპტაგონი	7	
ოქტაგონი	8	
ენეაგონი	9	
დეკაგონი	10	
ჰენდეკაგონი	11	


სახელი	გვერდების რაოდენობა	ფიგურა
დოდეკაგონი	12	
ტრიდეკაგონი	13	
ტეტრადეკაგონი	14	
პენტადეკაგონი	15	
ჰექსადეკაგონი	16	
ჰეპტადეკაგონი	17	
ოქტადეკაგონი	18	
ენეადეკაგონი	19	
იკოსაგონი	20	

კიდევ მოვიყვანოთ რამოდენიმე თვალსაჩინოება:




AB მონაკვეთი.

აქვს ორი შემომსაზღვრელი წვერო (წერტილი).




ABCD კვადრატი.

აქვს: 4 წვერო (წერტილი), 4 შემომსაზღვრელი გვერდი (მონაკვეთი)



ABCDEFGH კუბი.

აქვს: 8 წვერო (წერტილი), 12 წიბო (მონაკვეთი) და 6 შემომსაზღვრელი გვერდი (კვადრატი).



ABCDEFGHIJKL MNOP ტეტრაკუბი.

ABCDEFGHIJKL MNOP ოთხგანზომილებიან ზეკუბს, *ტესერაქტს* (Tesseract), ანუ *ტეტრაკუბს* აქვს: 16 წვერო (წერტილი); 32 წიბო (მონაკვეთი) და 24 გვერდი (კვადრატი) და 8 შემომსაზღვრელი ზეგვერდი (კუბი).

ასეთნაირად წარმოიდგინება ტეტრაკუბის ორთოგრაფიული პროექცია სამ განზომილებაში.

